

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ინათმეცნიერების ინსტიტუტი

მ. მაჭავარიანი

ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა

წინაშეგდებარე ნაშრომი წარმოადგენს ნარკვევს ქვევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკის შესახებ. მასალად გამოყენებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პირისა და ქვევის კატეგორიების ურთიერთმიმართებაზე, დადგენილია მათი ურთიერთგამკვეთი ფუნქციები. გამოტანილია დასკვნა, რომ შექვევრები პირის ნაყვალსახელური პროკლიტიკების ბრუნვის ნიშნებია. ნაშრომი თეორიული ხასიათისაა.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი თ. უფურგაიძე

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ბ. რამიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ენუქიძე

8 460200000 93-86
14 607(06)-87

© გამოცემლობა „მეცნიერება“, 1987

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე წიგნში განხილული საკითხები ავტორს გაუჩნდა 1966 წლის დეკემბერში გივი მაჭავარიანის გამოქვეყნებული და ხელნაწერი შრომების ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაზე მუშაობისას. ამდენად, წიგნში წარმოდგენილი თვალსაზრისი გარკვეულად ეხმაურება გივი მაჭავარიანის ნააზრევს. ავტორი იზიარებს რიგ მის დებულებას ქართული და ქართველური ზმნის შესახებ.

წიგნი მოიცავს ნაწილს იმ შრომისა, რომელიც შესრულდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინტსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში 1970-74 წლებში. ძირითადი დებულებები ადრევე იყო გამოქვეყნებული სტატიებისა და მოხსენებთა თეზისების სახით.

ავტორს მიზნად არა აქვს დასახელი ახალი მასალის ოგება. ის ძირითადად ემყარება კარგად ცნობილ ფაქტებს და ცდილობს მათ ახალ ინტერპრეტაციას იმ მიზნით, რომ ნათელი გახადოს პირის ნიშნებისა და მატყვერების ზოგადი მორფოსინტაქსური და სემანტიკური ფუნქციები.

ზმნათა შინაარსის ანალიზისას ვეყრდნობით ქართული ენის რეაგომიანი განმარტებითი ლექსიკონის /ქეჯლ/ განსაზღვრებებს. ეს არ არის შემთხვევითი. ლექსიკონში მოცემული განმარტებები შედგება არა ცალკეულ პირთა სუბიექტური თვალსაზრისისა, არამედ ავტორთა ჯილი კოლექტივის შრავალწლიანი შრომისა, რომელიც ეფუძნებოდა უზარმაზარ სალიუსტრაციო ფონდს. ჩვენდა საბედნიეროდ, ავტორებმა არ დაიშურეს დრო და ადგილი და ცალკე სალექსიკონო ერთეულებად შეიტანეს ზმნის ყველა ძირითადი ფორმა. ამდენად, მკვლევარს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, გამოიყენოს ქართული ზმნის შინაარსის განმსაზღვრელი ობიექტური მონაცემები. ადგილის სიმცირის გამო, იშვიათად მოგვყავს ილუსტრაციები. მაგრამ მკითხველს ყოველთვის ხელწვიება, შეამოწმოს ჩვენი მსჯელობა ლექსიკონის განმარტებების მიხედვით.

პირი და ქცევა ქართული და ქართველური ზმნის ძირითადი კატეგორიებია. ამიტომ მათ ამა თუ იმ სიღრმით შეეხო ყველა მკვლევარი, რომელიც იკვლევდა ამ ენების ზმნას. ამ მიზეზის გამო, ვერ მიმოვიხილეთ სხვა ავტორთა თეორიები და საკითხის ისტორია. გათვალისწინებულნი გვაქვს ყველა შრომა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება. ამ მხრივ, ფუძემდებლური მნიშვნელობისაა ნ.მარის, ა.შანიძის, გ.შუხარდჯის, გ.დუბეტრისის, არნ.ჩოქობავას, ც.ლოფრიას, პ.ფოჯკის, ქ.ლომათიძის, გ.როგავას, გ.მაჭავარიანის გამოკვლევები. ბოლო წლებში პირისა და ქცევის კატეგორიებზე ინტენსიურად მუშაობენ ა.ონიანი, ღ.ნოზაძე, ბ.ჯორჯენაძე, გ.ნებოევიძე, მ.სუხიშვილი, გ.გობოლაშვილი და სხვები. საინტერესო დებულებები აქვთ გამოქმული თ.გამყრელიძეს, დ.მელიქიშვილს, ირ.შელიქიშვილს, ე.ე.ოსიძეს, მ.სა-

ხოკიას, ირ.გეწაძეს, მ.დამენიას, ლ.ენუქიძეს, ნ.ჭანიაშვილს, რ.ასათიანს და სხვებს. გამოყენებული გვაქვს ცნობილ მეცნიერთა: ბ.რუდენკოს, ა.კი-ჩორიას, ივ.იმნაიშვილის, ივ.ქავთარაძის, ა.მარტიროსოვის, შ.ძიძიგურის, მ.ქალღანის, ე.ზაბუნაშვილის, ბ.გვიგინიშვილის, ჩ.სარჯველაძის და სხვათა შრომები /იხ.ბიბლიოგრაფია/. თანამედროვე რუს ენათმეცნიერთაგან ქირ-თულსა და ქართველურ ზმნას იკვლევდნ ბ.კლიმოვი და ე.ნედიალკოვი, ბოლ-წლებში ორიგინალური გამოკვლევები გამოაქვეყნა ლტოლნი ენათმეცნიერთა ლ.ბაღმიატიშვილი. თანამედროვე უცხოელ ავტორთაგან ცნობილია კ.წმიდტის, ბ.ბეტერის, ვ.ბოლდერის, პ.არონსონის, ჯ.პიუტის, ჯ.ნიკოლსის, ა.შარისის შრომები. ჩვენ თვალსაზრისით ახლა ფ.შოდისკის გამოკვლევა ქართული ენის საშუალო გვარის ზმნების შესახებ. სამწუხაროდ, გავერცხვართა ყველა მეცნიერის გვარის დასახელებაც კი, რამდენადაც სია მოიცავს იბერიულ-კავკასიური ენების ყველა მკვლევარს.

წიგნი შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში მსჯელობაა ქვეყნისა და პირის კატეგორიების ზოგადი საკითხების შესახებ. მეორე თავი ეხება კონფერსია-ინფერსიის მიმართებებს. მესამე თავში განალიზებულია ა-შაქ-ცერის სემანტიკა. ჯანაბრენ შიქვევართა კონკრეტული შინაარსობრივი უკუ-წყობი, რეფლექსივისა და ქვეყნის ტიპოლოგიის საკითხები სხვაგან იქნება განხილული. ამჟამად ყურადღების გაქვრევი ეტოვებთ რიცხვის კატეგორიასაც.

თ ა ე ი ბ ი რ ე ე ლ ი

ქვეყნის კატეგორიის ზოგადი დახასიათება

შესაძლებელია განვსახსვავთ: 1. ზმნის გრამატიკული დერივაცია, რომელსაც შეესაბამება დერივატებში ახალი მნიშვნელობის გარქნა და ზმნის ცალენტიობის შესატყვისი კლება-მატება. 2. ზმნის გრამატიკული დერივაცია, რომელსაც მოსდევს მნიშვნელობის შესაბამისი ცეცხლი, მაგრამ ზმნის ცალენტიობა უცვლელი რჩება. 3. კონვერსიულ-ინვერსიული გარდაქმნები, რომელთაც ენაპირანტიული სემანტიკა აქვთ. ამგვარი გარდაქმნების მიკუთვნება მოზღვანინტაქსური დონისადმი არ იქნებოდა გამართლებული, ისინი გამოხატავენ ზმნურ აქტანტებს შორის აბსტრაქტულ მიმართებებს და ამდენად მიეკუთვნებიან გრამატიკის რეალური დონეს. კონვერსია-ინვერსიის საკუთარი, სპეციფიკური მოზღვანინტაქსური მარკერები არა აქვს. ის ხორციელდება ენაში უკვე არსებული მოზღვანინტაქსური მოდულების გამოყენებით. ამიტომ შესაძლებელია გრამატიკული კატეგორიები ლოგიკურად და ისტორიულად მეორეული არიან პირველი ორი ტიპის კატეგორიებთან შედარებით.

ქვეყნის კატეგორია მიეკუთვნება გრამატიკული დერივაციის პირველ ტიპს. ასპექტის კატეგორია - მეორეს, ხოლო გვარის კატეგორია - მესამე ტიპს.

წინამდებარე წიგნში განვიხილავთ ზმნის მოზღვანინტაქსურსა და სემანტიკურ დერივაციას ქვეყნის კატეგორიის თვალსაზრისით. მსჯელობა გაიშლება ტარტული ზმნის მასალაზე, თუმცა გვიანტარტებს ქვეყნის კატეგორიის ზოგადი არსის დადგენაც და ამ კატეგორიის ადგილი გრამატიკულ სისტემაში.

გრამატიკული კატეგორიის არსებობის წინაპირობაა მისი მნიშვნელობის მარკირება მოზღვანინტაქსურ დონეზე. ამიტომ გრამატიკული კატეგორიის არსი ყველაზე უკვე ვლინდება მდიდარი მოზღვანინტაქსურის შემთხვევებში, სადაც შედარებით სრულად შეიძლება იყოს რეალიზებული კატეგორიის პოტენციური სემანტიკური შესაძლებლობები. ლარები მოზღვანინტაქსურის შემთხვევებში შეიძლება იმავთვე კატეგორიის ყველა სემანტიკური ნიუანსი არ იყოს გრამატიკულად გამოხატული ზედაპირულ სტრუქტურებში, ხოლო მოზღვანინტაქსურის არსებობა ენებში ამ თვალსაზრისით წიკს ზეცარის დადება გრამატიკასა და ლექსიკურ კომპინატორიკას შორის. ამიტომ, ამგვარი ენების მიმართ განსახილველი გრამატიკული კატეგორიის შესახებ საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი სემანტიკური არსი უკვე წინასწარ არის გამოკვლეული. გრამატიკული კატეგორია მდიდარი მოზღვანინტაქსურის ენაშიც შეიძლება საერთოდ არ იყოს განხორციელებული. დასადაგენია ამის მიზეზი და პირობები. ასეთ შემთხვევაში გრამატიკული კატეგორია ან: 1. ლოგიკურად აკრძალულია გრამატიკული სისტემის სპეციფიკური შექმნის გამო ან 2. ისტორიული პირობების გამო უკვე არ არის რეალიზებული ან უკვე დაკარგულია.

ტარტული. მდიდარი მოზღვანინტაქსურის შემთხვევა. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ამ მხრივ ზმნა. ამიტომ საყრდენ ენად მისი არჩევა მიზანშეწონილია ქვეყნის კატეგორიის არსის დასადაგენად.

ქართული ზმნის ანალიზისას მიღებული დასკვნები შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტიპოლოგიური ხასიათის შედარებებისათვის.

ჯერ განვიხილოთ ქვევის კატეგორიის ზოგადი ფუნქცია მორფოსინტაქსური ფერვიაციის თვალსაზრისით.

ქვევის კატეგორიის ზოგადი მორფოსინტაქსური ფუნქცია არის ზმნის ობიექტების წ ა რ მ მ ქ მ ნ ა ა ნ მ მ ს პ მ ბ ა .

მაქვევრებად ქართულ ზმნაში გამოყენებულია ყველა ხმოვანი ო-ს გარდა. პირის ნიშნის შემდეგო ხმოვანი - ქვევის ნიშანია. აქედან გამონაკლისი გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნა ნასახელარია და სახელის ფუძე ხმოვნით იწყება. შდრ. მაგალითად, უთოფება, უ-ძირისეულია, აგობს, ა - ძირისეულია, ელავს, ე - ძირისეულია და მისთ. ქვევის ნიშნის დართვა, ან ქვევის ნიშანთა გარკვეული სახის მონაცვლეობა, როგორც წესი, იწვევს ზმნის ობიექტის წარმოქმნას ან მოსპობას. წარმოიქმნებიან ან მოისპობიან პირდაპირი ან ირიბი ობიექტები. მოვიყვანოთ მაგალითები:

1. წარმოიქმნება ირიბი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქვევრის დართვით: წერს ის მას ; ა-წერს ის მას მას. წერს ის მას ; უ-წერს ის მას მას. დგას ის ; ა-დგას ის მას. დგას ის ; უ-დგას ის მას. დულს ის ; უ-დულს ის მას. ზის ის ; ა-ზის ის მას. ზის ის ; უ-ზის ის მას. ლაპარაკობს ის ; ე-ლაპარაკება ის მას. /ფუძის ფერვიაციას ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცევა/. თამაშობს ის ; ე-თამაშება ის მას. ელავს ის მას ; აცვლივინებს ის მას მას. ჭამს ის მას ; ა-ჭამს ის მას მას. ჭამს ის მას ; უ-ჭამს ის მას მას.

2. წარმოიქმნება ირიბი ობიექტი მაქვევრების მონაცვლეობით: ი-ბადება ის ; ე-ბადება ის მას. აკეთებს ის მას ; უ-კეთებს ის მას მას. ი-ჩრდობა ის ; ე-ჩრდობა ის მას და მისთ.

3. წარმოიქმნება პირდაპირი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქვევრის დართვისას: დულს/დულდება ის ; ა-დულებს ის მას. ქრება ის ; ა-ქრობს ის მას. თეორდება ის ; ა-თეორებს ის მას. წევს ის ; ა-წვენს ის მას.

4. ისპობა პირდაპირი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქვევრის დართვისას: ხატავს ის მას ; ი-ხატება ის. რეცხავს ის მას ; ი-რეცხება ის. წერს ის მას ; ი-წერება ის.

5. ისპობა პირდაპირი ობიექტი მაქვევრის მონაცვლეობით: ა-ბამს ის მას ; ი-მშობს ის. ა-ნთებს ის მას ; ი-ნთება ის. უ-წერს ის მას მას ; ე-წერება ის მას. ა-დგამს ის მას მას ; ე-დგამება ის მას.

6. ისპობა ირიბი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქვევრის დართვისას: მპარავს ის მას მას ; ი-მპარავს ის მას. სწირავს ის მას მას ; ი-წირავს ის მას.

7. ისპობა ირიბი ობიექტი მაქვევრის მონაცვლეობით: უ-კეთებს ის მას მას ; ი-კეთებს ის მას. ა-ჭრის ის მას მას ; ი-ჭრის იმ შაჰ. უ-დგამს ის მას მას ; ი-დგამს ის მას.

შ ე ნ ი შ ე ნ ა ; ობიექტის მოსპობა შეიძლება აღწეროთ ორგვარად: ა. დაეშუღათ, გვაქვს ოპოზიცია; არამარკირებული ; მარკირებული წევრი,

სადაც წარმოქმნილი ძალა აქვს მარკირებულ წევრს. მაგალითად, ზის - არა-მარკირებული, ხოლო ა-ზის - მარკირებული წევრი, სადაც ირიბი ობიექტი წარმოქმნილია. ამ შეიშებენიაში ეს პროცესი შეიძლება ორგანოდ აღიწეროს: ობიექტის წარმოქმნის ან ობიექტის მოსპობის ტერმინებით. თუ მარკირებულ წევრს არამარკირებულთან გავათანაბრებთ, ე.ი. მოვალეობა ქცევის ნიშანს, მაშინ შედეგად მივიღებთ ობიექტის მოსპობას. მაგრამ, თუ არამარკირებულ წევრს ქცევის ნიშანს დაეურთავთ, მაშინ შედეგად მივიღებთ ობიექტის წარმოქმნას. ფაქტობრივ ეს ერთსა და იმავეს ნიშნავს, ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ალწერას მივანიჭებთ უპირატესობას.

ბ. მაგრამ ობიექტის მოსპობა შეიძლება სხვაგვარად იყოს წარმოადგენილი, როდესაც მაქცევრის მოცილება კი არ სპობს ობიექტს, არამედ სწორედ მაქცევრის დაბრუნება იწვევს ობიექტის მოსპობას. ამ შემთხვევაში ოპოზიციის მარკირებული წევრი სპობს ობიექტს, ხოლო არამარკირებულ წევრს ეს ობიექტი წინასწარ აქვს მოციმული. აქ მოსპობა-წარმოქმნის პროცედურა ერთმანეთის ტოლფასი აღარ არის. მხედველობაში გვაქვს სწორედ ეს, მეორე სახის, მოსპობა ობიექტისა.

ობიექტების წარმოქმნა-მოსპობა და ამასთან დაკავშირებული ჩრდა-კლება ზმნის ცალკეობისა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას.

1. ყველა მაქცევარს აქვს უნარი წარმოქმნას ირიბი ობიექტი: ეხატავ მე მას : მ-ი-ხატავს ის მე მას. ე-წერ მე მას : ე-უ-წერ მე მას მას. ე-ი-ჩრდები მე : ე-ე-ჩრდები მე მას. ზის ის : ა-ზის ის მას და მისთ.

2. მხოლოდ ა-მაქცევარს აქვს უნარი წარმოქმნას პირდაპირი ობიექტი: დულს/დულდება ის : ა-დულებს ის მას. ბატონობს ის : ა-ბატონებს ის მას.

3. ობიექტის მოსპობა შეუძლია მხოლოდ ი- და ე-მაქცევრებს. ა-მაქცევრის ბადად, ი-მაქცევარი სპობს როგორც ირიბ, ისე პირდაპირ ობიექტს, ხოლო ე-მაქცევარი სპობს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს. მაგალითად: ე-უ-ჩრდი მე მას მას : ე-ი-ჩრდი მე მას / ისპობა ირიბი ობიექტი/. ე-უ-ჩრდი მე მას მას : ე-ე-ჩრდები მე მას / ისპობა პირდაპირი ობიექტი/. ე-ჩრდი მე მას : ე-ი-ჩრდები მე / ისპობა პირდაპირი ობიექტი/.

ამრიგად, პირდაპირი ობიექტის წარმოქმნის უნარი აქვს მხოლოდ ა-მაქცევარს. ის ამ მხრივ სხვა მაქცევრებისაგან გამოირჩეულია, მარკირებული. ამ ფუნქციის განხორციელება ა-მაქცევარს ძალუძს მხოლოდ გ ა რ კ ე ე უ ლ პირობებში: ა. როდესაც ზმნას დაურთავს ა-მაქცევარი მის ერთდროულ გაკაუზიაციებასთან ერთად. მხედველობაში გვაქვს კაუზაციის მხოლოდ ბ ი რ ე ე ლ ი საფეხური, როდესაც ხდება ზმნის ტრანზიტვიზაცია, ე.ი. კაუზაციას განიცდის გარდაუვალი და არა გარდამავალი ზმნა /იხ. მაჭავარიანი გ. : გენაძე ი., ნედლიაძე ე. ხოლოლოვიჩი ა./ . ბ. როდესაც გარდამავალი ზმნა იწარმოება სახელისაგან, რაც ფაქტობრივ აგრეთვე კაუზაციასთან არის დაკავშირებული:

- ქრება ის : ა-ქრობს ის მას
- დულს/დულდება ის : ა-დულებს ის მას
- ბატონი : ა-ბატონებს ის მას

ჩვენი აზრით, მაქცევრის არმქონე გარდაუდებელი ზმნიდან გარდამავლის მიღება შეუძლებელია კაუზაციისა და ქცევის კატეგორიის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ენაში მარკირებულია ობიექტების წარმოქმნა. სემანტიკურად ეს პროცესი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: გარდაუდებელი უმაქცევრო ზმნა გამოხატავს იმას, რომ მოქმელი მოქმედებას განიცდის ან ახორციელებს თვითონ; ის, ასე ეძევათ, ჩართულია მოქმედების პროცესში, მოქმედება სხვაზე არ გადააქვს. ამგვარი ზმნების გარდამავალ ზმნებად გადაქცევა სემანტიკურად ნიშნავს იმას, რომ მოქმელი მის მიერ გამოხატული მოქმედების განმკველად ან მოქმედად წარმოადგენს არა თავის თავს, არამედ ს ბ გ ა ს. ამოსავალი გარდაუდებელი ზმნის შინაარსის აღწერის დროს არ არის ნაგარაუდები რეფლექსივიზაცია. სემა „თვითონ“ მარკირებული არ არის. ის არ გულისხმობს არც თავის თავზე მოქმედებას უფოდ და არც თავისი თავის მიმართ მოქმედებას. მოქმელი ისე არის ჩართული მოქმედებაში, რომ მოქმედებას მოქმელის მიმართ ორიენტაცია არა აქვს. სამაგთეროდ, შესაბამის გარდამავლელ ზმნაში მარკირებულია მოქმედების ექსტროვერტიზაცია, ს ბ გ ი ს ი გათვალისწინებით, სწორედ ამიტომ საჭირო ხდება ამ ს ბ გ ა პირის წარმომქმნელი ქცევის ნიშნის შემოტანა. ეს ს ბ გ ა პირი, რომელსაც მოქმელი მოქმედებას განაცდევინებს ან გააკეთებინებს, სინტაქსურად ირის პირდაპირი ობიექტი;

დულს ის

ს₁

/თვითონ/

ის —> ის დულს

S₁ Cause, რომ S₂

რის შედეგად ეიღებო სწორედ ფორმას ა-დულებს ის მას /პირდაპირი ობიექტი/ სხვაგვარად რომ ეძევათ, ის აკეთებს ისე, რომ ს ბ გ ა დულს, გარდაუდებელი ზმნის სუბიექტის გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტად ტრანსპორტიციით. ფორმალურ-სინტაქსური თვალსაზრისით, ამგვარი გარდაქმნის შედეგად ეიღებო ინტანზიტივის ტრანზიტივიზაციას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სხვადასხვა მკვლევარი ამ ფორმაში დადასტურებულ პრეფიქსულ ა-ს ხან გარდამავლობის ნიშნად თვლის /არნ. ჩიქობავა/, ხან კაუზაციის ნიშნად, ხან საარტიკო, ნეიტრალური ქცევის ნიშნად. შინაარსობრივად ყველა დახასიათება მართებულია, ოღონდ აუხსნელი რჩება რატომ ემთხვევა ა-პრეფიქსი რანგობრივად და მატერიალურად ა-მაქცევარს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყოველგვარი გარდამავალი ზმნა ლოგიკურად კაუზაციის შემსველია? ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენი აზრით, ის ზმნები, რომელნიც მიღებულნი არიან გარდაუდებელად კაუზაციისა და ექსტროვერტიზაციის გზით, ზოგიერთ შემთხვევაში სემანტიკურად განსხვავდებიან ბუნებითი გარდამავლებისაგან, რომელნიც პირდაპირი ობიექტს შეიცავენ იმთავითვე, ზმნის ძირის სემანტიკის შესაბამისად. ამ საკითხს ამჟამად დაწვრილებით ეერ განვიხილავთ, რამდენადაც, საფორმებელია, ის უშუალოდ არის დაკავშირებული ზმნის სემანტიკურ-სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურებასთან, რაც ამჟამად ჩვენი კვლევის საგანი არ არის.

ამდენად, ქართულში პირველადი კაუზაციის ორგანული წარმოება განპი-

რობებულია ზმნის შორყოლოგიური პოლიპერსონალიზმით და პირდაპირი ობიექტის შორფოსინტაქსური წარმოქმნის უნარით.

ფაქტობრივ, იგივე სემანტიკური სიტუაცია უდევს საფუძვლად სახელისაჲ გან გარდაშავალი ზმნის წარმოქმნასაც: თუ სახელს გავაზმნავეთ კაუზაციისა და ექსტროვერტიზაციის გარეშე, მივიღებთ ერთპირიან გარდაუვალ ზმნას ასპექტური ვარიაციებით: ბატონი ; ბატონობს/ბატონდება. მაგრამ, თუ გაზმნავეთ პაროუსი ერთდროულად კაუზაცია-ექსტროვერტიზაციას გულისხმობს, მაშინ აუცილებელი გახდება ა-შაქცეერის დართვა, რამდენადაც შემქმელი თვითონ კი არ ხდება ბატონი, არამედ ს ხ ე ა ჯ ხდის ბატონად. ამ საკითხს ქვემოთ დაწერილებით შევხებით.

მაგრამ, თუ გარდაუვალ ზმნას დავურთავთ ა-შაქცეერას ისე, რომ ზმნის გაკაუზაციებმა არ მოხდება, ე.ი. სპეციალური სინტაგმატური პირობების გარეშე, ა-შაქცეერარი წარმოქმნის არა პირდაპირ, არამედ ირიბ ობიექტს, ის მოიქცევა ისე, როგორც ეს შეეფერება ნებისმიერ შაქცეერას არაშარკირებულ სიტუაციაში. შეადარე:

ჰქნება ის / შ₁ თვითონ/ ; ის S₂ Cause, რომ ის S₁ ჰქნება
ა-ჰქნობს ის შ ა ს.

როგორც ვხედავთ, წარმოიქმნა პირდაპირი ობიექტი, მაგრამ ამ პირობის გარეშე:

ჰქნება ის ; ე-ჰქნება ის შას
წარმოიქმნება ირიბი ობიექტი.

კაუზაციის მეორე საფეხური, როგორც ცნობილია, გვაქვს გარდაშავალ ზმნებთან, რომელნიც პირდაპირ ობიექტს უკვე შეიცავენ, ამიტომ ექსტროვერტიზაცია წარმოქმნის არა პირდაპირ, არამედ ირიბ ობიექტს, რომელშიც ტრანსსომირდება პირველადი გარდაშავალი ზმნის სუბიექტი; ხატავს ის შას; ა-ხატვინებს ის შას შ ა ს.

სემანტიკურად ეს შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ხატავს ის / S₁ / შას / O₁ / ; ის / S₂ Cause / ის / S₁ / ხატავს შას / O₂ / და S₂ გაუტოლდება ირიბ ობიექტს, რამდენადაც პირდაპირი

ობიექტი ზმნას უკვე აქვს და მისი გაორმაგება უნივერსალური სინტაქსური წესის თანახმად, არ შეიძლება.

შეიძლება დანახკენა, რომ პირდაპირი ობიექტის წარმოქმნა არის არა მხოლოდ პარადიგმატული მოვლენა / ერთგანზომილებიანი პრივატული ოპოზიცია/, არამედ სინტაგმატურად გაპირობებული გრამატიკული პაროუსი; გარდაუვალი ზმნა ო კაუზაციის პირველი საფეხური + ა-შაქცეერის დართვა.

ყველა სხვა შემთხვევაში შაქცეერების დართვა ან შაქცეერების გარკვეული სახის მონაცდლობა წარმოქმნის მხოლოდ ირიბ ობიექტს.

რა განაპირობებს ობიექტების მოსპობას? როგორც ითქვა, ობიექტების მოსპობის უნარი აქვს მხოლოდ ი- და ე-შაქცეერებს. სინტაგმატური პირობების გარეშე ი-შაქცეერარი სპობს ირიბ ობიექტს, ისევე, როგორც შასვე წარმოშობს სხვა შაქცეერები. აქ არ ვხეებით ე, წ, ოდენ რეგლექსივებს, რომელთაც არა აქვთ საოპოზიციო ექსტროვერტული ცალი. მაგალითად:

ე-უ-წერ მე მას მას ; ე-ი-წერ მე მას. ე-უ-შენებ მე მას მას ; ე-ი-
შენებ მე მას. ე-ა-ღვამ მე მას მას ; ე-ი-ღვამ მე მას. ე-ე-ხატები
მე მას ; ე-ი-ხატები მე და მისა. როგორც წესი, ირიბი ობიექტის მოსაზრ-
ბას ადგილი აქვს ეინ-ის რიგის პირის ნიშნებთან. თუ რატომ არის ეს ასე,
ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

პირდაპირი ობიექტის მოსაზრება კი, მისი წარმოქმნის შესავსად, სინ-
ტაგმატურად არის შეპირობებული. იგი ხორციელდება დეკაუზიაციის პროცეს-
თან დაკავშირებით.

სემანტიკურად ობიექტები ისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მ ი ლ ა მ ა რ
კ ე პირი აიგივებს თავის თავს რომელიმე ობიექტთან. მაგალითად, თუ
მე ეინმეს რაიმეს ცუხატავ ან ვუწერ, ეუფულებ და მისა., მე შეიძლება ეს
მოქმედება უკუვაქციო ჩემსკენ, წარმოვიდგინო თავი იმ პირად, რომლისთვის,
რომლისკენ და ა.შ. ეახორციელებ მოქმედებას. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს
როგორც გარდაშეად, ისე გარდაუვად ჩინასთან, მაგრამ გარდაუვად ჩინას-
თან უკუქცევა შინაპარსობლივად უფროს მნიშვნელობას „თვითონ“ და დეკაუზი-
აციის პროცესის შედეგია, რომელიც პირდაპირი ობიექტის მოსაზრბას მოჰყვება
და განხორციელდება მაშინ, როდესაც მოლაპარაკე გააიგივებს თავის თავს
პირდაპირ ობიექტთან, ცხრდი მე სხვას ; ე-ი-ჩრდები მე თვითონ. ე-რეც-
ხად მე სხვას ; ე-ი-რეცხები მე თვითონ და მისა.

სემანტიკურად ეს გარდაქმნა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ :
მე ეაკეთებ ისე, რომ სხვა იჩრდება ; ჩრდის პროცესს მე თვითონ განვიც-
დი. როგორც ცხედავთ, აქ საქმე გვაქვს კაუზიაციის საპირისპირო პროცესთან
ე ე კ ა უ ზ ა ც ი ა ს თ ა ნ. მაგრამ კაუზიაციისგან განსხვავებით აქ
მარკირებულია არა მოქმედების ექსტროვერტიზაცია ახალი ობიექტის შემო-
ტანით, არამედ რეფლექსივიზაცია, რომელიც სწორედ ამ ობიექტს სპობს.

ამრიგად, თუ მაქცევების წარმომქმნელი ფუნქცია ჩრდიდა ჩინის ეა-
ლენტობას და განაცრყობდა წინადადებას, ი-მაქცევების გაპირობებული უკუ-
ქცევითი ფუნქცია იწვევს ჩინის ეალენტობის შემცირებას და წინადადების
შეკუმშვას.

ე-მაქცევების ფუნქცია უფრო რთულია. გარდაუვად ჩინებთან ი-მაქცევი-
რთან ფორმებთან შეპირისპირებისას, ე-მაქცევიარი წარმოქმნის ირიბ ობი-
ექტს, მაგრამ გარდაშეად ჩინებთან შეპირისპირებისას პირდაპირი ობი-
ექტის მოსაზრბის ფუნქციას ახორციელებს; ე-უ-ჩრდი მე მას მას ; ე-ე-
ჩრდები მე მას თვითონ. აქაც რეფლექსივიზაციასთან გვაქვს საქმე; ისე
კი არ ეაკეთებ, რომ ს ხ ე ა ს . გავუჩარდო ეინმე, არამედ მე თვითონ გან-
ცრდი ჩრდის პროცესს ეილაცისთან. ამრიგად, ე-მაქცევიარი ურთოდროულად ორ
ფუნქციას ასრულებს; ერთი მხრივ, ის აჩენს ირიბ ობიექტს ი-მაქცევიართან
შიმარბებით. ხოლო მეორე მხრივ, სპობს პირდაპირ ობიექტს ირიბის შენარ-
ჩუნებით, გარდაშეად ა-/-უ- მაქცევებიან ჩინებთან შეპირისპირებით.
საინტერესოა ე-მაქცევების მარისეული ინტერპრეტაცია დიაქრონიული თვლ-
საზრისით. მისი აზრით, ე-მაქცევიარი მიღებულია ა- და ი- მაქცევების
შერწყმით. ამგვარი დიაქრონიული ახსნა დამატებით დასაბუთებას მოითხოვს,

რადგანაც მაქცევრებს ყოველთვის ერთი რანგი აქვთ, ისინი პარადიგმატულად უპირისპირდებიან ერთმანეთს და ამდენად სინტაგმატურ კომბინაციებს არ გვაძლევენ /მაქცევრების რანგობრივი დახასიათება იხ. დამენია მ./.

დიაქრონიულად შერწყმა შეიძლება გვევარაუდნა მხოლოდ წინარქებარეულ დონეზე იმ დიაქტურ ელემენტებში, რომელიც პირის ნიშნებსა და მაქცევრებს დაედო საფუძვლად. მაგრამ სინქრონიულად ე-მაქცევრის ორმაგი ფუნქცია საესებით დასაშვებია, რამდენადაც ის ასახავს ფორმათა რეალურ ოპოზიციას. ი- და ე- მაქცევრებს გამოყენების ფართო სპექტრი აქვთ. ჩვენ ამ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ მეორე ნაკვეთში. ი-/ე-მაქცევრების ურთიერთმიმართება მორფოლოგიური თვალსაზრისით სრულად აქვს აღწერილი ა.შანიძეს. ის შემთხვევებით, როდესაც ე-მაქცევარი კარგავს მიცეპითიან და მარბავს დახდებულთან ოპოზიციას დიაქრონიული თვალსაზრისით ახსნილი აქვს ლ.ნ.-ჩაძეს /იხ. ნოზაძე ლ. /. ყურადსაღები დაკვირვებები ამ საკითხთან დაკავშირებით აქვთ დეტერსს, ბრედს, ა.პარისს, ბ.ჯორბენაძეს /იხ. ბიბლიოგრაფია/. დიაქრონიული თვალსაზრისით ამ მაქცევრების ფუნქციები შესწავლილი აქვთ არნ.ჩიქობავას, ქ.ლმთათიძეს, გ.როგავას.

ამრიგად, პირდაპირი ოპოზიციის წარმოქმნა-მოსპობის თვალსაზრისით შემთხვევა შემდეგი კანონზომიერება: ეს პროცესი როგორც ოპოზიციის წარმოქმნის, ისე მისი მოსპობის მხრივ დაკავშირებულია კავშირისთან და უპირატესად ხორციელდება ეინ-ის რიგის პირის ნიშნებთან. ოღონდ პირველ შემთხვევაში ა-მაქცევარი აჩენს პირდაპირ ოპოზიციას ერთპირიანი გარდაუვალ დონის გაკავშირების დროს, ხოლო მეორე შემთხვევაში ი-მაქცევარი სპობს პირდაპირ ოპოზიციას გარდაუვალ დონის დეკავშირება-რეფლექსივიზაციის პროცესში. პირდაპირი ოპოზიციის გაჩენის პირობები ცხადია და ცალსახა მიმართულება აქვს, რამდენადაც მარკირება ოპოზიციის მხოლოდ ერთი წევრისა ხდება: ა-მაქცევარი ემატება ჩვენის უხმოვნო ძირს; დულს ის : ა-დულს ის მას. იგივე შეიძლება ითქვას ოპოზიციის გარდაუვალ დონის იმ კლასის მიმართ, რომელსაც ავრთვე უხმოვნო ძირი აქვს, ამიტომ აქაც პირდაპირი ოპოზიციის მოსპობა ცალსახა მიმართულებისაა: ხატავს ის მას : ი-ხატება ის /როდესაც უხმოვნობაზე გვაქვს საუბარი ევალისხმობა მხოლოდ მაქცევრებს/, მაგრამ, როგორც ცნობილია, გვაქვს რიგი ისეთი ზმნები, სადაც ი-მაქცევარი მიერთვის ისეთ გარდაუვალ დონებს, რომელთა სა-ოპოზიციო გარდაუვალ დონეები ა-მაქცევრისაა: ა-ბავს ის მას : ი-ბეება ის. ა-გებს ის მას : ი-გება ის. ა-ნებებს ის მას : ი-ნება ის. აქ ჩემოაღნიშნული ცალსახობა პროცესის მიმართულებისა დარღვეულია. ოპოზიციის ორივე წევრია მარკირებული. სინქრონიულად ერთ-ერთი მარკერი ზედმეტია, რამდენადაც ორივე მათგანი ფაქტობრივ ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს: ერთი წარმოქმნის პირდაპირ ოპოზიციას, ხოლო მეორე მასვე სპობს. ოპოზიციის შესაქმნელად სრულიად საკმარისი იქნებოდა ოპოზიციის ან წარმოქმნა, ან მოსპობა, როგორც ეს ადრე განხილულ შემთხვევებში გვაქონდა. როგორ უნდა აიწეროს ეს მოვლენა, წარმოქმნის თუ მოსპობის ტერმინებში? დიაქრონიულად ეს საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში სპეციალურ კვლევას

მოთხოვნს, რაც ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს /ამის შესახებ იხ. მაგალითად: ჩიქობავა არნ. 1970; მაკვაერარიანი გ. 1959/. ფორმალური თვალსაზრისით ორივე მიმართულება დასაშვებია, რამდენადაც ი-მაქცევარი სპობს ა-მაქცევრის მიერ წარმოქმნილ პირდაპირ ობიექტს. მაგრამ ჩვენ მაინც ეარჩიეთ უპირატესობა მიგვეცა ი-მარკერის ფუნქციისათვის, რამდენადაც მთელი სისტემის თვალსაზრისით ის უფრო მარკირებული ჩანს. ობიექტის მოსპობა უფრო იშვიათ შემთხვევებში ხდება, ეიდრე მისი წარმოქმნა. როგორც ა-, ისე ი-მაქცევრებს აქვთ ობიექტის წარმოქმნის შესაძლებლობა, მაგრამ მხოლოდ ი-მაქცევარი სპობს პირდაპირ ობიექტს. ამიტომ მისი მოქმედება ამ შემთხვევაში გამორჩეულია. რომ ა-მაქცევრის ფუნქცია მართლაც ნეიტრალურივლია, ჩანს აგრეთვე შემდეგი გარემოებიდან. ამ კვანის ჩმნებს აქვს ერთი თვისებურება. ამ რიგის გარდაშვად ჩმნათაგან იწარმოება გარდაშვად სტატკურ მდგომარეობის აღმნიშვნელი ჩმნები. როდესაც სტატკური ჩმნები იწარმოება უმაქცევრო გარდაშვადლი ჩმნებისაგან, შესაბამისად შათაც აქვთ უმაქცევრო ფორმები, რომლებიც უპირისპირდებიან ა-მაქცევრიან ფორმებს, რომლებიც, წესისამებრ, ირბ ობიექტს წარმოქმნიან; თესაც ის მას ; თესია ის ; ა-თესია ის მას. ხატაც ის მას ; ხატია ის ; ა-ხატია ის მას. ამ შემთხვევაში ა-მაქცევარს შენარჩუნებული აქვს ირბი ობიექტის წარმოქმნის პროდუქტიული უნარი. მაგრამ, როდესაც სტატკური ჩმნები იწარმოება ა-მაქცევრიანი გარდაშვადლებისაგან, შთ უმაქცევრო ფორმები აღარ აქვთ და ა-მაქცევრის წარმოქმნილი ფუნქცია კი ხშირად დაჩრდილულია:

ა-ნთებს ის მას ; ა-ნთია ის /მაგრამ არა გვაქვს ნთია/

ა-ბამს ის მას ; ა-ბია ის /მაგრამ არა გვაქვს ბია/

ა-კრაც ის მას ; ა-კრია ის /მაგრამ არა გვაქვს კრია/

ა-გებს ის მას ; ა-გია ის /მაგრამ არა გვაქვს გია/ და მისთ.

ამიტომ ამგვარად ნაწარმოებ სტატკურ ჩმნათა პირიანობის საკითხი არ არის ერთგვაროვანი. ჩოგი მათგანი დღესაც ოპირიანია, მაგალითად, აკრია ის კედელს. ჩოგს მიცემითიანი ობიექტი თანდებულიანი აქვს შეუვლილი, მაგალითად, აგდია ის მიწაზე, აბია ის ხეზე. ჩოგი კი ერთპირიანი გახდა, მაგალითად, ანთია ის. ა-მაქცევარს ამ შემთხვევაში ობიექტის წარმოქმნის პროდუქტიული ძალა თითქმის დაკარგული აქვს, ის ფუნქციურად ეტოდება ძირისეულ ხმოვანს. ეს კიდევ უფრო აშკარა ხდება იმ შემთხვევაში, სადაც ამგვარად ნაწარმოებ სტატკურ ჩმნებში ორივე ფორმა დასტურდება: ა-გდებს ის მას ; გდია/აგდია ის, მაგრამ ა-მაქცევარს ირბი ობიექტის წარმოქმნის ძალა აღარ აქვს და ის უმაქცევრო ფორმის უფუნქციო ეარიანტად გვევლინება. ჩვენი აზრით, ეს იმიო უნდა აიხსნას, რომ გარდაშვად ფორმებში ა-მაქცევრის ძალა ნეიტრალურივლია და ამიტომ შათგან ნაწარმოებ სტატკურ ჩმნებშიც ა-კარგავს მაქცევრისთვის დამახასიათებელ თვისებებს.

ჩემოქმედი გვაფიქრებინებს, რომ ა- : ი- მაქცევრების შედარებით ძალა ობიექტის წარმოქმნა-მოსპობის მარკირების თვალსაზრისით ი-მაქცევ-

რისკენ იხრება. რომ აქ ა-მაქცერის ღწქცია მარბაყ დაჩრდილლი უნდა იყოს, ჩანს სხვა სინჯრონიული და ღაქქრონიული ხასიათის მონა-
ცემებიდანაც, რაზედაც ევემო გვექნება საუბარი.

შენიშნულია, რომ არსებობს გარდაუვალ ჩმნების მაქცერიაანი და უმაქ-
ცერო პარალელური ფორმები. ადრე ეს ფაქტი აღნიშნული ქქონდა თ.ქორდა-
ნიას /იხ. ქორდანია თ./ ამ საკითხს ეხება ა.შანიძე და დაწვრილებით
განიხილავს ბ.ჯორბენაძე /იხ.ჯორბენაძე ბ. 1975/. საკითხის გადაწყვე-
ტის თვალსაზრისით ჩვენ მას საღესებით ვეთანხმებით და ვიყენებთ კიდევ
მის მაგალითებს, ოღონდ არსებითი განსხვავებით: ბ.ჯორბენაძე მსჯე-
ლობს გვარის კატეგორიის ცნებებით და ტერმინებით, ჩვენთვის კი ამ მოვ-
ლენის კვალიფიკაციისას ყველგან ამოსავალია ქცევის კატეგორია. განსა-
ხილველი ფორმებია: ი-თანგება ; თანგება ტიპისა. ამგვარ შემთხვევებ-
ში სინქრონიულად ამ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ამოსავლად შეიძ-
ლება ვიგულოთ სხვადასხვა გარდამავალი ჩმნა:

- ა-შხამებს ის მას : შხამება ის
- შხამავს ის მას : ი-შხამება ის
- ა-თანგებს ის მას : თანგება ის
- თანგავს ის მას : ი-თანგება ის
- ა-ნათლებს ის მას : ნათლება ის
- ნათლავს ის მას : ი-ნათლება ის
- ა-ბინდებს ის მას : ბინდება ის
- ბინდავს ის მას : ი-ბინდება ის
- ა-ხერხებს ის მას : ხერხება ის
- ხერხავს ის მას : ი-ხერხება ის და მისთ.

ა-მაქცერის ღწქცეებს დაწვრილებით განვიხილავთ მეორე თავში. აქ
კი შევნიშნავთ, რომ კაუზაცია-დეკაუზაცია-რეფლექსივიზაცია არ არის
უბრალოდ +, -, ნიშნით დაპირისპირებული პროცესები. როგორც ეს ენაში
ჩვეულებრივ ხდება, ამ ღორმალურ ოპოზიციას სხვადასხვა სინტაქსურ
გარემოებაში სხვადასხვაგვარი სემანტიკური დატვირთვაც ახლავს, რაც
ხშირად ასიმეტრიის მიზეზი ხდება. დროთა ვითარებაში ენაში შეიძლება
დაიკარგოს ამოსავალი ფორმა, მაგალითად, სახელი, რომლისგანაც ორთვე
ფორმა იყო ნაწარმოები, ანდა ჩმნის სხვადასხვა წყვილიდან რომელიმე ერ-
თი ფორმა, რის შედეგად შეიძლება მივიღოთ ჩმნათა ისეთი დაპირისპირე-
ბები, რომლებსაც სინქრონიული ახსნა ალარ დაქვემდებება, რაშენადაც
პირველადელი ოპოზიციები ნათელი სემანტიკით დროთა ვითარებაში მონიშლება.
ასეთ წყვილებად თანამედროვე ქართულში შეიძლება მივიჩნიოთ: ა-პობს :
ი-პობა; ა-წრობს : ი-წრობა; ა-ბნევს : ი-ბნევა; ა-კმევს : ი-კმევა
და მისთ. ამ წყვილებში ა-ს ღწქცია დაჩრდილლია. ამიტომ ვცანით შე-
საძლელად ამ ოპოზიციებში მარკირებულად ჩაგვეთვალა ი-მაქცერარი და
დაგვეხასიათებინა ოპოზიციის მისი ღწქციის მიხედვით.

რ-გორია მაქცერების განაწილება მოლაპარაკე /I და II/ და არამო-

ლაპარაკე პირების მიმართ ერთი მხრივ, და მ ა ნ -ის და ე ი ნ-ის რიგის პირის ნიშნების მიმართ, მეორე მხრივ? ამ თვალსაზრისით ქართულში შემდეგი სურათი დასტურდება: ა-, ე-, ი-მაქცევრები შეიძლება გვექონდეს ყველა პირთან;

ე-ა-კეთებ	მ-ა-კეთებს	ე-ე-კითხები
ა-კეთებ	გ-ა-კეთებს	ე-კითხები
ა-კეთებს	ა-კეთებს	ე-კითხება
		მ-ე-კითხება/ი
		გ-ე-კითხება/ი
		ე-კითხება

ე-ი-ყვან	მ-ი-ყვან/ს
ი-ყვან	ბ-ი-ყვან/ს
ი-ყვანს	ი-ყვანს
უ-მაქცევარი გვაქვს ეინ-ის რიგის ყველა პირის ნიშანთან;	
ე-უ-ხატავ	ე-უ-ფულვარ
უ-ხატავ	უ-ფულხარ
უ-ხატავს	უ-ფულს და მისთ.

მაქცევრების განაწილების თვალსაზრისით გვაქვს შემდეგი შეზღუდვები: ი-მაქცევარი არ გვხვდება მან-ის რიგის იმ გარდაუვალ ზმნებთან, რომელნიც ნაწარმოებია სწორედ ი-მაქცევრის საშუალებით, კერძოდ, პირდაპირი ობიექტის მოსაპოვით, რის შედეგადაც ზმნა გარდამავალთა კლასიდან გარდაუვალ კლასში გადაინაცვლებს. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც მაქცევარს ფორმალურად შეეძლო ეკისრება და სხვა მნიშვნელობით იმავე ფორმალურად იმდენად განხორციელებს. ეს გარემოება ასახვას პოვებს იმაშიც, რომ იმ გარდაუვალ ზმნებში, რომელნიც არ არიან ი-მაქცევრით ნაწარმოები, ი-მაქცევარი მან-ის რიგთან თავისუფლად ფუნქციონირებს და ირრბ ობიექტს წარმოქმნის; მ-ი-ხმება, მ-ი-ყვება, მ-ი-ბერება და მისთ, ხოლო რადგანაც გარდამავალი ზმნის მან-ის რიგის ი-მაქცევრიან ფორმას ე-მაქცევრიანი ფორმა შეესატყვისება სამპირიან ზმნებთან, ე-მაქცევარი მან-ის რიგთან ბუნებრივად გრძნობს თავს; მ-ი-ხატავს ; მ-ე-ხატება და მისთ. რომ ეს მართლაც ასეა, ჩანს აგრეთვე იქიდან, რომ სხვა შემთხვევებშიც, როდესაც ი-მაქცევარს ფორმალურად შეეძლო ეკისრება მაგალითად, მედროსტორ ზმნებთან II სერიაში: ი-ფულა, ი-გორა, ი-ბატონა, ი-მეფა და მისთ., ეს ზმნებიც ვერ დაირთავენ მ-ი- მიმდევრობას და ვერ გახდებიან ოპირიანნი. ამ გარემოებას ყოველთვის ზმნის სემანტიკით ვერ აგხსნივთ, რადგანაც იგივე ფულს, გორავს, წუხს... ზმნები, სადაც მათ ი-მაქცევარი მარტომობლად არა აქვთ, სრულიად ბუნებრივად ხდებიან ოპირიანნი მ-ი- ნიშნების მეშვეობით; მ-ი-ფულს, მ-ი-წუხს, მ-ი-გორავს... სამხატვროდ, თუ საშუალო ზმნას აწმყოშივე მარტომობს ი-მაქცევარი, მაშინ მას არც აწმყოში ექნება მ-ი- შეხამება; ა-სვენებს ; ი-სვენებს, ა-ძინებს ; ი-ძინებს... არა გვაქვს მ-ი-სვენებს, მ-ი-ძინებს.

ამ მხრივ საინტერესოა ის ზმნები, სადაც ფორმათა პარალელიზმი გვაქვს. ა-მღერს ; ი-მღერს - არა გვაქვს მ-ი-მღერს, მაგრამ მღერს/მღერის ფორმებისათვის მ-ი-მღერს/მ-ი-მღერის წარმოება ბუნებრივია.

შეჩუდულია ი-მაქცევრის ხმარება პირდაპირი ობიექტის მოსპობის ფუნქციით იმ ფორმებთან, სადაც ი-მაქცევრის მიერ ირიბი ობიექტის წარმოქმნას ფორმასაწარმოებელი ფუნქცია ენიჭება. ასეთი ეთაბრება გვაქვს გარდა-მაველ ზმნათა და მედიოპტივთა I თურმეობითში; მ-ი-ხატავს/და-მ-ი-ხატავს ტიპისა. შეიძლება განვარჯიშოთ: მაქცევართა თავისუფალი მონაცვლეობა შეჩუდულია იქ, სადაც რომელიმე მაქცევარს ფორმასაწარმოებელი ფუნქცია ენიჭება. ამ წესს არ ემორჩილება მხოლოდ ა-მაქცევარი. ის თავისუფლად მონაცვლეობს სხვა მაქცევრებთან მაშინაც, როდესაც აწარმოებს კაუზაციის სინტაგმატურ პირობებში პირველი საფეხურის გარდამაველ ზმნას: ე-ა-ფულბ ; ე-ი-ფულბ ; მ-ი-ფულბ/ს ; ე-უ-ფულბ... რაც კიდევ უკეთესად წარმოაჩენს მის არამარკირებულ ბუნებას. სამაგიეროდ, მეორე საფეხურის კაუზატივებში ა-ფულბინებს ტიპისა მონაცვლეობა შეზღუდულია; არ დასტურდება ი-ფულბინებს, მ-ი-ფულბინებს...

ჩვეულებრივ, მან-ის რიგთან ი-მაქცევარი წარმოქმნის ირიბ ობიექტს, მაგრამ ა.შანიძეს აღწერილი აქვს შემთხვევები, როდესაც მან-ის რიგთან ი-მაქცევარი აჩენს არა ირიბ, არამედ პირდაპირ ობიექტს, ა.შანიძის ტერმინოლოგიით, სათავისო ქვეყის ნიშანია; იკვლისხმება მ-ი-ყვანს ტიპის ზმნები, რომელნიც თავისი მნიშვნელობის მიხედვით, ომონიპურნი არიან. შდრ. ერთი მხრივ, ე-უ-ყვან მე მას მას ; მ-ი-ყვანს ის მე მას - წარმოქმნება ირიბი ობიექტი, მაგრამ ე-ი-ყვან მე მას ; მ-ი-ყვანს ის მე, მან-ი პირდაპირ ობიექტს გამოსხატავს. როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ამ ფორმებს? ხომ არ შეიძლება ი-მაქცევარმა ერთსა და იმავე დროს მოსპოს ირიბი ობიექტი და წარმოქმნას პირდაპირი? საქმე ის არის, რომ ამ ტიპის ზმნებს არ გააჩნიათ უმაქცევრო, ნეიტრალური ფორმები, არც ა-მაქცევარიანი არამარკირებული ფორმები. ა.შანიძე ამგვარ ი-მაქცევარს საარვისოს უწოდებს, რითაც გახზავს მისი ფუნქციის ნეიტრალიზაციის ფაქტს. მართლაც, ამგვარ ფორმებში წაშლილია ოპოზიცია სათავისო და სასხვისო მნიშვნელობებს შორის; ე-ი-ყვან მე მას ჩემთვის ; ე-ი-ყვან მე მას სხვისთვის. საფიქრებელია, სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ი-მაქცევრის მერობლობას მან-ის რიგთან პირდაპირი ობიექტის მნიშვნელობით. ფაქტობრივ აქ ისეთივე სიტუაცია დასტურდება, რაც ა-მაქცევართან გვაქვს. შდრ. ე-ა-ყვანბ მე მას ; მ-ა-ყვანებს ის მე, სადაც ობიექტს აღიქვამს არ ეტყობა, მონაცვლეობენ მხოლოდ III და I პირის ობიექტები.

შეჩუდულია ი-მაქცევრის ხმარებაც. იგი გვხვდება ყველა პირის ნიშანთან, გარდა მან-ის რიგის I და II პირისა. არ დასტურდება

მ-უ-ხატავს

მ-უხატავს

III პირი კი ეინ-ის რიგისას ემთხვევა, ამიტომ აქ უ-მაქცევარი გვაქვს; უ-ხატავს.

ამდენად, თუ ა-, ე-, ი-მაქცევრები არ არჩევენ მოლაპარაკე და არა-
 მოლაპარაკე პირებს /ისინი განურჩევლად ყველა პირთან გვხვდება/, უ-მაქცე-
 ვარი არჩევს პირებს, მან-ის რიგში ის გვხვდება მხოლოდ III არამოსაუბ-
 რე - ირიბ ობიექტურ პირთან. ამიტომ, თუ კი ა-, ე-, ი-მაქცევრები წარ-
 მოქმენიან /ი სპობს/ ობიექტებს პირთა განურჩევლად, უ-მაქცევარი წარმო-
 ქმენის მხოლოდ III ირიბ ობიექტურ პირს. მისი ასეთი ფუნქცია ასიმეტრიას
 ქმენის ქცევის სხვა ნიშნებთან შედარებით;

ე-ა-კეთებ : მ-ა-კეთებ/ს	ე-ე-ბრძვი : მ-ე-ბრძვი/ს
ა-კეთებ : გ-ა-კეთებ/ს	ე-ბრძვი : გ-ე-ბრძვი/ს
ა-კეთებს ა-კეთებს	ე-ბრძვის : ე-ბრძვის

ე-ა-წერ : მ-ა-წერ/ს	ე-ი-რტყამ : მ-ი-რტყამ/ს
ა-წერ : გ-ა-წერ/ს	ი-რტყამ : გ-ი-რტყამ/ს
ა-წერს : ა-წერს	ი-რტყამს : უ-რტყამს

ე-უ-რტყამ
 . უ-რტყამ
 უ-რტყამს

ე-ე-ბადები : მ-ე-ბადები/ა	ე-ა-ხმები : მ-ა-ხმები/ა
ე-ბადები : გ-ე-ბადები/ა	ა-ხმები : გ-ა-ხმები/ა
ე-ბადება : ე-ბადება	ა-ხმება : ა-ხმება

ეს ასიმეტრიულობა ბადებს კითხვას, რით უნდა აიხსნას ასეთი ციოარება?
 სინქრონიულად თითქოს ხელის შეშლელი პირობა არა გვაქვს. თუკი სხვა
 მაქცევრები ეტუებიან მან-ის რიგის პირის ნიშნებს, რატომ ექვემდებარე-
 ბა აკრძალვას მხოლოდ უ-მაქცევარი და ის გვაქვს მხოლოდ III ირ.ობიექ-
 ტურ პირთან. ამის ახსნა, ჩვენი აზრით, მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვე-
 ვაში, თუ დავუშვებთ დიაქრონიული ხასიათის პირობებს, რომელთა წყალო-
 ბით მივიღებთ ზემოაღნიშნული ასიმეტრია სინქრონიაში. დიაქრონიული დვალ-
 საზრისით საკითხი უნდა განდინილთ ქართველურ ენათა დაუშლელი ერთიანო-
 ბის ბეროადის მიმართ, რადგანაც ქართული ენის შესახებ ზემოთ ნათქვამი
 ცრცელება ყველა თანამედროვე ქართველურ ენაზე. ამდენად ის პირობა,
 რომელიც კრძალავს უ-მაქცევარს I და II ობიექტურ პირთან, უნდა არსებუ-
 ლყო წინარქართველურ ეპოქაში.

კითხვა ისმის, ხომ არ არის უ-მაქცევარი უფრო გვიანდელი წარმოშო-
 ბისა სხვა მაქცევრებთან შედარებით? /იხ.თოფურია ვ. 194/, ქავთარაძე ივ
 ფოგტი ვ. 1974/. ვ.ფოგტი ამ საკითხს განიხილავს ზმნურ ფუძეებთან დაკავ
 შირებით და უ-მაქცევარს ი-მაქცევრის ფონეტიკურად შეპირობებულ გარიან-
 ტად მიიჩნევს. ჩვენ ამ ფაქტულს ეთიარებთ. მაგრამ, ჩვენი აზრით, მხო-
 ლოდ ფონეტიკური შეპირობებულობა საკითხის ასახსნელად არ არის საკმარისი.
 თუ გავთვალისწინებთ, რომ წინარქართველურში არ უნდა გვექონოდა
 III სუბიექტური პირის სუფიქსური ნიშანი, ხოლო უკვე გარდა ძლიერი ტენ-

ი-მაქცევრის შემთხვევაში. მაგალითად, თუ გარდაამავალ ჩვენში ირბი
ობიექტს აჩენს ი-, ან ა- მაქცევარი, შესაბამის გარდაუვალ ჩვენში
გვეძნება ი-მაქცევარი:

- მ-ი-ხატავს : მ-ი-ხატება/ი
- გ-იხატავს : გ-ი-ხატება/ი
- * ხ-ი-ხატავს : ხ-ი-ხატება

- მ-ა-წერს : მ-ი-წერება/ი
- გ-ა-წერს : გ-ი-წერება/ი
- ხ-ა-წერს : ხ-ი-წერება

ირბი ბიექტის სპეციალური მარკირება რომ მან-ის რიგის პარადიგ-
მაში უნდა მომხდარიყო, ეს თითქოს დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ მხოლოდ
უ-მაქცევარს აქვს უნარი წარმოქმნას მხოლოდ III ირ.ობიექტური პირი.
ამ შემთხვევაში მაქცევარს აქვს პირის ნიშნის ფუნქცია. ეს ეარაუდი გა-
საგებს ხდის იმ ფაქტსაც, თუ რატომ არა გვაქვს უ-მაქცევარი მან-ის
რიგის I და II პირის ფორმებთან /უ-მაქცევრის წარმოშობის სხვაგვარი
ინტერპრეტაციისათვის იხ. პალმაიტი ლ.1984/.

შეიძლება დავასკვნათ, რომ წინარტქართული გარკვეულ პერიოდში
არსებობდა მხოლოდ სამი მაქცევარი: ი-, ა-, და ე-. ამ ეარაუდს მხარს
უჭერს მაქცევრების სემანტიკური ფუნქციების განაწილება. უ-მაქცევარი
ყველაზე მარკირებულია და ქმნის სხვა მაქცევრებისგან განსხვავებულ
სემანტიკურ ობიექტებს.

მაქცევრების პირის ნიშნების მიმართ განაწილების თვალსაზრისით
ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა
ენიჭება მაქცევრების ფუნქციონალური დახასიათების თვალსაზრისით.
/იხ. მაჭავარიანი შ. 1983/

ვინ-ის რიგთან ა-, ე-, და უ-მაქცევრები წარმოქმნიან III პირის
ობიექტებს და შესაბამისად ე რ თ ი აქტანტიო ზრდიან ჩვენის ეადენტობას.
ამგვარად, ჩვენში ფორმალურად ასახულია ორივე პირი - როგორც სუბიექტ-
ტისა, ისე ობიექტის: სუბიექტის პირი - ტრადიციული პირის ნიშნებით,
ხოლო ობიექტის პირი - მაქცევრებით. ყურადღების ღირსია, რომ ვინ-ის
რიგთან განსხვავებულია არა მარტო რომლობა, არამედ როგორობა პირებისა
/ა.შანიძის ტერმინოლოგია/. ვინ-ის რიგის პირის ნიშნები გამოხატავენ
I, II, III სუბიექტურ პირებს, ხოლო მაქცევარი მხოლოდ ობიექტის III
პირს. პირის რომლობის დამთხვევა ხდება მხოლოდ III პირში:

- ვ-ა-შენებ მც/1/ მას/III/
- ა-შენებ შენ/II/ მას /III/
- ა-შენებ-ს ის /III/ მას /III/

- ე-ი-ლაპარაკები მც /1/ მას /III/
- ე-ლაპარაკები შენ /1/ მას /III/
- ე-ლაპარაკება ის /1/ მას /III/

ვ-ზ-ბერდები შვ /1/ შას /III/

უ-ბერდები შენ /1/ შას /III/

უ-ბერდება ის /1/ შას /III/ და შისა.

როგორც ზემოთაღნიშნულად ითქვამს, რაგვარობის თვალსაზრისით შედარებით ცი-
ნის რიგთან წარმომქმენიან ირიბი ობიექტს, გარდა ერთი შემთხვევისა, რა-
დესაც კაუზიაციის პირობებში ა-შექვევარი წარმომქმენის პირდაპირ ობიექტს.
ექმულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შორფსინტაქსური აღწერის
დონეზე ცინ-ის რიგთან შექვევრებს ისევე ეკისრებათ პირის აღნიშვნა,
როგორც ტრადიციულ პირის ნიშნებს. ისინი ფორმალური თვალსაზრისით
ზუსტად ისეთსავე ფუნქციას ასრულებენ, როგორსაც შ-ს ობიექტური პრე-
ფიქსები. შდრ. ა-/უ-წერს ის შას შას : ს-წერს ის შას შას. გან-
სხვავებას ქმნის ის სემანტიკური ნიუანსები, რომელნიც შექვევრების
სპეციფიკურ ფუნქციებს ასახავენ. ამდენად, ფორმალური თვალსაზრისით,
ცინ-ის რიგთან შექვევრები უტოლდება პ ი რ ი ს ნ ი შ ე ე ბ ს და
წმენას ორი ისეთი პირის გამოხატვის უნარს ანიჭებენ, რომელთაც სხვა-
დასოფა აღსანიშნად აქვთ: ცინ-ის რიგს სუბიექტის რანგში, ხოლო შექვე-
ვარს ობიექტის რანგში, რაც ქმნის ზმნის ვალენტობის ზრდის პირობას.

სხვა სიტუაცია დასტურდება შან-ის რიგში. აქ შექვევრის რომლობაც
და რაგვარობაც ემთხვევა პირის ნიშნისას და ცალკე აღებული შექვევარი
ა რ ზ რ დ ი ს წმენის ვალენტობას, ის შან-ის რიგის პირის ნიშნებ-
თან გრძელ კომპონენტს ქმნის:

შა-შენებ-ს ის /III/ შვ /1/

გა-შენებ-ხ ის /III/ შენ /II/

ა-შენებ-ს ის /III/ შას /III/

შვ-ლაპარაკება ის /III/ შვ /1/

შე-ლაპარაკება ის /III/ შენ /II/

ე-ლაპარაკება ის /III/ შას /III/

როგორც ვხედავთ, წმენას ორი სხვადასხვალი მიერთვის, ე.ი. ის ორგა-
დენტია, წმენის ფორმით კი ს ა შ ი ნიშანია: შ-, /გ-, შ-/, შექვე-
ვარი და სუფიქსი -ს. ყოველი მათგანი სინტრონიულ დონეზე ფუნქციონირ-
ებს, რაც სავსეს კითხვას, რატომ გვაქვს აქ წმენაში ერთი ნიშნით შეტე-
ვიან-ის რიგთან შედარებით? ფაქტობრივ შექვევარი ხომ ამ შემთხვევაშიც
წარმომქმენის ობიექტებს და ამ მხრივ ცინ-ისა და შან-ის რიგებს შორის
განსხვავება არა გვაქვს; მაგრამ შან-ის რიგთან შექვევარი ყოველთვის
III პირის ობიექტს კი არ წარმოქმენის, არამედ იმ პირისა, რომელზეც
სინტაქსური ობიექტი დგას. ამდენად, ფუნქციურად პირის ნიშანი და შექ-
ვევარი შან-ის რიგში ერთ მთლიანს ქმნის, ობიექტის სინტაქსურ რანგში
მათ ე რ მ ი დ ა ი გ ი ე ე აღსანიშნად აქვთ, შის რომლობას პირის
ნიშანი გამოხატავს; შის სპეციფიკურ ქვევრით სემანტიკას კი შექვე-
ვარი. ორივე მათგანი ერთ აქტანტს მიემართება და შესაბამისად წმენის
სინტაქსურ ვალენტობასაც მხოლოდ ერთი ერთეული ზრდის.

ამგვიარი სინქრონიული აღწერა ლ ო ვ ი ე უ რ ა ჟ აღვადგინებებს ყ ვ ე ლ ა მაქვეყარაან პირის ნიშანს იქაც, სადაც ამჟამად მაჭერია-ლურად აღარ არის წარმოუგენილი პირის რომელიმის აღმნიშვნელი მარკერი, რაც გარყობილად კარგად მოჩანს, პარადიგმას თუ დადაკვირვებო.

რამდენადაც უინ-ის რიგის პირის ნიშნებთან შექვეყნები მხოლოდ III ობიექტურ პირს წარმოქმნიან, მათ უნდა უქონლდეთ ამ პირის რომელიმის ნიშანი, ე.ი. ა/ბ-, რაც შექვეყნის პირისნიშნისებულ დეტერმინაციას განაოორყოელა. როგორც ცნობილია ძველ ქართულსა და სუანურში ასეთი რამ დასტურდება. მაგრამ ჩვენ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ ეს სინქრონიული აღწერის შინაგანი მთოოენილებითაც ცხადია.

ამრიგად, გვერდა მა-, გა-, ა/ბა ; მე-, გე- ა/ბე-, ა/ბე- პროკლიტიები, რომელნიც სინტაქსური ობიექტის წინქვიით მიერთოლდნენ ჩმნას, აქედან III პირის პროკლიტია თაღისუფალ კომბინაციოში შედიოდა უინ-ის რიგის სინტაქსურ სუბიექტთან. კითხვა ისმის, რატომ არ არის ჩმნაში ვორმალურად გამოხატული სამი პირი, ობიექტი რომ ორგარია: პირდაპირი და ირიბი. ეს არ არის ადვილი კითხვა და პასუხიც მასზე მხოლოდ პრობლემატური შიგაღება იყოს. წმინდა ლოგიკური თელსაზარისით ამას არავერი არ უნდა უჩიდეხ ხელს; ნომინატიური კონსტრუქციის შლონ ენებში სახელის დონზე პირდაპირი და ირიბი ობიექტები ერთმანეთისაგან დორმალურად განსხვავდება და, მუშასადადამე, საესებოთ შისაძლებელი იქნებოდა მათი ჩმნაში წარმოადგენაც განსხვავებული დორმით, მაგრამ ქართულურ ენეზში ასეთი რამ არ დასტურდება. საფიქრებელია, ამის მიზეზი იყოს ჩმნის სინტაქსური კონსტრუქციის თაღისებურება, ეგრძოდ ის დაეტი, რომ II სერიაში ჩმნა ერგატეოდ კონსტრუქციას აღენის, ხლო I სერიაში ნომინატიურს, სადაც ობიექტების მარკირება შედარებით ახალი დაქტი უნდა იყოს. როგორც ჩანს, I სერიაში პირდაპირი და ირიბი ობიექტების დიფერენციაცია არ მოხდა იმ მიზეზით, რომ ჩმნის პარადიგმა საშუალებას იძლევა მათი გარჩევისა პარადიგმატული შეპირისპირების გზით, II სერიაში კი პირდაპირი ობიექტი არამარკირებელია ერგატული კონსტრუქციის წყალბით. შდრ. ყვედასათვის კარგად ცნობილი დაქტი: მ-ე-ეა მან მას ის ; ე-ეაე-ის ის მას მას. ჩმნაში კი პირდაპირი და ირიბი ობიექტების გარჩევის ტენდეცია იმით კი არ გამოხატა, რომ მათთვის სხვადასხვა დორმა მიენილებინათ, არამედ, როგორც ჩემოთაც აღენიშნეთ, პირის რომელ ობის აღმნიშვნელი ა/ბ- პრეფიქსის ელიმინაციით, რაც საესებოთ საყმარისი აღმორდა ობიექტურ პირთა გასარჩევად. ამრიგად, მორდოსინტაქსური სინტაგმატიკის დონეზე ქართულში ამჟამად პირდაპირი და ირიბი ობიექტები განიჩევა II სერიაში სახელთა ბრუნების დიფერენციაციის საშუალებით, ხლო I სერიაში პარადიგმატული სინტაქსური შეპირისპირებოთ I და II სერიებს შორის. ამდენად, ჩმნაში სამი პირის აღნიშვნა ჩედ-მეტი ხდება.

თუ ეს ასეთა, მაშინ რატომ წარმოქმნის ა-მაქვეყარი პირდაპირ ობიექტს? ხაღმე ის არის, რომ ამ პრეზებეციაში ა-მაქვეყარი დორმასაწარმოებულ

ფუნქციას ასრულებს, სახელისგან და სტატოკური ზმნის ფუნქციისგან აწარმოებს გარდაამავალ ზმნას თემის ნიშანთან ერთად. ნასახელარ ზმნათა სამეც-ლების შესახებ საგანგებო მსჯელობა გეგმდება მეორე თავში.

რა უნდა იძღვას ამ კონტექსტში ი-მაქცევირის შესახებ? რედუცირი-ის დონეზე მას აგრეთვე უკისრება ირიბი და პირდაპირი ობიექტების რა-ლის განსაზღვრა ზმნისა და წინადადების სტრუქტურაში, ოღონდ მისი ფუნ-ქციაა პირდაპირი და ირიბი ობიექტების მოსპობა თავისი უწყვეტებით სემანტიკის მეშვეობით. ამიტომ, ობიექტის რამდენობის აღნიშვნა ი-მაქ-ცევირთანაც აუცილებელია, ძველ ქართულში მი-, გი- მიმდევრობის გვერდით გვერდითაა პ/ბი- მიმდევრობაც. თანამედროვე ქართულში კი პ/ბ- ალარ დას-ტურდება, თუმცა აქაც საგულისხმოდ გრამატიკული ლ, რამდენადაც ი-მაქ-ცევირის მოსაზრებე პირებისაკენ უკუაქცევს სწორედ პირდაპირ ან ირიბ ობიექტებს. ვინ-ის და მან-ის რუგებში პ/ბ/ლ ი-მაქცევირის განაწილ-ების წესები ისეთივეა, როგორც სხვა მანქცევირებთან გვერდითა. ვინ-ის რუგთან მანქცევირის უკუაქცევს ობიექტებს სუბიექტებისაკენ /ამ შემ-თხვევაში მხედველობაში გვაქვს მოქალაქისტანსტრი დონე/ და ამდენად რედუცირიის ზონეზედაც ო რ ელემენტთან გვაქვს საქმე, ხოლო მან-ის რუგთან აღსანიშნი ერთია და ამდენად პირის რამდენობის სპეციფიკატორი /პროკლიტიკის თანხმონითი ელემენტი/ და მანქცევირის ერთ აქტანთან ართან მიმართებაში, რასაც შედეგად მოჰყვება არა მისი მოსპობა, არა-მეუ წარმოქმნა. როგორც ჩემთა ვეცადეთ, დაგვისაბუღებინა, განმი-რუბეჯულობის გარეშე ი-მაქცევირის ინდიფერენტულია პირდაპირი და ირიბი ობიექტების გარეშეის თვალსაზრისით, პირდაპირი ობიექტის მარკირება სინტაგმატურ პირობებზე და მოყოლებული და დიატონიულად მეორეული რანს.

საბარებელი ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მანქცევი-რი ვართლიერ ენებში თანხმონითი და ხმონითი ელემენტებისაგან შედ-გება. თანხმონითი ელემენტი ახდენს პირის რამდენობის იდენტიფიკაციას, ხოლო ხმონითი ელემენტებს აკისრია მოქმედების სპეციფიკაცია ზმნის აქტანტების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. სინტაქსური აღწერის თვალსაზრისით, მანქცევირის ყოველთვის ასრულებს ობიექტის როლს /ანუ დამატების როლს/. იგი მიერთვის ზმნის ლარმას ნაცვალსახელური პრო-კლიტიკის სახით; ვინ-ის რუგში წარმოადგენილია მხოლოდ III ობიექტური პირის წარმომქმნელი მანქცევირის, რამდენადაც ზმნა იცვლება სუბიექტური პირების მიხედვით, ხოლო მან-ის რუგში წარმოადგენილია სამივე ობიექტუ-რი პირის წარმომქმნელი მანქცევირები, რამდენადაც ზმნა იცვლის ობიექ-ტური პირების მიხედვით. მანქცევირების რანგია ზმნის ლარის წინა პირ-ელი პირიცია, მით წინ შეიძლება იყოს მხოლოდ I სუბიექტური პირის ნიშანი ვ- და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანქცევირის III ობიექტურ პირს წარმოქმნის. თანამედროვე ქართულში ამ პოზიციადი მანქცევირის თანხმონითი ელემენტი უკლებლად გრამატიკულ ნღას: ვ-და-ხადავ, ვ-წუ-ხადავ, ვ-წი-ხადავ, ე-წი-ხატები, ე-წი-ხატები /ილი რ. შავა-

ლთში, როგორც ეს არანდგზის გაიხაზა, მაქცეერები სპობენ ობიექტებს/. საიდანაც გამომდინარეობს, რომ I სუბიექტური პირი სინტაგმატურად არ შედევს I და II ობიექტური პირების მაქცეერებს /მაქცეერას რომ ვამბობთ, ხმოვანთან ერთად მის პირის იდენტოფიკატორსაც ვგვლისხმობთ/. არ დასტურდება მიმდევრობა: *ვ-მა-ხატავ, *ვ-გა-ხატავ, *ვ-მიხატავ, *ვ-გი-ხატავ, *ვ-გუ-ხატავი და მისთ. ამდენად, I და II პირის ობიექტური მაქცეერები აგრეთვე შედევსობიან მხოლოდ III სუბიექტური პირის სუფიქსებს: მა-ხატავ-ს, გა-ხატავ-ს, შა-ხატავ-ს; მი-ხატავ-ს, გი-ხატავ-ს, შუ-ხატავ-ს, მე-ხატავ-ა, გე-ხატავ-ა და მისთ. ყველაზე ნიშანდობლივია, რომ ზმნის ფორმაში ერთმანეთს არ შედევსობა I და II პირის არც ერთი კომბინაცია, თორემ პირველი სუბიექტური და ობიექტური პირების შეუთავსებლობა შეუძლებელი ტაქსოლოგიით აიხსნებოდა. I და II პირების შინაარსობლივი შეხვედრის შემთხვევაში ზმნის ფორმაში მარკირებულია მან-ის რიგის მაქცეერები: მე შენ გუ-ხატავ, შენ მე ვი-ხატავ... როგორც ცნობილია, ეს საკითხი დასვა არნ. ჩიქობავამ და გადაწყვიტა ერთგვარული კონსტრუქციის ძირითადი მორფოსინტაქსური თავისებურების მიხედვით; ზმნაში პირველ ყოვლისა აღინიშნება ობიექტი. მაგრამ მაინც ღია რჩება კითხვა: რა განაპირობებს ცინ-ის რიგთან ორივე აქტანტის მარკირებას და რატომ შედევსობა ცინ-ის რიგი მხოლოდ III ობიექტურ პირს?

ნაქცეემთან დაკავშირებით სხვა პრინციპული ხასიათის კითხვებიც გაჩნდება: თუკი მაქცეერის სტრუქტურაში შევიტანთ პირთა რომელიმის განმსაზღვრელ ნიშნებსაც /ვ.ი. პირის ნიშნებს; მ-, გ-, ვ/ბ/შ-/ , მა-შინ რა კვალიფიკაცია უნდა შეიყუთს ხმოვნითი ელემენტების გარეშე ზმნაში წარმოდგენილ პირის ნიშნებს; მ-ხატავს, გ-ხატავს, მ-ძულს, ს-ძულს და მისთ? რა მიმართება დადგინდება მათსა და მაქცეერიან პირის ნიშნებს შორის? ისმის მეორე კითხვაც: რატომ არ ახლავს ხმოვნითი ელემენტი ცინ-ის რიგის პირის ნიშნებს? რატომ ემთხვევა ერთმანეთს II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები?

ეს ქართულური ენების სინტრონიული და დიაქრონიული შესწავლის კარგადინალური საკითხებია. არსებობს მათი გადაწყვეტის წუძემდებლური ცდები /ნ.მარი, გ.დებერსი, ა.შანიძე, არნ.ჩიქობავა, ე.თოფურია, ქ.ლომთაძე, გ.როგავა. უკანასკნელად ამ საკითხს იცვლედენენ გ.მუჭავარია, თ.გამყრელიძე, ა.ონიანი, კ.ასათიანი, მ.სუხიშვილი და სხვები/. ცხადია, მოკლე ზოგად მიმოხილვაში ჩვენ ამ საკითხს ვერ გადავწყვეტთ. არცა გვადევს ამის პრეტენზია, მით უმეტეს, რომ საკითხის გადაწყვეტა მოთხოვს ღრმა დიაქრონიულ ანალიზს ყველა თარგმნულური ენის მონხმობით და ზოგადფილოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით. ამჯერად ჩვენი მიზანია, საფარულად დავსვათ რამდენიმე საკითხი ქცევის კატეგორიის განხილვასთან დაკავშირებით. ვარჩევნით, რომ ქცევის კატეგორიის გარეშე პირის კატეგორიის ცვლევა სათანადო სისრულით ვერ წარმართება, რამდენადაც ქცევის კატეგორიის სემანტიკა არსებითად უკავშირდება პირის კატეგორიას. შეიძლება წამოვაცუნოთ იმპლიკაციური დე-

ბულბა აბსოლუტური უნივერსალის სახით: ჩინის მორფოლოგიის დონეზე ქვეყნის კატეგორია ხორციელდება მხოლოდ იმ ენებში, სადაც დასტურდება ამავე სახის პირის კატეგორია. თუ ჩინას მორფოლოგიურად გამოხატული პირის კატეგორია არა აქვს, არც ქვეყნის კატეგორია ექნება. მეტიც შეიძლება ითქვას: ქვეყნის კატეგორიის განხორციელების თავისებურებები, მისი შინაარსობრივი სპექტრი აგრეთვე უზღალო კავშირშია პირის კატეგორიის განხორციელების თავისებურებებთან, საიდანაც გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ თვითონ პირის კატეგორია შინაარსობრივად აძლევს ბიძგს ქვეყნის კატეგორიის ჩამოყალიბებას.

ექმული რომ გასაგები გახდეს, საჭიროა გავცდეთ ადწერის მორფოსინტაქსურ დონეს და განვიხილოთ პირისა და ქვეყნის კატეგორიების სემანტიკა ანუ ის დამდგარი, გამოკვეთილი შინაარსები, რომელთა გამომხატვეც ეკისრება პირისა და ქვეყნის კატეგორიებს მარტივი წინადადების აგების დროს.

ჩვენი აზრით, პირისა და ქვეყნის სემანტიკა ყველაზე ადეკვატურად აღწერება ბ რ უ ნ ვ ი ს კ ა ტ ვ გ ო რ ი ი ს შინაარსით.

მკვლევრები კარგა ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პირის ნიშნები უპირატესად ნაცვალსახელო წარმოშობისაა. ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართულში პირის ნიშნებიც და პირის ნიშნები + მაქვერების ხმონითი ელემენტებიც ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ უ რ ი მ რ კ ე ი ც ი კ ე ბ ი ა /III სუბ.ნიშნები ენკლიტიკები/, რომელიც გარკვეულ სინტაქსურ ბრუნვებში დგანან. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მიცემით-აქუთატივი, მიცემითი და ნათესაობითი. პირის ნიშნებისა და მაქვერების ბრუნვით მნიშვნელობებთან სიახლოვე დიანრონიული თვალსაზრისით აღუნიშნავენ ნ.მარსა და გ.როგაყას. არნ.ჩიქობავა და ქ.ლომთაძომც გახაზავენ ფ უ ნ ქ ე ი რ კ პარალელიზმს ჩინის პირის ნიშნთა და სინტაქსურ აქტანტთა ბრუნვებს შორის /იხ.აღწერა დასახელებული ნიშნები/.

ჩვენი აზრით, ნაცვალსახელო პროკლიტიკები დეესაც, თანამედროვე ქართულში, ბრუნვის ფ ო რ მ ა შ ი დგანან და დასახელებული ბრუნვების ფუნქციას ასრულებენ არა ფუნქციონალური პარალელიზმის აზრით, არამედ უზღალო, ჩინურ აქტანტებისაგან დამოუკიდებლად. მეტიც შეიძლება ითქვას: ნაცვალსახელო პროკლიტიკებში ბრუნვითი მნიშვნელობები უფრო დ ი ფ რ ი ე ს ი კ ე ბ ე უ ე ი ა, ვიდრე ქვემდებარე-დამატებებში.

დასახელებულ ბრუნვათა ზოგადი მნიშვნელობები გაანალიზებული და დადგენილი აქვთ ლ.იელმსლევსა /იხ.იელმსლევსი ლ./ და ო.იაკობსონს. /იხ.იაკობსონი ო./ ჩვენ მათ მიერ მოცემულ განსაზღვრებებს ეყრდნობით.

ავაორები განიხილავენ ყველა ბრუნვათა ფუნქციებს-იელმსლევს მფი-დარ ერობრივ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებული აქვს კაცისიური ენების მასალაც, იაკობსონის სპეციალური ენაა რუსული. პარალელურად იელმსლევსი ახალიბებს ზოგად გრამატიკულ თეორიას კატეგორიათა ურთიერ-მიმართების შესახებ და ზოგადი გრამატიკული მნიშვნელობის არსის გან-

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია იმ დონეებზეა, რომელიც კონსტაბლის სახით ვლინდება კონტექსტუალურად არამარკირებული წევრის ხმარებისას. სწორედ ამიტომ ეწოდება მას ამ მნიშვნელობის მიხედვით არამარკირებული წევრი, რომ ეს მნიშვნელობა მასთან არ არის ცალსახად გამოჩენილი, ინტენსიურად წარმოდგენილი, სამაგრიეროდ, იგივე ეთიარება მიუთითებს არამარკირებული წევრის შედარებით თავისუფლებაზე, მის პოტენციაზე შესაძლებელს, განუყოფადის შექმნისა, რაც ზოგადად ენის თავისუფლების ზედმეტად დასაზღვრავს.

საფორმებელია, რომ ლოგიკური ბინარობი /+, - დაპირისპირება/ ამგვარად გაგებული მარკირების ერთ-ერთი უკიდურესი შემთხვევაა, როდესაც არამარკირებული წევრის პოტენციალური შესაძლებლობები მიისწრაფის ნული-საქენ, რაც თავისუფალი განვითარების საშუალებას სძობს /გრამატიკული მარკირების კონკრეტული მაგალითები ქართულ მასალაზე იხ. მაგვარიანი მ. 1981, პოლსკი დ./.

თავის ნაშრომებში ირ. მელიქიშვილს განსაკუთრებით გახაზული აქვს ის გარემოება, რომ არც მარკირებული წევრია სამუდამოდ გაყრდნული და შინაგან პოტენციას სავსებით მოკლებული. სხვა ელემენტებთან დაპირისპირებისას მარკირებული წევრი შეიძლება არამარკირებულ ანალოგებს რომელიმე მნიშვნელობის მიმართ. ამდენად, მარკირება ყოველთვის გარკვეულად გაპირობებულია. მაგრამ აქედან, ჩვენი აზრით, ერთი საყურადღებო დასკვნა უნდა გამოვიდინარეოთ: ენის ყოველი ელემენტი ერდფრულად რაღაც თვისების მიმართ აუცილებლად მარკირებულია, ხოლო სხვა მნიშვნელობები პოტენციალურად, შესაძლებლობების სახით არის მოცემული და მხოლოდ კონტექსტში ვლინდება. მთელი ენაც სამყაროს მიმართ გარკვეულად მარკირებულია, მაგრამ ამავე დროს ნებისმიერ ენაში პოტენციალურ შესაძლებელ მნიშვნელობათა დატოვრივ უსასრულო რიცხვია. გრამატიკულ ექსპიკურ მნიშვნელობათა მარკირებას ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს რჩება პოტენციური არამარკირებული გრამატიკული მნიშვნელობების წყება, რომელიც მარკირებული ანალოგებზე სხვაგვარ გრამატიკულ მიმართებების დადგენისას. ამ პრინციპულ თვისებაში უნდა ეთიოთ ენის განვითარების ძირითადი შინაგანი სტიმული /ამ პროცესის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ იხ. მაგვარიანი მ. 1966/. მარკირების ცნებასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო საკითხი ჩნდება, რომელსაც ამჟამად ვერ განვიხილავთ. ეს ექსპიკური დაგვიჭრდა ქვევისა და პირის კატეგორიების სემანტიკის გარკვევასთან დაკავშირებით.

იღმესღვეი და იაკობსონი ახასიათებენ სახელობით/წრფელობით ბრუნვას, როგორც სხვა ბრუნვებთან შედარებით, ყველაზე არამარკირებულს.

ქარტვესკი მას ნულოვან ბრუნვას უწოდებს. ინდივიდი გრამატიკისთვის აზრით, სახელობით არ შეიცავს არაფერს, გარდა სიტყვის ძირის მნიშვნელობისა და რიცხვისა. ინდუროსთვის საგნის სქესიც იგულისხმებოდა, უფრო ზოგადად საგნის კლასი, ამიტომ სახელობით - სახელების ბრუნვაა უნივერსალურად ყველა ენაში. ე. ი. პრედიკატის საგნის ბრუნვაა.

რამდენადაც სახელობითი სავსებით არამარკირებულა, გარკვეულ სინტაგმატურ კონტექსტში მან შეიძლება სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობები მიიღოს. მაგალითად, სახელობითმა შეიძლება გამოხატოს როგორც მოქმედების წყაროს /აგენტის/, ისე მოქმედების მიზნის ან სამოქმედო საგნის /პაციენტის/ მნიშვნელობები, როგორც ამას ადგილ აქვს ქართულში.

სახელობითთან მიმართებაში მიცემით-აქუზატივის და მიცემითის ზოგადი ფუნქციაა მიმართულების ორიენტაციის გამოხატვა. ეს ბრუნვები სწორედ ამ შინაარსის მარკირებას ახდენენ. მიმართულება-ორიენტაცია არ გულისხმობს მხოლოდ სივრცისეულ მიმართებებს, თუმცა ლოკალური მნიშვნელობებიც ამ ბრუნვების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. მიცემით-აქუზატივში ან მიცემითში დასმული სახელი ყოველთვის გამოხატავს რაიმე სახის გამიზნულობას ან ლოკალიზაციას, იქნება ეს სივრცისეული, დროისეული თუ აბსტრაქტული ორიენტირებული მიმართება. ნომინატიური კონსტრუქციის მქონე კლასიკურ ენებში აქუზატივი და მიცემითი ახდენს ირიბი და პირდაპირი ობიექტების მარკირებას, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი უპირისპირდებიან არამარკირებულ ამ თვალსაზრისით, ნომინატივს. თავისი ძირითადი ფუნქციის მიხედვით, აქუზატივი და მიცემითი თითქოს მიიჩნევიან თავისკენ მოქმედებას და სახელობითი გამომხატული სუბიექტი მათ საპირისპიროდ მოქმედების წყარო, ე.ი. მიმართულების ამოსავალი წერტილი ხდება.

სამაგიეროდ, ერგატული კონსტრუქციის მქონე ენებში, სადაც არამარკირებულია უახლოესი ობიექტი, ირიბი ბრუნვებით მარკირებულია სუბიექტი, რომელიც ინტერპრეტირებულია არა როგორც მოქმედების ამოსავალი წერტილი, არამედ როგორც ობიექტისკენ მიმართული მოქმედების ჩამდენი ძაღა.

ქართულში ამ მხრივ თავისებური ვითარებაა: გარდაამავალი ზმნა ერთსა და იმავე დროს ნომინატიურ კონსტრუქციასაც იკვებს /I სერია/ და ერგატულსაც /II სერია/. საფიქრებელია, ეს სწორედ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ I სერიის სახელობითში დასმული სუბიექტი, როგორც არამარკირებული, იკვებს მოთხრობითში დასმულ სუბიექტთან გაერთმინებულანებას, ხოლო II სერიის სახელობითში დასმული ობიექტი ამავე მიზეზით აირეკლავს მარკირებული მიცემით-აქუზატივის მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფს გარდაამავალი ზმნის დრო-კილოთა სისტემის ერთიანობას. ქართულის თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში არ არის ფორმალურად გარჩეული აქუზატივისა და მიცემითის მნიშვნელობები I სერიაში. ამიტომ რუჯენკო ამ ბრუნვის ყველა შემთხვევებს მიცემით-აქუზატივს უწოდებს /იხ. რუჯენკო ბ./. ეს არ უნდა იყოს გამართლებული. მართალია, I სერიის ზმნური ობიექტების გაფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება შეიძენას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ ორი ბრუნვის სრული ნეოგრაფიკალია გვაქვს. მაგრამ, როგორც ჩვეით ითქვა, მიცემითისა და აქუზატივის მნიშვნელობების გამიჯნვის საშუალებას იძლევა II სერიის ფორმობთან დაპირისპირება, სადაც აქუზატიური მნიშვნელობები სახელობითი

არის გამოხატული, მიცემითისა კი I სერიისთვის დამახასიათებელი საზი-
არო ფორმით, რომელსაც ამიგომ სრულიად სამართლიანად სწორედ მიცემითს
წოდებენ. მართალია, აკუზატივისა და მიცემითს ერთი ზოგადი მნიშვნელ-
ბა აქვს /მომართულების გამოხატვა/, მაგრამ მიცემითი არსებითად გან-
სხვავდება აკუზატივისაგან თავისი სპეციფიკური მარკირებული მნიშვნე-
ლობებით. იაკობსონი, მაგალითად, აკუზატივს ძირითად ბრუნვად მიიჩ-
ნევს, მიცემითს კი - პერიფერიულად. მისი აზრით, აკუზატივის მნიშვნე-
ლობა უშუალო და მჭიდრო კავშირშია გარდამავალი ზმნით გამოხატულ მნიშ-
ვნელობასთან, გამომდინარეობს მისგან, მოქმედება, ასე ეთქვამ, პირდა-
პირ გადადის აკუზატიურ ობიექტზე, როგორც ამას ყველა ცრადიციული გრა-
მატიკა ვახსნავს, მიცემითის მნიშვნელობები კი ასეთ უშუალო კავშირში
ზმნის სემანტიკასთან არ არის. ზმნის მიცემითის პერსპექტივა სიტუა-
ციურად ემატება. გამოყოფენ ძლიერად მართულ აკუზატივს, შინაგანი და
გარეგანი ობიექტებით: წერლის წერა ; წიგნის კითხვა და სუსტად მარ-
თულ აკუზატივს, რომელიც გამოხატავს დროისა და სივრცის გარკვეულ მო-
ნაკვეთს, რომელსაც მოქმედება მთლიანად მოიცავს; ციხორე ერთი წელი-
წადი, გავიარე ათი კილომეტრი. რუსულში არსებობს აგრეთვე თანდებულია-
ნი აკუზატივი ფასჯლ მადეაზე ტიპისა. ამ მნიშვნელობებისგან განსხვა-
ვებით მიცემითი გამოხატავს; რომ საგანი, რომლისკენაც მიმართულია მოქ-
მედება, არსებობს ამ მოქმედების გარეშე, მოქმედება მას უშუალოდ და
მთლიანად არ მოიცავს, ამიტომ მიცემითთ გამოხატულ ობიექტს აკუზატი-
ვიანი ობიექტისაგან განსხვავებით, ირიბს უწოდებენ. მიცემითი ყველაზე
ხშირად გამოხატავს მოქმედების ადრესატის მნიშვნელობას; წერელი შეტუ-
ბაქს მისწერა. დატივი გულისხმობს იმ პირსაც, ვისთვისაც ხდება მოქ-
მედება; კაბა ბადეშს შეუკრა. მიცემითთ გამოხატება მოქმედების გან-
მცხელი პირი; მას მოწონა. რუსულში დასტურდება თანდებულიანი დატივი,
რომელიც ფაქტი განსხვავებებს გეაძლეის თანდებულიანი აკუზატივიდან და
ლუკატივიდან შედარებით, რაც სრულიად ნეიტრალიზებულია ქართულში.
შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში ბრუნვასებლებადი ობიექტი გადმოს-
ცემს აკუზატივისთვის დამახასიათებელ ყველა მნიშვნელობას, გარდა ლ-
კატორი მნიშვნელობებისა, რომელნიც მთლიანად გადაციდნენ მიცემითის
კუთვნილ ხელოში.

მაგრამ აკუზატივისა და მიცემითის განსხვავებული მნიშვნელობები
სრულიად განვიტარებულია I სერიაში და როგორც ჩვენ ამას შემდგომ და-
ვინახავთ, მათი გამოყვანა ნაწილობრივ იკისრა სწავლის კატეგორიამ.

ივლისელი და იაკობსონი განაჩაივენ, რომ აკუზატივისა და მიცემითის
შორის განსხვავებას ქმნის აგრეთვე სახელის ფუძის შინაარსობლივი დატ-
ვირთვა; აკუზატივში, როგორც წესი, დგას უსული საგანი, მიცემითში კი
- სულიერი, რაც მათი მნიშვნელობების სპეციფიკით უნდა იყოს ნაკარნახევი

ნათესაობითი. ბრუნვის ძირითად მარკირებულ მნიშვნელობად იაკობ-
სონი მიიჩნევს მოქმედების გამოხატვას და მოქმედებაში საგნის მონაწი-
ლეობის საჩღვრის გამოხატვას, რაც შეეხება საგნისაღვი მიმართულების,

საგნის შეხების სხვადასხვა სახეს, ნათესაობით ბრუნვაში ეს მნიშვნელობები სრულიად მოხსნილია.

იელმსლვერი ნათესაობის განსაზღვრავს როგორც ურთიერთმიზიდულობის, ურთიერთმოცივის გამოხატულებად ბრუნვას.

ამრიგად, ნათესაობითის მნიშვნელობა გამოხატავს, რომ სამეტყველო სიტუაციაში ჩართული საგნის მოცულობა უფრო მცირეა, ციფრე საერთოდ ამ საგნის მოცულობა. შეიძლება იგულისხმებოდეს საგნის ნაწილი, მისი თვისებების გარკვეული სახით შეჩლევდა, ნაწილისა და მთელის დაშლი-ფუძვლება, ამდენად, ერთი საგნის მეორისადმი მიკუთვნება და მისთ.

ქართულში ნათესაობითი ძალზე იშვიათად არის ჩმნის ობიექტის ბრუნვა. ეგულისხმობთ მისი შეშინება ტიპის ჩმნებს, სადაც ნათესაობითი ფაქტობრივ ჩმნის ობიექტს კი არ გამოხატავს, არამედ სუბიექტის განყდის წყაროს, რაც ძველ ქართულში თანდებულიანი ნათესაობითთი გამოიხატებოდა სამავგიეროდ, ქცივის გამოხატვისას ნათესაობითს, ჩვენი აზრით, დი აფგილი უყავია.

რაც ჩემთ იძუება ბრუნვითი მნიშვნელობების შესახებ ეხებოდა სახეგლის გაფორმებას, ე.ი. ჩმნის აქტანტთა ბრუნვებს. შავრამ ქართულში ბრუნვითი მნიშვნელობები გამოხატულია აგრეუეე ჩმნის ნაცუელსახელური პროკლიტიკა-ენკლიტიკების მიერაც /პირის ნიშნები და შაქციეეეეეე/, რაც ქართული და ქართველური ჩმნის ტიპოლოგიურად გამორჩეულ სახეს აპირობებს და ქართველურ ჩმნას საშუალებას აძლევს მოქნილად და შეტად ეკონომიურად გამოხატოს მნიშვნელობათა მდიდარი სპექტრი, რაც მას წინადადების ცენტრად აქციევს და შარტივი წინადადების წარმომქმნელ ბირთვად სახავს.

განვიხილოთ პირის ნიშანთა და შაქციეეეეეე ბრუნვითი მნიშვნელობები.

ჩვენი აზრით, ეინ-ის რიგის პირის ნიშნები სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობებს გამოხატავენ. ისინი ყველაზე ნაკლებ შარტირებულნი არიან, არ ეკისრებათ მიმართულება-ორიენტაციის ან მოცულობის გამოხატვა და ამდენად არც ჩმნის პირებს შორის მიმართების გამოხატვის საშუალება აქვთ. ამიტომ გაპირობებულობის გარეშე ეინ-ის რიგის პირის ნიშნები გამოხატავენ პრედიკაციის უშუალო საგანს, ჩმნის შემქმნელ აუცილებელ პირს /იხ.ა.ონიანი/ და ამ თავისი ფუნქციით სახელდებას უახლოვდებიან - პრედიკაციის საგნის აღსანიშნს გამოხატავენ. ამ მხრივ ახალ ქართულში საგრძნობი განსხვავება შეინიშნება I და II მისაუბრე პირებისა და III არაშოსაუბრე პირის შარტირებას შორის. I და II მისაუბრე პირების სემანტიკა უგრძნობია მოქმედების განმახლოციელებელი პირის /სუბიექტის/ თავისებურებების მიმართ; არ არის შარტირებულ აგენტური თუ ინაგენტური სუბიექტი, აუციურია, თუ-მასიური და ა.შ. მარჯასადაშე, არ არის გამორჩეული პირის რავიარობის სპეციფიკა, თუმცა კონტენსტუალურად, საპირობის შემხებევაში, ეინ-ის რავა I და II პირში შეიძლება მოქმედე პირის სპეციფიკაც გამოხატოს, რამდენადაც სახელობითი ბრუნვა თა-

ვისი არამარკირებული, ნეიტრალური ბუნების გამო, ამის საშუალებას იძლევა. მაგალითად, ე-არ = არსებობის სრულიად ნეიტრალურ სუბიექტს; ე-კლავ = გარდაშავალი მოქმედების აღმნიშვნელ აკენტს; ე-ხმები = ინაგენტური, აქტიური პროცესის სუბიექტს; ე-ხატვიარ = ინაგენტური, ინაგენტური მდგომარეობის სუბიექტს; ე-ფაბი = ინაგენტური, აქტიური დინამიკური პროცესის სუბიექტს; ე-მუშაობ = აგენტური, აქტიური, მიუმატავეი მოქმედების ანუ მოღვაწეობის აგენტს; ე-შენდები მის მიერ = ინაგენტურ, ინაგენტურ-პასიურ სუბიექტს, რომელსაც პირდაპირი ობიექტის-პაციენსის სემანტიკა აქვს შენარჩუნებული; ე-ძულვარ = განცდის საგანს და მისთ. /მოქმედების, პროცესისა და მდგომარეობის ზოგად მნიშვნელობათა შესახებ დაწვრილებით იხ. მაჰაეარიანი შ. 1981/. ყველა ამ ფორმაში ეინ-ის მნიშვნელობას ახასიათებს ერთი ზოგადი რამ; დამოუკიდებლად ის ვერ გამოხატავს მიმართულ, ორიენტირებულ ან მოცულობის შემომსახვერულ მიმართებებს, ე.ი. ამ მხრივ, ნეიტრალურია; მასში, იაკობსონის ტერმინით რომ იქვეთ, არ არის მოცემული ამ მნიშვნელობათა სუბანტიჰაჰა.

თანამედროვე ქართულში II მოსაუბრე-მსმენელი პირი გრამატიკული წელით არის წარმოდგენილი და ამ მხრივ უპირისპირდება ეინ-ით მარკირებულ მდემელს. სხვათა შორის, იაკობსონის აზრით, ეს /II/ მსმენელი პირის უნივერსალური სემანტიკური მახასიათებელია, რაც სემას კითხვას იმის შესახებ, რომ ხომ არ არის, ძველ ქართულსა და სვანურში დადასტურებული, II პირის სუბიექტური ნიშნები, რომელნიც ემთხვევა III ობიექტური პირის ნიშნებს, სწორედ ამ უკანასკნელთა რეინტერპრეტაციით მიღებული? ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით.

II მოსაუბრე-მსმენელი პირი შინაარსობრივ შეიძლება დავახასიათოთ I მქმელი პირის მსგავსად; გაციემოროთ მის შესახებ ყველაფერი, რაც ზემოთ I პირის მიმართ ითქვა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ I და II მოსაუბრე პირები ინდიფერენტული არიან არა მხოლოდ აქუზატივ-მიცემით-ნათესაობითის მნიშვნელობათა მიმართ, არამედ პირის რაგვარობის დიდერენციაციის მიმართაც. საიდანაც გამომდინარეობს, რომ I და II უპირისპირს იერარქიულად ამოსავალია და ცენტრალური მ მ ს ა უ ბ რ ე პ ი რ ე ბ ა დ მ კ მ ფ ნ ა, ხლო პირთა რაგვარობის სემანტიკა მხოლოდ კონტექსტუალური მოტენციის სახით ელინდება და აირქელავს III - არამოსაუბრე პირის-თვის დამახასიათებელ ძირითად ოპოტიციებს.

ეინ-ის რიგის III არამოსაუბრე პირის მიმართ საკითხი სუბეჰეარად დადება. აქ უფრო რთული ეითარებაა და აღწერისას დაქირი ნიუნსების გათვალისწინებას მოითხოვს. ეინ-ის რიგის III პირის ნიშნებია სუბექტიბი -ს, -ა, -ო. მიმართულება-ორიენტაციისა და მოცულობის გამოხატვის უნარის მხრივ მათ შესახებ იკვირე შეიძლება ითქვას, რაც საერთოდ ეინ-ის რიგის უკანაებ ითქმის; ისინი ამ მხრივ არამარკირებულნი არიან და პირთა მიმართებას ვერ გამოხატავენ. ამდენად, სახელობითი ბრუნვის ელიქციას ახორციელებენ. მაგრამ I და II პირებისაგან განსხვავებით,

III არამოსაუბრე პირი მოქმედების სუბიექტის რაგვარობის მიმართ მგრძ-
ნობიარეა. თანამედროვე ქართულში -ს და -მ ნიშნები გვხვდება იმ ჩვენებ-
თან, რომელთა ქვემდებარე II სერიის მიხედვით ბრუნვებში დგას /ო-სუფ-
იქსი ერაგლილი გარდაშვებებისგან მიღებული რეფლექსური ინტრანზიტრიე-
ბის სუბიექტსავე გამოხატავს; აჯღო მან ის ; აიჯღო ის ტიპისა/. -ს სუ-
ფიქსი გეაქვს აგრეთვე ყველგან, სადაც ზმნა ეკლას მხრივ არის შარ-
კირებლი. ასეთი გაერთმნიშვნელიანება სწორედ იმიტომ არის შესაძლებე-
ლი, რომ ნიშანი სახელბით ბრუნვაშია და ამის გამო აქვს უნარი სინტაგ-
მატური პირობების მიხედვით გამოხატოს ის მნიშვნელობებიც, რომელნიც სა-
ოპოზიციო წევრში სპეციალურად არის მარკირებული, ამ შემთხვევაში იგუ-
ლისხმება გარდაშვილი და საშუალოქმედებითი ჩვენების აგენტის მოხრობი-
თი ბრუნვით მარკირება. ისტორია ი.ომ გავიხსენოთ, საინტერესო სურათს მი-
ვიღებთ: ძველ ქართულში, როგორც ცნობილია /არნ.ჩიქობავა, გ.როგავა/
-ს, ა-, ო- პირის ნიშანთა განაწილება დამოკიდებული იყო დრო-კილა-ას-
პექტის ოპოზიციებზე. კილო ყოველთვის -ს ნიშნით იყო მარკირებული, ასე
გასინჯეთ, სვანურშიც კი, სადაც -ს III სუბ. პირის ნიშნად არ დასტურ-
დება. ნამყო დრო -ა სუფიქსით, ხოლო აწმყო და იტერატივი /-ა აწმყო/
-ს/-ნ სუფიქსებით. ე.ი. III პირის სახელბითი იკვებდა ასპექტური-
მოდალური დივერსიციის გამოხატვას. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა
დრო-კილათა ერთიანი უღვილების სისტემა და ქვემდებარის მოხრობით-
სახელბითი ბრუნვა აგენტურ-აქტიური შინაარსის მქონე ჩვენებთან გაერთ-
მნიშვნელიანდა, აგენტის მარკირება I სერიის III პირში დაეკისრა -ს
სუფიქსს, რამდენადაც სახელის ფორმა ამ მხრივ მარკირებული არ იყო.
აგენტურობის მარკირებით I სერიის /არანამყო დროებში/ -ს სუფიქსი
დაუპირისპირდა ნამყო დროის ამ მხრივ არამარკირებულ -ა III პირის ნი-
შანს; ხატავ-ს ის მას, თეფიაობ-ს ის, მეფობ-ს ის, წევ-ს ის ; დახა-
ტა-ა მან ის, დახატავი-ა ის მას, თეფხავ-ა მან, იმეფა-ა მან, იწვა-ა ის.
მაგრამ მარკირების ოპოზიცია ამით არ ამოიწურა. I სერიის თეფხით კი-
ლოში -ა სუფიქსი დაუპირისპირდა თავის მხრივ -ს სუფიქსს, როგორც გა-
პირობებულად მარკირებული ინაჯუნჯური სუბიექტი, რომელიც სპეციალურად
იმით არის მარკირებული, რომ ექვემდებარება პასიურ კონვერსიას ან ინა-
გენტურთან ერთად ინაქტიურიც ხდება. ამ გაპირობებულ მიმართებაში
-ს სუფიქსი -ა სუფიქსის მიმართ არამარკირებულა, რამდენადაც ინაგენ-
ტური მნიშვნელობა მან შეიძლება გამოხატოს მხოლოდ კონტენსიულად ან
ჩვენათა მცირერიცხოვან ლექსიკურ კლასში. შერ. ხატავ-ს ; იხატებ-ა ;
ხატი-ა ; ახმობ-ს ; ხმებ-ა ; დვა-ს ; დვებ-ა და მისთ. გვარის კატეგორი-
ის ცნებებით იგივე აზრი რომ გამოვხატოთ, ა- სუფიქსით მარკირებულია I
სერიის ვნებითის III სუბ. პირი, რითაც ის უპირისპირდება მოქმედებითი
და საშუალო გვარის არამარკირებულ -ს სუფიქსს. თითქმის საყოველთაოდ მი-
ღებული აზრით, დიათეზის დროს მოქმედებით-საშუალო გვართან მიმართებაში
ინებითი ცალსახად მარკირებულია და დიაქრონიულად მეორეული, რასაც ქარ-
თულის მასალაც ადასტურებს /არნ.ჩიქობავა, ქ.ლომთაძიძე, გ.მაჭავარიანი/.

ამიტომ აღბათ არ არის შემთხვევითი ა. შანიძის მიერ დანახული ფაქტი, რომ I სერის გენეტიკი -ს -ა-ა გადასვლა დიაქრონიულად უკავშირდება ხოლმეობითის გადადარდნას /იგივე აზრისაა ნ. ჭუმბურიძე/. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი იმის მომასწავებელია, რომ თანდათან იზღება დრო-ასპექტთა მიხედვით პირის ოპორტიუნა და მის ადგილს იკავებს პირის რაგვარობის გარკვევა III სუბიექტურ პირში.

დავუბრუნდეთ -მ ნიშანს. -მ სუფიქსი, როგორც იძუება, მოუდის II სერიაში თხრობით კლასში გარდამავალ ზმნებს, რომელთაც I სერიაში ა- ებ/ იც კონფიქსი აწარმოებს, ე. ი. ისინი ეკუთვნიან ა-მაქცევით ნაწარმოებ კაუზატივების კლასს. მათ კიდევ ორი თავისებურება ახასიათებთ: უმარცვ- ლო ფუძე აქვთ და ე-აორისტი. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მოზონსინტაქსური და ზონოლოგიური პირობების თავმოყრამ გამოიწვია -ა-ა-ა გადასვლა /ამის შესახებ დაწვრილებით იხ. მაჭავარიანი შ. 1985. ცოტა განსხვავებული ინ- ტერპრეტაციისთვის იხ. ვოგლაშვილი გ./-. რადგანაც ეს გადასვლა გარ- დამავალ კაუზატივთან მოხდა, ბუნებრივია, -მ ნიშანს გამოეხატა სწორედ აგენტის მნიშვნელობა. მაგრამ, როგორც იძუება, იგივე -მ მოუდის რეფ- ლექსურ გარდაუვალ ზმნებსაც, რომელნიც იმავე ფუძიდანაა ნაწარმოები: ააგ-მ მან ის ; აიგ-მ მან ის ; აიგო ის. თითქოს ჩვენ მიერვე თქმულ- თან მოვდივართ წინააღმდეგობაში, რადგანაც გარდაუვალი რეფლექსივები ინაგენტურ ზმნათა კლასს განეკუთვნებიან და მათ III სუბ. პირის ნიშ- ნად უნდა მოუდიოდეთ -ა. მაგრამ ეს წესი მოქმედებს I სერიაში, სადაც ამ ზმნებს მართლაც სუბიექტის ნიშნად -ა აქვთ: იგებ-ა, იქებ-ა... II სერიაში კი რეფლექსივის ფორმა პირდაპირ ემთხვევა გარდამავალი ზმნის სათავეისა ფორმას და მის რეინტერპრეტაციას წარმოადგენს. რომ ჩვენი ეა- რაული ამ ტიპის ზმნების ფუძის წარმოქმნის შესახებ საშარლოდანია, მტკი- ცდება იმ შემთხვევებითაც, სადაც უმარცვლო ძირის მქონე ზმნა ძველ ქართულში არ დაირთაღდა -მ სუფიქსს, ხოლო ახალ ქართულში ამ მხრივ მერყეობას ავლენს: ეგულისხმობთ რგ-აგ-ს ; დარგ-ა/ო ტიპის წარმოებას, სადაც არ დასტურდება ა- - ევ/ებ კონფიქსით ზმნის ფუძის წარმოქმნა. ხოლო შიგინ-მ ტიპის ანალოგიური წარმოება აიხსნება არა მხოლოდ ფუ- ძის უმარცვლობით, არამედ ზმნის სემანტიკითაც: ასეთი ყველა ზმნა გარდამავალი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნებია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ III არამოსაუბრე პირი ირენს აშკარად გამოხატულ ტრენდენციას ზმნის პირის რაგვარობის გარკვევისა, რაც სრულიად არ ახასიათებს I და II მოსაუბრე პირების ეინ-ის რიგს.

ახლა ვნახოთ, რა შედეგობარეობაა ამ მხრივ მან-ის რიგში.

როგორც ვნახეთ, მან-ის რიგს ქართველურ ენებში ორი ფორმა აქვთ: ოდენ თანხმოვნიანი უმაქცევლო ფორმა: მ-, გ-, პ/ხ/ს/წ- /1, II, III პი- რები/ და მაქცევრიანი ფორმები იგივე თანხმოვნებთან შეხამებით.

ჯერ ვნახოთ ოდენთანხმოვნიანი ვარიანტის ბრუნვითი მნიშვნელობები.

მან-ის რიგი ვინ-ის რიგისგან მიჩვეულ ყოველისა იმით განსხვავდება, რომ გამოხატავს მიმართულება-ორიენტაციას და ამ მხრივ უპირისპირდება

ცინ-ის რიგის როგორც მარკირებული არამარკირებულს. ამრიგად, მან-ის რიგის ძირითადი მნიშვნელობებია აკუზატორი და მიცემითი. აკუზატორი პირდაპირი ობიექტის ბრუნვაა და მან-ის რიგის პირის ნიშნებით სწორედ ეს ობიექტი აღინიშნება. ის გვექნება ხვედა ბუნებით, არაწარმოქმნილ გარდამავალ ზმნასთან, რომელსაც ძლიერად ან სუსტად მართული პირდაპირი ობიექტი მიგრავის. ამ შემთხვევაში მან-ის რიგის პირის ნიშნებს წარმოქმნილი ძალა არა აქვთ. მან-ის რიგის დართვის შემდეგ ზმნას იმდენივე პირი რჩება, რამდენიც მანამდე უქონდა, რადგანაც პირდაპირი ობიექტის მნიშვნელობით მან-ის რიგის ხმარებისას ხდება უბრალო შენაცვლება სუბიექტისა ობიექტთან. თანაც ამ შენაცვლებას სიმეტრიული ხასიათი აქვს: ვ-ხატავ მე მას /ბუნებითი პირდაპირი დამატება/ ; მ-ხატავ/ს შენ/ის მე; ვ-რეხავ მე მას ; მ-რეხავ/ს შენ/ის მე და მისა. როგორც ვხედავთ, ამგვარ შემთხვევებში ხდება I პირის ნაცვალსახეობის ბრუნვის შენაცვლება და ამის შესაბამისად სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფუნქციების ურთიერთშენაცვლება. ზუსტად ამგვარივე კონფიგურაცია აქვს ადგილი II და III პირებთან. დაუტოვრივ პირთა მონაცვლეობა პირის ნიშანთა ფუნქციონირების მიხედვით, შეზღუდული არ არის მან-ის რიგის ამგვარ სტრუქტურაში ხმარება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის წყალობით, ე.ი. ონტოლოგიურად. მაგალითად, ვ-ბარავ მე მას ; მ-ბარავ/ს ის მე არაზღაპრულ სიტუაციაში, რეალური ცხოვრების პოზიციიდან, შეუძლებელია. ასეთი ვითარება გვაქვს I და II მონაცვრე პირებთან. რაც შეეხება III პირს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით დიალექტებში, სადაც ხ/ვ/ა- ფონეტიკურად არ არის გაუჩინარებული, ის გამოხატავს პირდაპირ ობიექტს I სერის მჭერივებში, სადაც მას პირდაპირი დამატება მიცემით /ირიბი მიმართების/ ბრუნვაში ესადაგება, ხოლო II სერიაში, სადაც პირდაპირი დამატება სახელობითია და არამარკირებულია, ზმნაშიც არ ხდება მისი ასახვა და III პირი გრამატიკულ ნულს უტოლდება. ლიტერატურ.ენაში, თუ კაცი სპეციალურად არ არის გაწვრიანილი, III ობიექტურ ნიშანს დაკლებულად ხმარობს; მწერლებთანაც ხშირად შეხვედებით ფორმებს: მო-ვ-კა, და-ვ-კარგა და მისა. ეს პროცესი ძველ ქართულშიც დასტურდება, ხანშებტ ძეგლებშიც კი. ამდენად ცოცხალ მეტყველებაში ხდება პირდაპირი ობიექტის ზმნაში მარკირება არა ფუნქციურად, არამედ აუტანტის შესაბამისი ბრუნვის მიხედვით, რაც ადასტურებს იმ აზრს, რომ მიცემით-აკუზატორის მარკირება I სერიაში ნომინატიური კონსტრუქციის ჩამოყალიბების პირველ საფეხურზე მოხდა ისე, რომ არ გაიარა პირდაპირი და ირიბი ობიექტები. ასპექტური მახასიათებლების შენაცვლების დროს, როდესაც ზმნა შინაარსობლივად გადაინაცვლებს პირდაპირ ობიექტზე მიმართული აგენტური მოქმედების გამომხატველი კლასიდან სუბიექტურ ინაგენტურ მდგომარეობაზე ონტოლოგიის არმქონე სუბიექტურ პროცესზე, მან-ის რიგმა შეიძლება გამოხატოს ვითარების განმსჯელის მნიშვნელობა და იმასთან დაკავშირებით, რომ ვითარება ინაგენტურია, მოხდეს სუბიექტის ფუნქციის სრული ნეიტრალიზაცია

და ეინ-ის რიგის სახელობით ბრუნვაში მდგარი სუბიექტი გაუტოლდეს ნულს. მაგალითად, σ -ბურძღვალე მე $\frac{1}{2}$ მას /ბუნებითი პირდაპირი ობიექტი/ ; σ -ბურძღვალე/ს შენ/ის მე/0,3/, მჭარამ მე σ -ბურძღვალეს /მეორე პირთან შეხამება ამგვარ შემთხვევებში გამორიცხულია, ხოლო III სუბ.პირის, რამდენადაც ის ინაგენტური გახდა, გაუტოლდა ნულს და აქტანტების დონეზე ელიმინირებულია//იხ. სუხიშვილი მ./ . ასეთ შემთხვევებში აკუსტიკისა და მიცემითის ფუნქციები საცესებით ნეიტრალიზებულია, რამდენადაც ჩვეულებრივ ამ ტიპის მნიშვნელობებს მიცემითი ვადმოსცემს, შდრ. მ-ციგ-ა, მ-ცხე-ა, მ-ში/ც/-ა და მისთ. აკუსტიკის ხმარება უმაქცევრო ფორმბთან ამ მნიშვნელობით ძალზე იშვიათია, ჩვეულებრივ ასეთი ხასიათის ინტერსია ხდება მაქცევრებიან აკუსტიკი-მიცემითში მა-ტრიალებ-ს, მა-კანკალებ-ს ტიპისა.

მან-ის რიგის მაქცევრები გამოხატავენ წმინდა მიცემითის მნიშვნელობებსაც: ადრესატის, განმცდელის, ინტერესის და მისთ. შინაარსებს. მიცემითში დასმული პირის ნიშნების ზმნაზე დართვა ირიბი ობიექტის წარმოქმნას იწვევს; ბერავს ის მას ; რა-პ-ბერავს ის მას მას; წორავს ის მას ; გა-ს-წორავს/შე-ს-წორავს ის მას მას; რხიხრავს ის მას ; შე-ს-რხიხრავს ის მას მას, პარსავს ის მას ; რამო-პ-პარსავს ის მას მას; ამგვარ მაგალითებში ზმნას ემატება პერიფერიული პირი, რომელიც მიუთითებს იმაზე, თუვის მიმართ იყო რადენილი მოქმედება და მაშინ ეს პირი - სულიერი, ან რის მიმართ რადენე მოქმედებას და მაშინ მიცემითი უსულ საგანს გამოხატავს. ხშირია ირიბი ობიექტის წარმოქმნა ხმის გამოცემე ზმნებთან; ყფეს ის ; და-პყფეს ის მას; რხავის ის ; და-ს-რხავის ის მას; ვიქს ის ; და-ს-ვიქს ის მას და მისთ. ასეთი ამოსავალი ზმნები, როგორც წესი, ერთპირიანი გარდაუდელი ზმნებია, მიცემითში დასმული პირის დართვა გადააქცევს მათ ორპირიან გარდაუდელ ზმნებად. ასეთივე ედექტი გვაქვს, როდესაც უმაქცევრო პირის ნიშანი მიერთვის შუქის, სინათლის გამოხატვულ ზმნებსაც; ციციებებს ის ; და-ს-ციციებებს ის მას; კაშკაშებს ის ; და-პ-კაშკაშებს ის მას და მისთ. ამგვარი ზმნების რიცხვი საკმაოდ დიდია. როგორც წესი, პირის ნიშანი ზმნას მიერთვის ზმნისწინთან ერთად, რომელიც აძლიერებს ირიბი მიმართების ეფექტს. რამოთელილი ზმნებიც დასტურდება, როგორც ვხედავთ, უპირისწინო და უმაქცევრო ფორმითაც. მთელ რიგ გარდაშავალ და გარდაშავალ ზმნაში მიცემითიანი პირის ნიშნის დართვა აუცილებელია, მის ვარე-შე ზმნა არ არსებობს, მაშინ ეიტყვით, რომ მან-ის რიგის პირის ნიშანი მიუთითებს ირიბი პერიფერიული ობიექტის პოენიერებაზე. ასეთი ტიპისია; პ-პარავს ის მას მას; ს-ჯერდება ის მას; პ-პიჯდება ის მას მას და მისთ.

როგორც წესი, უმაქცევრო პირის ნიშნით იწარმოება განცდების, სულიერი მდგომარეობის გამოხატვილი ზმნები და მან-ის რიგი ამ შემთხვევაში გამოხატავს განმცდელს; ს-ძღ-ს ის მას; ს-ძაგ-ს ის მას; ს-წამ-ს ის მას; პ-ყვარობს ის მას და მისთ. როდესაც ზმნა გამოხატავს რაიმე

დრავის, ე.ი. ფიზიოლოგიურ მოხონილებას, მაშინ, როგორც წესი, ნე-
იტრალდება სახელობის სუბიექტი: კ-შია, ს-წყურია, ს-წაღია მას.
მსგავსი ვითარება გვაქვს ტემპერატურის შეგარების ზმნებთანაც: ს-
ცივა, ს-ცხელა, კ-გრილა და მისა. მიცემითიანი პირის ნიშნის გა-
ყოფი იგივე ზმნები ამინდზე მიუთითებენ.

მიცემითიანი პირის ნიშნის ზმნებთან პირებს შორის ასიმეტრია,
როგორც წესი, არ დასტურდება, ყველა პირი მსგავსი მნიშვნელობით ფუნ-
ქციონირებს. ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი ზმნები,
როგორც წესი, ინვერსიულია; განმტყველს, როგორც ვთქვი, სწორედ მან-ის
რავი გამოხატავს, რაც საცხობით ბუნებრივია, რადგანაც მიცემითი -
მიმართული ბრუნვაა და ამ თავისი მნიშვნელობით გახაზავს, რომ რა-
ღაც ადამიანის შიგნით, მასში ხდება; ამ მნიშვნელობის მარკირებას
სახელობით ბრუნვა თავისი ნეიტრალური, მიუმართავი სემანტიკის გამო,
ერ შეძლებდა. ჩამთვლილი მნიშვნელობების შემთხვევაში მან-ის
რავის ხმარება ფაქტობრივად არ არის. პირის ნიშანი ნიველირებულია
მხოლოდ იმ დიალექტებში, სადაც ის გაქრა ფონეტიკურ ნიადაგზე.
მიცემითიანი პირის ნიშანი ზოგჯერ ენაღვლება მაქცევრიან ფორმებსაც
და მაშინ მნიშვნელობათა ოპოზიციებს ვიღებთ. ამაზე ქვემოთ შევჩერ-
დებით.

ორბდამატებიანი ან ორბი დამატების წარმომქმნელი ზმნები
სულ ქველის მიხედვით 380 ცალს აღწევს. მაქცევრიან ფორმებთან შედარე-
ბით ეს უმნიშვნელო რიცხვია. მაგალითად, მხოლოდ ა-მაქცევრიანი ფორმე-
ბი 3000-ს აღწევს ლექსიკონში დადასტურებული ზმნების მიხედვით. პრაქ-
ტიკულად კი მაქცევრიანი ფორმების რიცხვი უსასრულოა, რამდენადაც მათ
ხმარებას ძალიან უმნიშვნელო შეზღუდვები ადევს. ამდენად, უმაქცევრო
ორბბრუნვიანი პირის ნიშნების მქონე ზმნები მაქცევრიან ზმნებთან
შედარებით, მარკირებულია. ე.ი. მარკირებულია მან-ის რავის პირის
ნიშანთა ხმარება მაქცევრების მიერ შემოტანილი ბრუნვითი დიფერენ-
ციაციის გარეშე. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს ფორმები მეორეულია.

მაქცევრებიანი ფორმების ბრუნვითი მნიშვნელობებიდან ა-მაქცევრის
ფუნქციებს დაწერილობით განვიხილავთ მეორე თავში, ხოლო დანარჩენი
მაქცევრების ფუნქციებსა და მათ მონაცვლეობას ასევე დაწერილობით გან-
ვიხილავთ წიგნის მეორე ნაკვეთში. ამიჯომ ამ თავში ჩვენი მსჯელობა
ზოგადი ხასიათისა იქნება.

რამდენადაც ა-მაქცევრის კაუზაციის პირობებში თემის ნიშნებთან ერთად
პირდაპირ ობიექტს წარმოქმნის, მისი ბრუნვითი ფუნქცია მიმართუ-
ლია და აკუზაციის მნიშვნელობის მატარებელი. ამ გაპირობებულობის
გარეშე ა-მაქცევარი ტიპურ მიცემითის ან აკუზაცივ-ლოკაციის ფუნქ-
ციებს გამოხატავს, რაც პარალელურ ფაქტობრივ ნეიტრალისებულა: ეჩივარ
მე : ე-ა-ჩივარ მე მას; ეჯღეს მე მას ; ე-ა-ჯღეს მე მას მას;
ე-ხატავ მე მას ; ე-ა-ხატავ მე მას მას და მისა. გარდამავალ ზმნაში,
სადაც პირდაპირი ობიექტი ბუნებითად არის წარმოდგენილი, ა-მაქცევარი

საჩუქდომი მნიშვნელობის ირიბი ობიექტის წარმოქმნის. ამდენად მისი ბრუნ-
ვითი ლენტისა მიცემით და მიცემით-აკუზატორს უდრის. სახელმძივან
შეფარებით ის მიმართულება-ორიენტაციის მიხედვით არის მარკირებული.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია, რომ პირის რომელიმე იდენტიფიკატორი
ანუ პირის ნიშანი და მატყვევარი ერთსა და იმავე ბრუნვას გამოხატავენ,
თუ მატყვევარი მან-ის რიგთან არის და მასთან გრძელ კომპონენტს ქმნის
/იხ. ჩემოა/. მაგრამ, თუ ა-მატყვევარი ვინ-ის რიგთან ხდებდა, პირის
ნიშნისა და მატყვევრის არა მარტო რომელიმეა განსხვავებული, არამედ
ბრუნვითი მნიშვნელობებიც: ე-ა-კეთებ მე მას, სადაც ე- არამარკირებუ-
ლი სახელმძივან დასმული ნეიტრალური სუბიექტია, ა-კი /მა ← ვ/ხა-/
მესამე პირის, ორიენტაციის აკუზატორი მნიშვნელობის მეორე მატყვევარი.
თითონ ზმნის ფორმა გამოხატავს, რომ ა-მატყვევრის მნიშვნელობა მიიზი-
დავს თავისკენ მოქმედებას და ე- პირის ნიშანს მოქმედების წყაროდ
აქცევს, რაც ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის. მისი წინადადების სახით
გაშლა მოასწავებს მხოლოდ ნაცვალსახელვანი პროკლტიკის ნაცვლად I, II,
III პირში საგნობრივი მატარებელი სახელის წარმოქმნას. მოსაუბრე პი-
რების წინადადებაში შენაცვლება კი მხოლოდ საკუთარი სახელით შეიძლება.
სწორედ იმის გამო, რომ ვინ-ის რიგის პირის ნიშნები სახელმძივან ბრუნვა-
ში დგას, ხოლო ა-მატყვევარი მიცემით-აკუზატორში, ლაკურად და ფაქ-
ტობრივად გ ა მ მ . ზ ი ე ე ვ ე ლ ი ა ვინ-ის რიგის პირის ნიშნის მატ-
ყვერით გავრცობა. ეა- თანმიმდევრობა ვერასოდეს შექმნის გრძელ კომპო-
ნენტს, რადგანაც პირის ნიშნისა და მატყვევრის ყველა მნიშვნელობა გან-
სხვავებულია. ანუდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვინ-ის რიგის ოდენ-
თანხმობიანი ვარიანტი ისტორიულადაც ამოსავალი და ერთადერთია მან-ის
რიგის ოდენთანხმობიანი პირის ნიშნისაგან განსხვავებული. აქ დგება სა-
კითხი ვინ-ის რიგის პირის ნიშნების ძირისა და მათი ფორმის შესახებ.
თუკი მატყვევარი განსხვავებებს არაპირდაპირ ბრუნვით მნიშვნელობას,
ხოლო ვინ-ის რიგთან ამდენად ხმოვნის არსებობა გამოირიცხა, მაშინ რა
ქმნის სახელმძივან მნიშვნელობის მეორე პირის ნიშნების ფორმას? უნდა
ცივარადობა, რომ ვინ-ის რიგის პირის პროკლტიკა-ენკლტიკის ფორმა მა-
ტირიალურად გამოხატული არ არის. ისეთ სახელმძივან, რომელიც აპსოლუტური
ძირით ან ფუძით არის წარმოდგენილი - წრეწელობით ეწოდება. მაშასადამე,
ბრუნვითი მნიშვნელობით ამ შემთხვევაში სახელმძივან /დეიქსისის, სახელ-
დების აზრით ნახმარი ტერმინი/ გეპქეს, ჭორმით კი წრეწელობით, ე:ი. გა-
უფორმებელი სახელმძივან ანუ კლასიკური ტერმინები რომ ეიხმართ, ირი-
ბი მიმართების /ორიენტაციის მეორე/ ბრუნვებთან დაპირისპირებით - პირ-
დაპირი /წრეწე/ ბრუნვა. ეს რომ მართლაც ასე უნდა იყოს, III პირის
სუბიექტური პირის ნიშნის ფორმიდან აკუზატორად ჩანს. იგი თანამედროვე
ქართულშიც ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ნაცვალსახელის, და არა მხოლოდ
ენკლტიკის სახით. დამოუკიდებლად მისი ხმარება ხმოვნითი დეიქტური
მნიშვნელობის გარეშე შეუძლებელია აზრ. ე-ს-ე //ე-ს, ი-ს-ი // ი-ს.
მაგრამ ჩვენსაში მხოლოდ წრეწელობითის სახით ხორციელდება.

იგივე შეიძლება ითქვას I და II პირის ნაცვალსახელების შესახებაც. მოსაუბრე პირების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ნაცვალსახელები I და II პირში, რომლებიც განარჩევენ პირდაპირსა და ირიბ ბრუნებს, თანამედროვე ქართული, ალარ დასტურდება, მაშინ როდესაც III პირში - ეს ფაქტია: ესე : ამა-; ისი : იმა- და შესაბამისად სხვა ირიბ ბრუნებებში. უნდა ეთვქროს, რომ ბრუნებით მნიშვნელობის მიხედვით ზმნაში პირის პროკლიტიკის დაპირისპირებამ განაპირობა ოპოზიციის მოშლა დამოუკიდებლად ხმარებულ ნაცვალსახელებში და იქ შემოგვრია მხოლოდ ერთი ფორმა: მე, შენ . ნიტიკალური მნიშვნელობით. რატომ უნდა მომხდარიყო ასე? საფიქრებელია იმ მიზეზით, რომ მოსაუბრე პირების სახელებით შენაცვლება წინადადების გაშლის დროს, ჩვეულებრივ არ ხდება, თუ ეს პირები უცვლად ასახულია ზმნის ფორმაში. ნაცვალსახელებური პროკლიტიკა-ენკლიტიკები თავის დიქტორ ფუნქციას სავსებით დამაკმაყოფილებლად განახორციელებენ ზმნაშივე. როგორც ეს ლ. ენუქიძემ ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე აჩვენა, I და II პირის ხმარება წინადადებაში სუბიექტური პირების ფუნქციით დასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ფუნქციის ხაზგასმავა საჭირო. ლ. ენუქიძემ ამ ფაქტს აქტანტების სხვადასხვა წონით, თემა-რემატული ოპოზიციის თავისებურებებით და სხვა სემანტიკური მიზეზებით ხსნის /იხ. ლ. ენუქიძე/. ეს არ არის გამოსარიცხი. მაგრამ ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, სხვაა. ფაქტი მარტივად აიხსნება, თუ წინადადების წარმომქმნელ ბირთვად ზმნას ვივარაუდებთ და, რაც მთავარია მასში პროკლიტიკური ნაცვალსახელოვანი ელემენტების როლს სათანადოდ შევანალიზებთ და განვსაზღვრავთ. საეჭვო ისაა, რომ I და II პირის ნაცვალსახელებით თავისი ფუნქციით ფაქტობრივ ნაცვალსახელები, ე. ი. სახელების ნაცვალ ილემენტები არ არის. ისინი სპეციფიკური ცვლადებია, რომელნიც მოსაუბრე პირების ურთიერთდაპირისპირებას ემსახურებიან და ამიტომ სახელები დესკრიფციით, მოსაუბრე პირების თვისებების აღწერით მათი შენაცვლება არ შეიძლება. ამიტომ მათი სპეციფიკაცია საკუთარი სახელით ხერხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მოსაუბრე პირის გათანაბრება შესაძენ - არამოსაუბრე პირთან, მისი, ასე ვთქვათ, საკუთარი თავისგან განსხვავება. შერ. მე, იაკობ... , რაც ნიშნავს: მე, რომელიც ვარ ის, რომელსაც უწოდებენ იაკობ. ამიტომ მოსაუბრე პირის ორჯერ ხსენებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ გვინდა მის შესახებ რაიმეს ხაზგასმვა, იმის გამოხატვა, რომ სწორედ მოსაუბრე პირი იგულისხმება და არა სხვა. ამ მიზნით კი, ცხადია, მარტივებული ფორმის გამოყენებაა უფრო ლოგიკური, ვიდრე არამარტივებული წრფელობითი ან სახელობითისა. შერ. დრანგული და ინგლისური It's me „ეს შენ /ირიბი ბრუნვა/ ვარ“; C'est moi /იგივე თარგმანი/.

ამიტომ, თუკი კი ზმნაშივე პროკლიტიკა-ენკლიტიკის დონეზე უკიდობოდა მოსაუბრე პირების დაპირისპირება ორიენტაციის თვალსაზრისით, ტექსტში ამის საპირობა მოხსნილია და საპირობების შემთხვევაში, სხვა პირებისგან გამოსარჩევად განხორციელება მხოლოდ ერთი - მარტივებული

ფორმა: მე. ამ დებულებას ტიპოლოგიური მონაცემებიც უჭერს მხარს. იმ ენებში, სადაც ზმნაში ქვემდებარე გამოიხატება მხოლოდ ერთი ფორმით, მოსაუბრე პირების დაპირისპირება ორიენტაციის პოზიციებიდან ხორციელდება ტექსტში და ქართულთან შედარებით შეტრუნებული სურათი გვექნება: ზმნაში ერთი ფორმა, ტექსტში კი - ორი. ცხადია, ეს არის ოპოზიციის არსი, თორემ ანალოგიური დაპირისპირებები ენებში შეიძლება სხვა - არაბრუნვითი საშუალებებითაც გამოიხატოს. აქედან დიაქრონიული ხასიათის დასვენა გამომდინარეობს; ნაცვალსახელოვან ფორმებში დამოუკიდებლად ორი სხვადასხვა ფორმის დაპირისპირება მოშალა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა პიროვანი უღვლელება და ნაცვალსახელი მიეკუთვნა ზმნას.

კიდევ ერთხელ მინდა გავახსენო მკითხველს, რომ დამოუკიდებელ ნაცვალსახელოვან ფორმებში ოპოზიცია მოშალა არა უბრალო ეკონომიის გამო; ზმნაში უკვე გვაქვს დაპირისპირება, ტექსტში რაღაც გინდა, არამედ I და II პირების ფუნქციური სპეციფიკის გამო; მათი შენაცვლება დესკრიფციული სახელებით შეუძლებელია, ამიტომ გამოვრება მხოლოდ ხაზგასმა შეიძლება იყოს, ხაზგასასმელად კი მარკირებული ფორმაა სა-ჭირო, ე.ი., ერთი ფორმა.

მაშასადამე, გამოირკვა, რომ მა-, გა-, პ/ბ/შ ა- ერთიანი ნაცვალსახელოვანი პროკლიტიკაა სინკრეტული აკუზატიურ-მიცემითი ფუნქციის მქონე, აკუზატივისა და მიცემითის ფუნქციების გარჩევა ხერხდება მხოლოდ II სერის ფორმებთან შეპირისპირებით სინტაქსის და არა მორფოსინტაქსის დონეზე. ამ პროკლიტიკის ორთავი: თანხმონითსა და ხმონით შემადგენელ ნაწილებს ერთნაირი ბრუნვითი მნიშვნელობები აქვთ, ერთი სინტაქსური ფუნქციაა: წარმოქმნან ირიბი და შეპირობებულად პირდაპირი ობიექტები. თანხმონით ელემენტს მხოლოდ ერთი საოპოზიციო დანიშნულება აქვს ხმონითთან შედარებით: პირთა რომლობის გარჩევა. ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ მას შეეერთა გრადიციულად პირის ნიშანი. მაშ რა განმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს ხმონითი ელემენტი? ის ახდენს სხვადასხვა ბრუნვის გარჩევას. ნაცვალსახელოვან პროკლიტიკას მხოლოდ ერთი არაპირდაპირი ბრუნვა რომ უქონოდა /სინკრეტული აკუზატივ-მიცემითი/, ამ ფუნქციის გამოხატვას თვითონ თანხმონითი ელემენტიც კარგად შეძლებდა /იხ. ზემოთ მისი ფუნქციური დახასიათება/ და ნაცვალსახელოვან პროკლიტიკას ან საერთოდ არ ექნებოდა ხმონითი ელემენტი, ან დროთა ვითარებაში ის მოიშლებოდა. ამის ანალოგიას გვაძლავს სახელობით-წრფელობითი დასმული ვინ-ის რიგი, რომელიც ერთდროულად ახდენს პირის სპეციფიკაციასაც და ბრუნვითი ფუნქციის არამარკირებულად გამოხატვას. ყოველ შემთხვევაში, ხმონითი ელემენტი მატერიალურად რომც ყოფილიყო წარმოდგენილი, მას დამოუკიდებელი ფუნქცია არ მოეძებნებოდა და პირის ნიშანს მიათვლიდნენ უწყობმანოდ. ახლა კი პირის ნიშანს რომ მიათვალ, აშკენი მსჯელობა და დასაბუთება გჭირდება. ხმონითი ელემენტი ა- განასხვავებს ერთმანეთისაგან აკუზატივ-მიცემითსა და ნათესაობითს. მარტივად რომ ვთქვათ, ერთმანეთს უწინკურად უპირისპირება ა- და ი- ნაცვალსახელები, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი ელემენტები,

არამედ როგორც შესაბამისი პირის ნაცვალსახელის ბრუნვის ნიშნები ამ სიტყვის პირდაპირი მორფოლოგიური მნიშვნელობით. თუკი ნაცვალსახელს შეუძლია ბრუნება, რატომ არ უნდა შეეძლოს ეს ნაცვალსახელეგან პროკლიტიკას?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბევრ მიკვლევარს გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ მაქცერები დიაქრონიულად მიცემობისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეულ \bar{u} და \bar{u} ელემენტებთან სიახლოვეს აგენენ და რომ მათ საერთო საფუძველი შეიძლება დაეძებნოს დეიქტურ ნაწილაკებთან /მაგალითად, იხ. გ.როგავას ორი სპეციალური წერილი ამის თაობაზე/.

ჩვენი აზრით, ა-, ი-, ხმოვნით ელემენტებს ზმნაში თანამედროვე ქართულში ზუსტად ის ფუნქციები აქვთ /და მატერიალურადაც ემთხვევიან/, რაც მიცემობისა და ნათესაობით ბრუნვებს სახელის ბრუნებაში. შდრ. ადგილ-ა-ს ; ადგილ-ი-ს ; თირ-ა-ს ; ძირ-ი-ს და მისთ. ღრმა რეკონსტრუქციის გარეშეც ცხადია, რომ \bar{u} და \bar{u} წრფელობით/სახელობითს უპირისპირდებიან როგორც მიმართული, გადახრილი ბრუნვები პირდაპირ ბრუნვას, ხოლო მათ შორის ოპოზიცია ემყარება მიცემობისა და ნათესაობითს შორის არსებულ ზოგად ბრუნვისეულ სხვაობას /ქართული ბრუნვების შესაბამისი ანალიზი ჩატარებული აქვს ნ. ჭანიშვილს, იხ. ჭანიშვილი ნ. /ერთადერთ განსხვავებას პირის ნაცვალსახელური ბრუნვის ნიშნებსა და სახელის შესაბამის ბრუნვებს შორის ემნის თანხმობითი ელემენტი -ს, რომელიც ზმნურ პროკლიტიკაში არ დასტურდება. მაგამს საქმე ის არის, რომ თანხმობითი ელემენტი ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მიცემობისა და ნათესაობითს, არამედ ერთი მხრივ, მიცემობისა და ციოთარბითს /ა-ს ; ა-დ // -ს ; -დ/ და მეორე მხრივ, მოქმედებითსა და ნათესაობითს /-ი-ს ; ი-ა/. რამდენადაც ზმნის პროკლიტიკა მხოლოდ წმინდა სინტაქსური მიმართებების გამოხატვას ემსახურება, საჭირო არ იყო ციოთარბით-მოქმედებითის მნიშვნელობათა გამოხატვა და ამდენადაც თანხმობითი ელემენტების შემოტანა მათ განსასხვავებლად.

საბედის ბრუნვებთან მიმართებაში განსხვავებას ემნის აგრეთვე უ- და ე-ელემენტები. უ-ს შესახებ უკვე ითქვა, რომ ის ი-მაქცერის მორფოლოგიური აბლაღით არის მიღებული და ამდენად ბრუნვითი მნიშვნელობების იმავე წრეში ტრიალებს, შეზღუდულია მხოლოდ მისი პირებთან თავისუფალი კომბინაციები. ხოლო ე-მაქცევარი ა-მაქცევრის სახეცვლილ ფორმას გარდაუვალ ზმნაში და მიცემით-ნათესაობითის ფუნქციებს ახორციელებს.

ნაცვალსახელურ პროკლიტიკებს ამის შედეგად სინტაქსურ ბრუნვათა შინაარსის გამოხატვის უფრო მდიდარი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე მათი შესაბამისი ზმნური აქტანტების სინტაქსურ ბრუნვებს, სადაც, მაგალითად, საცნობითი განვიტარებულია მიცემობისა და ნათესაობითს შორის არსებული განსხვავება. I სერიის პირდაპირი და ირიბი დამატების მიცემითი ბრუნვა ითავსებს არა მარტო აკუზატიურ, არამედ ნათესაობით-მიცემობის ფუნქციებსაც, ის არ არის ამ მხრივ მარკირებული და

შესაბამის მნიშვნელობებს მხოლოდ კონტექსტით გამოხატავდა, მაქცევრები რომ არა.

სინქრონიულ დონეზე მ-, გ-, ჰ/ხ/შ/ს- სა და მა-, გა-, ჰ/ხ/შა- პროკლიტიკებს შორის შეიძლება დადგინდეს შემდეგი სახის მიმართება. ისინი მიცემიონისა და მიცემიონ-აკუზატივის ვარიანტებია და მსგავს სინტაგმატურ პირობებში ერთგვაროვანი ფუნქციით იხმარებიან, როგორც ერთ-მანეთის სინონიმური ვარიანტები:

ს-ტაკებ-ს ის მას $\frac{\text{მას}}{\text{ოკ}}$ / მ-ტაკებ-ს ის მას $\frac{\text{მას}}{\text{ოკ}}$
 მ-ხატავ-ს ის $\frac{\text{მე}}{\text{ოკ}}$ / მა-ბერებ-ს ის $\frac{\text{მე}}{\text{ოკ}}$

მაგრამ ორთავე მათგანს ფუნქციითა მრავალგვარობა ახასიათებს, ამიტომ, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ერთმანეთს რაიმე ნიუანსით დაუპირისპირდნენ. მაგალითად, გარდამავალ ჩმანზე დართვისას, ა-მაქცევარი, როგორც წესი, საზედაოს მნიშვნელობას ავლენს, ოდენთანხმონიანი ვარიანტი კი წმინდა მიცემითის ფუნქციით გვევლინება, რომელიც უპირატესად ადრესატის მნიშვნელობას გვიძლევს:

ს-წერ-ს ის მას $\frac{\text{მას}}{\text{ადრესატი}}$ / ა-წერ-ს ის მას $\frac{\text{მას}}{\text{საზედაო}}$
 ა-კადრებს ის მას $\frac{\text{მას}}{\text{ადრეს.}}$ / ა-კადრებს ის მას $\frac{\text{მას}}{\text{საზედაო}}$

გადატანითი მნიშვნელ./

თანხმონიანი და ხმოვნიანი ვარიანტები არსებობდა განსხვავებულ დონეებს გვიძლევენ სხვადასხვა სინტაგმატურ პირობებში, როდესაც ისინი ახორციელებენ არა მსგავს, არამედ განსხვავებულ ფუნქციებს. მაგალითად, როდესაც ერთმანეთს ხედება ღორმეობს, სადაც მა- წარმოქმნის ირიბ ობიექტს, ხოლო მ- პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს:

მ-ხატავ-ს ის $\frac{\text{მე}}{\text{ოკ}}$ / მა-ხატავ-ს ის $\frac{\text{მე}}{\text{ოკ}}$ მას.

ანდა პირიქით, როდესაც ს- წარმოქმნის ირიბ ობიექტს, ხოლო მ- აკუზაციის პირობებში პირდაპირ ობიექტს:

და-ს-ციმციმებს ის $\frac{\text{მას}}{\text{ოკ}}$ / მ-ს-ციმციმებს-ს ის $\frac{\text{მას}}{\text{ოკ}}$

ს-ციმციმებს-ს ის $\frac{\text{მას}}{\text{ოკ}}$ / მ-ს-ციმციმებს-ს ის $\frac{\text{მას}}{\text{ოკ}}$

ასეთი დაპირისპირება შემთხვევითი არ არის, ის ემსახურება პირდაპირი და ირიბი ობიექტების გარჩევას შორელოგის დონეზე, რაც მხოლოდ მ- მაქცევრის ან მხოლოდ ს-პირის ნიშნით ვერ ხერხდება.

განვიხილოთ ი/უ- ხმოვნების ბრუნვითი ფუნქციები. როგორც იძუვა, ა-ხმოვანთან შედარებით ისინი იერარქიულად შემდეგ სადებულზე დაგანან მარკირების თვალსაზრისით; ურთიერთმიზიდულობის, ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების და, ამდენად, კუთვნილების სემანტიკით ა-ხმოვანი არ არის მარკირებული. ასეთი მნიშვნელობები მას მხოლოდ კონტექსტუალურად შეიძლება აღმოაჩინდეს, სამაგიეროდ ეს არის ნათესაობითის გამოარქვული მნიშვნელობები, რომელიც ახასიათებს ი-ხმოვნის მქონე პროკლიტიკებსაც. ნათესაობითის მრავალი ნიუანსი აქვს, ის შეიძლება გამოხატავდეს, რომ მოქმედება ხორციელდება ვინმესთვის, ვინმესკენ, ვინმეს კუთვნილ საგნის მიმართ და მისთ. /ნათესაობითის მნიშვნელობების შესახებ იხ. მანუაჩიანი მ. 1980/. მონათესაობის და განმასხვავებელი მნიშვნელო-

ბა, რომელიც ყველა ფორმას აერთიანებს და განასხვავებს ა-მაქტევერის ფუნქციისაგან-არის მოცულობის შემოსახლერა და ურთიერთმინიჭებლობა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ა-მაქტევერთან ფორმებთან შეპირისპირებისას:

მა-ფგამს-ის მე /0_რ/ მას /გვირგვინს თაგზე/

მი-ფგამს-ის მე /0_რ/ მას /სკამს გვერდით/

პირველ შემთხვევაში ირიბი ობიექტის მოქმედება მოქმედს ეხება მთლიანობაში, მას გვირგვინს აფგამენ. მეორე მაგალითში კი მოქმედება ირიბი ობიექტს უშუალოდ არ ეხება, ის მის ახლს ხორციელდება. შდრ. აგრეთვე მა-წუხებ-ს ის მე /0_ვ/ = რალა მოვლენა /ან ადამიანი/ ჩემს /მთლიანობაში/ წუხილს იწვევს ; მი-წუხებ-ს = წუხილის გრძნობა მოოცავს ან ჩემთან მიმართებაში მყოფ პირს /მეგობარს, მშობელს.../, ან ჩემს ნაწილს; სულს, გულს და მისს. ამგვარი და მსგავსი საოპოზიციო ფორმები მრავალგვაროვან შინაარსებს განასხვავებენ და ქართული ზმნის უმდიდრეს პოტენციალს ახლენენ. ეს იჩენს თავს არა მარტო გადამხადელი მოქმედების გამოხატულებით, არამედ ყველა ლექსიკო-გრამატიკული კლასის ზმნების საოპოზიციო ფორმებში: გარდაუვალი წვიმდა მოგვცემს, ვრდი მხრივ, მა-წვიმდა = წვიმა უშუალოდ ამფიოვდა და მასტელებდა, მეორე მხრივ, გა-მი-წვიმდა = ჩემდა სამწუხაროდ, ან ჩემდა მოულოდნელად, ან რომელიმე სხვა შინაარსობლივი ნიუანსით, გაწვიმდა ჩემთვის, რამაც რალაში ხელი შემიშალა. ეს ფორმა სრულიად არ გულისხმობს, რომ მე წვიმა თავზე დამფიოვდა. ამ დროს მე, შეიძლება, საერთოდ შინ ვიჯექი და წვეთი წყალიც ვამცემია თავზე.

მოცულობის ამგვარი შემოსახლერა ძალზე ხშირად კუთვნილების სემანტიკასაც გადმოსცემს, რაც მეტოქრად ახლენს ურთიერთმინიჭებლობის შინაარსს. და-მა-ცხრა ტყვილი / თიქოს გარედან/ ; და-მი-ცხრა ტყვილი /ჩემი/.

მსგავსი დაპირისპირებები გვაქვს ოდნთანხმონიან მიცემითთანაც:

მ-მ-წყინდა = მე განვიცადე მოწყენილობის გრძნობა /განმცდელის მიცემით/ ; მი-მი-წყინდი = შენ ჩემს გამო მოგწყინდა, ჩემს სიახლოვეს იგრძენი მოწყენილობა, ჩემი უწყურადღებობის გამო და მისს. აქაც, მიცემითიანი პროკლიტიკა მოქმედებს უშუალო განცდებს გამოხატავს, ნათესაობითი დასმული პროკლიტიკა კი მოქმედებს მყოფ პირის განცდებზე მიუთითებს. აქვე შეგვიძლია დავძინოთ, რომ ამგვარ შემთხვევებში ძნელია სუბიექტის მიცემითის პერიფერიულობის შესახებ. მიცემითი აღნიშნავს ზმნით ნავარაუდევ პირს-განცდის უშუალო სუბიექტს. ამიტომ ასეთი ხმარება უმჯობესია დახასიათდეს როგორც აკუზატორ-მიცემითი.

ნათესაობითის შინაარსის შემოსვლამ შეიძლება ზმნის ასპექტებდაც იქონიოს გავლენა: ე-წუხებარ მე = აქტიური სუბიექტის წუხილის პროცესს ; მი-წუხ-ს გული = გული ცუდად მაქვს = სტატკური მდგომარეობის ზმნის ინაქტიური სუბიექტით. ამგვარი გადასვლის მიზეზი სწორედ ა-მაქტევერის ზრუნვითი მნიშვნელობაა, ის გამოხატავს არა უშუალო აკუზატორ-მიცემით მიმართულებას ან არამარკირებულ მოქმედების წყაროს, არამედ, მარტოდ,

გულისხმობს მოცულობის შემოსახეფრას ურთიერთმიზიდულ მოვლენებს შორის; საუბარია არა მძქველის განცდებზე, არამედ მისი სხეულის ნაწილის მდგომარეობაზე.

რაც შეეხება ვინ-ისა და მან-ის რიგთან ი-მაქცევრის განაწილებას, აქაც სურათი ა-მაქცევრის განაწილების ანალოგიურია. როგორც ზემოთაყ აღენიშნეთ, ვინ-ის რიგთან ი-მაქცევარი სპობს პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს. პირდაპირს სინტაგმატურად გაპირობებულ სიტუაციაში - დე-კაუზაციის პროცესთან დაკავშირებით, ხოლო ამ პირობის გარეშე ისპობა ირიბი ობიექტი. ეს-მოვლენის სინტაქსური მხარე. მის განხორციელებას კი ხელს უწყობს ი-მაქცევრის ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობა. ვინ-ის რიგი ნეიტრალურ, მიუმართავ შინაარსს გამოხატავს, მასთან კომ-ბინაციაში მყოფი მ/ბ/ში- /IIIმ./ ნაცვალსახელოვანი პროკლიტიკა ნათესაობითი ბრუნვის ურთიერთმიზიდულობის შინაარსის წყალობით კი არ განი-ზიდავს მისგან ობიექტს, როგორც ეს ა-მაქცევრის შემთხვევაში გვექნა, არამედ, პირიქით, მიიზიდავს, შემობარუნებს მისკენ ობიექტს და თუ შინაარსობლივად ვინ-ის რიგით გამოხატულმა მოლაპარაკე პირმა თავისი თავი რაიმე ახრით ობიექტთან გააიგივა, ობიექტი წინადადების დამოუკიდებელი წევრი ველარ იქნება, აღსანიშნეთა დონეზე მის ადგილს ვინ-ის რიგის პირი დაიჭერს. ამიტომ არის, რომ ამგვარ სიტუაციას უკუტყვიობს, რეფლექსურს უწოდებენ. ეს კარგად ცნობილი ფაქტია. აქ მხოლოდ იმის ხაზ-გასმა გვსურს, რომ უკუტყვიობის ეფექტი მიიღწევა ვინ-ის რიგისა და მასთან კომბინაციაში მყოფ III ობიექტური პირის ნაცვალსახელოვანი პროკ-ლიტიკის ნათესაობით ბრუნვაში დასმის შედეგად. აქედან კი გამომდინა-რეობს, რომ უკუტყვიობი ნაცვალსახელი ზმნის სტრუქტურაში ხორციელდება როგორც III პირის ნაცვალსახელოვანი პროკლიტიკის ნათესაობითი ბრუნვა. მაგრამ მაშინ დადგება საკითხი მ-ი- უკუტყვიობი პროკლიტიკისა და თ-ვი III პირის უკუტყვიობი ნაცვალსახელის ურთიერთმიმართების შესახებ. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თ-ვი ნაცვალსახელი ესადაგება როგორც ი-მაქცევრიან, ისე ა-მაქცევრიან ფორმებს; თავი დააცლა მან მას; თავი გააცნო მან მას, თავი შეაცოდა მან მას და მისთ. ამ შემთხვევებიდან ცხადი ხდება, რომ თავი რეფლექსური მნიშვნელობით კი არ ჰრის ნახმარი, არამედ პირიქით, ექსტროვერტული მიმართულებით. მამ, რა მნიშვნელობა შეი-ძლება აქონდეს თ-ვი ნაცვალსახელს? საფიქრებელია, ეს იყოს პიროვნების განსხვავებულება, ობიექტად ძველა, მოლაპარაკის თვითშეგნების ობიექტივაცია. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რეფლექსური ფსიქიკური პროცესი /ამის შესა-ხებ დაწვრილებით იხ. მაჭავარიანი, 1981, 1986/. ნაცვალსახელი თ-ვი უდგება პირდაპირი ობიექტის ადგილას და მის ფუნქციას ასრულებს, ასე რომ რომელიმე მ-ი-კლ-ა თავი = სინტაქსურად და სემანტიკურად გამო-ქმას მ-ი-კლ-ა წყურვილი, თ-ვი ნაცვალსახელი და წყურვილი ერთნაირად განსხვისებულა და მხოლოდ ამის შემდეგ უკუტყვიობი მძქველისკენ. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ უკუტყვიობი მნიშვნელობის მისაღებად არ არის აუცილებელი ყოველივე თ-ვი განსხვავებულება საფეხურის გაცლა. ეს რომ

მართლაც ასეა, ჩანს იქიდან, რომ მონ-ქვ-ა თავი უპირისპირდება არა ფორმას მონ-ქვ-ა თავი, არამედ გამოთქმას მონ-ქვ-ა შევლობარი, ქვა და მისა. ე.ი. ცილაც, ვინც ობიექტის მიმართ ახლო დამოკიდებულებაშია, და არა თვითონ საუბრის ობიექტი. ისევე, როგორც შევობარი, ქვა და ა.შ. სხვა იმ ობიექტის მიმართ, რომელზედაც საუბარია გამონათქვამში, ჩუსტად ასრევა განსხვავებული სუბიექტისგან მისი პიროვნება, როდესაც ზმნის ფორმაში უ-მაქცევრის ადგილს იკავებს ი-მაქცევარია. უკუტყვეობისთვის კი, როგორც ვნახეთ, პიროვნების განსხვავება კი არ არის საჭირო, არამედ პირიქით, ობიექტის მოქცევა მოქმედისავე. ამდენად, საერთოა დასაშვებელია, რომ გარდაუდები ზმნის მისაღებად არ არის აუცილებელი ზმნაშ გაიაროს ჯერ თავი-განსხვავება და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს პირდაპირი ობიექტის მოსაზება, როგორც ამას რიგი შევლებარი იარაღობს /ა.შანიძე, მ.სუხიშვილი. ამის საპირისპირო აზრისთვის იხ. ნოზაძე ლ./.

ფორმები ი-შეფ-ა, ი-ბატონ-ა, იდეგზავა, იგუნდავა და მისა. არ ნიშნავს თავი ამეფა, თავი აბატონა, თავი ადეგზავა, თავი ადუნდავა, ვით უმეტეს არ უდრის ი-ფავა, ი-წვა თავი დაფავა, თავი დაწვინა. ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება მხოლოდ შინაარსი ფეიფონ, რაც ნიშნავს არა სხვა /საპირისპირო თვალსაზრისისთვის იხ. ნებიერიძე გ./.

ამრიგად, ივარაუდება არა ორი სიღრმისეული პირი, არამედ ერთი პირის აქტიური სხვაზე მოუპირთა-ვი მოქმედება. სწორედ ამ მნიშვნელობის წარმოება იკისრება ი-მაქცე-ვარს საშუალ ზმნებში.

როგორც ზემოთ ვეცადეთ დაგვესაბუთებინა, უ-მაქცევარი ი-მაქცევრის მოთხოვნოლოგიურად შეპირობებული აღმორცხია; ამის გამო ის გამოხატავს მხოლოდ III ორიბი ობიექტური პირის ნათესაობით ბრუნვას; ჰ/ხ/შ-, რის შედეგად მოქმედების მიზიდულობა შეიძლება იყოს მხოლოდ III ორიბი ობიექტის მიმართ. შერ. ე-უ-ხატავ მე შას შას = ვხატავ მისთვის, მისას /III 0_ჩ/. ყველა დანარჩენი პირის მიმართ გამოხატულ მიზიდულობის სემანტიკას წარმოაჩენს ი-მაქცევარი, რამდენადაც იგი ამ მხრივ შეზღუდული არ არის:

- ე-შუ-ხატავ : ე-ში-ხატავ = ვხატავ მისთვის : ჩემთვის
- შუ-ხატავ : ში-ხატავ = მისთვის : შენთვის
- შუ-ხატავ-ს : ში-ხატავ-ს = მისთვის; თავისთვის

ვიან-ის რიგთან შეჩდდება იმაში მდგომარეობს, რომ მართალია, მოქმედება მიმართულია სამსავე პირისკენ; ჩემთვის/შენთვის/თავისთვის, მაგრამ ის პირი, რომელიც უკუტყვევას განიცდის მხოლოდ III ობიექტური პირის ნათესაობით ბრუნვაში. ამიტომ ი-მაქცევრით შეუძლებელია გამოხატოს შემდეგი შინაარსი; მე შენ ვხატავ ჩემთვის, შესაძლებელია მხოლოდ მე შას ვხატავ ჩემთვის. ჩუსტად ასევე შეუძლებელია ვიან-ის რიგთან ა-მაქცევრით გამოიხატოს შინაარსი; მე შენს თავზე რაიმეს ვხატავ, შესაძლებელია მხოლოდ მე შის თავზე ვხატავ რაიმეს; ე-ა-ხატავ. ეს ბუნებ-რივია, თუ გაითივადისწინებთ, რომ მაქცევრები ფაქტობრივ III პირის საცვადახებლევანი პროკლტიკებია, მაგრამ თუ ამას არ დავუშვებთ, ეს

შეზღუდვა გაუტეხარი დარჩება. შევახსენებთ, რომ III პირი - არამოლა-პარაკე პირია.

მან-ის რიგთან მაქცევარი გრძელ კომპონენტს ქმნის, მათ ერთი რე-ფერენტი აქვთ, ამიტომ საქმედ გვაქვს ერთ ობიექტურ პირთან, რომელიც ნა-თესაობით ბრუნვებში დგას და პირის ნიშანთან მიზიდულობას გამოხატავს. ცხადია, ამ სიტუაციაში ნ-მაქცევარს უკუქცევითობის შინაარსი აღარ ექ-ნება; მოქმედება ობიექტისკენ კი არ უკუქცევდება, არამედ თავიდანვე მის მიმართ მიზიდულობას გამოხატავს; მი-ხატავს = ჩემთვის ხატავს.

როგორც აღვნიშნა, იაკობსონი ვარაუდობს, რომ ნათესაობითი ბრუნ-ვისთვის არ არის ნიშანდობლივი მიმართულების აღნიშვნა, რომ ეს არის აკუზატივ-მიცემითის კუთვნილი სემანტიკა. ქართული ენის მასალა ამას არ ადასტურებს. მართლაც, აკუზატივ-მიცემითი სახელობითის მიმართ მიმარ-თულების სემანტიკით არის შარკირებული, მაგრამ ნათესაობითიუ ხომ უპი-რისპირდება სახელობითს როგორც ირიბი ბრუნვა-პირდაპირს, ამდენად იმპლი-ციტურად ნათესაობითიუ შეიცავს მიმართულების შინაარსს, ოღონდ ეს შინა-არსი ტრანსფორმირებულად არის წარმოდგენილი; მიმართულება ამ შემთხვევა-ში ურთიერთმიზიდულობას გამოხატავს. ამდენად სემანტიკა: ჩემსკენ, ჩემ-თვის, ჩემსას ერთდროულად მიმართულიც არის და მოცულობის შემოსაზღვრის მარცხენებელიც, რაც გამოარჩევს ნათესაობითს მიცემითისაგან. ნათქვამ-მა შეიძლება მსჯელობის ზედმეტი გარბულების შთაბეჭდილება დატოვოს, მაგ-რამ, აღბათ, ეს არის ერთ-ერთი გზა იმ ფაქტის შინაარსობლივი ნიუანსე-ბის ახსენისა, რომლითაც ასე მდიდარია ქართული ზმნა.

მეორე მხრივ, მიცემითი შეიცავს ტექსტობრივი კონოტაციის სახით არამარკირებულ შინაარსს ურთიერთმიზიდულობისა და მოცულობის შემოსაზღ-ვრისა, რაც იტარაქვილად უფრო მაღალ საფეხურზე ნათესაობითმა გამოხატა. მაგალითად, ა-ბია, ა-წერია, ა-ცერია და მისთ. ნიშნავს, რომ ძალაც საგანი /ზოგადი გაგებით/ საუბრის საგნის ზედაპირზეა, მასზეა მოთაგ-სებული. მაგრამ სწორედ ამის გამო, ეს საგანი თუ მოვლენა შეიძლება გა-ვინაზროთ საუბრის ობიექტის ნაწილად, ზოგჯერ არსებით ნაწილადაც; ხილი /ვმელი, მისხალი.../ ხის ტოტს აბია, წიგნს სათაური აწერია... შემთხვე-ვითი არ არის, რომ ეს ფაქტის ნიუანსი განმარტებითი ლექსიკონის შემ-დგენელებს შეუნიშნავდ და ამგვარი ზმნების განმარტებაში ხშირად ორი მნიშვნელობა გამოყოფილი: პირველი /საზედაო/ გამოხატულია ზმნით - აარის; ა-ბია = დაბმული არის; ა-წერია = დაწერილი არის და მისთ. ხო-ლო მეორე მნიშვნელობა /კუთვნილება/ გამოხატულია ზმნით - აქვს; მიწერილი აქვს. საინტერესოა, რომ თვითონ ზმნა ა-ქუს ა-მაქ-ცევითი არის ნაწარმოები. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ მან კუთვნილე-ბითი /ე.ი. ნათესაობითის/ ფუნქცია შეიძინა. ასევე ზმნა მ-ყავს-ს/გ-ყავს მ-ყავს-ს აკუზატივ-მიცემითი გამოხატავს ყოლის ფაქტს და ინტერსიულია, რაც აგრეთვე მისი ოღონდელი სემანტიკის რეინტერპრეტაციაზე მიტყვევებს. აღბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ამგვარი სემანტიკური გადასვლა მიტყვევებულ სტატუსში შინაარსის მქონე ზმნებთან ხდება /ეს ფაქტი შენიშ-

ნული აქვს მ.სუხიშვილს/, პროცესუალურსა და მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებთან ნაწილსა და მთელის აღქმის კონტექსტი ძნელად თუ შეიქმნებოდა. შდრ. იგივე ფძის ზმნები მოქმედების მნიშვნელობით: მი-მ-აქვს-ს; მი-მ-ყავს-ს, სადაც კუთვნილების სემანტიკა სრულიად გამორიცხულია. მ.სუხიშვილს აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ ისეთმა ზმნებმა, როგორცაა უ-ძ-ს, უ-ვი-ს და მსმ. თანდათან შეიძინეს კუთვნილების სემანტიკა. ამას შეიძლება დაემატოს ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიც, მაგრამ მი-/გი-/პ/ხ/შუ- პროკლიტიკისთვის კუთვნილების გამხატვა ნათესაობითი ბრუნვის მარკირებული მნიშვნელობაა, ხოლო მა//მ-/გა//გ-/ვა, ხა, შა//პ, ხ, ს, მ. - პროკლიტიკისთვის კი ლექსიკო-გრამატიკული ან სიტუაციური კონტექსტით შეპირობებული აკუზატივ-მიცემითის კონტაქტია.

მე- პროკლიტიკის შესახებ იძლება, რომ ის თავისი ძირითადი მორფოსინტაქსური და ბრუნვითი ფუნქციის შესაბამისად ახორციელებს ფორმასა-წარმოებელ ფუნქციასაც: კაუზაციის პირობებში თემის ნიშნებთან ქმნის კონფიქსს და პირდაპირი ობიექტის წარმოქმნის შედეგად აწარმოებს გარდაამავალ ზმნას. ყველა სხვა შემთხვევაში წარმოქმნება ირიბი ობიექტი, რომელიც პერიფერიულია ზმნის შინაგანი ელენტობის თვალსაზრისით, მის წარმოქმნას ზმნის სხვა ლექსიკო-გრამატიკულ კლასში გადასვლა არ მოჰყვება. შდრ. ქვენება - ერთპირიანი, გარდაუვალი, დინამიკური პროცესის გამომხატველი აქტიური ზმნა : ა-ჰყენბა ის მას - იმავე გრამატიკული კლასის ზმნა + საზედამს აკუზ.მიც. მნიშვნელობა. მაგრამ, ამის საპირისპიროდ, ქვენება ის : ა-ჰყენბა-ს ის მას - მივიღებ აგენტური, გარდაამავალი მოქმედების აქტიური ზმნა.

ი-/ო-მაქცევრებასაც აქვთ ფორმასაწარმოებელი ფუნქცია და ამ შემთხვევაშიც ის ხორციელდება ამ პროკლიტიკების ძირითადი მორფოსინტაქსური და ბრუნვითი მნიშვნელობების შესაბამისად. ი-მაქცევარი აწარმოებს I. გარდაამავალი ზმნებიდან გარდაუვალ ზმნათა გარკვეულ კლასებს: ა. დე-კაუზაციის პირობებში ინაგენტურ დინამიკურ პროცესულურ ზმნებს. ეს — ა-მაქცევრის ფორმასაწარმოებელი ფუნქციის საპირისპირო პროცესია. შდრ. ღულ-ს ის — ა-ღულ-ებ-ს ის მას; მაგრამ წერ-ს ის მას — ი-წერწებ-ა ის. საგულისხმოა, რომ დეკაუზაცია-რეფლექსივობის პროცესი ახალ ქართულში აგრეთვე თემის ნიშნების ფუნქციას უკავშირდება. ეს არის ან ი/ო-ებ კონფიქსი, ან გარდაამავალი ზმნის ფუძიდან გადმოყოლილი ობ/ივ თემის ნიშანი, რომელიც ქმნის ი/ო — ობ/ივ კონფიქსს; სპობს — ი/ო-სპობა, ლევბ — ი/ო-ლევა ტიპისა /მათი განაწილების შესახებ მესამე თავში გვექნება საუბარი/. როგორც ვნახეთ, ასეთ შემთხვევაში ზმნა არა მარტო გარდაუვალი ხდება, არამედ იძენს განსხვავებულ ასპექტურ ნიშნებსაც: დინამიკური პროცესის მარკირება მისი ძირითადი ასპექტური მახასიათებელი ხდება. ბ. შეიძლება ანალოგიური პროცესი განხორციელდეს სუბიექტის სტატუსის შეცვლელად; მაშინ რეფლექსივობის შედეგად ცილებში მდგომარეობს /ან იშვიათ შემთხვევაში მდგომარეობს/ ზმნებს: ა-მიფ-ა - ი-მიფ-ა, ა-თერჩავ-ა - ი-თერჩავ-ა ტიპისა. ცნობილია, რომ მდგომარეობს

ჩვენების წარმოებისა და ლორებულიების საკითხი დაცას იწვევს. შარალაყ, ის სინტაქსური კონსტრუქციის არსის გარკვევას უკავშირდება. გ.კლიმოვი მას განიხილავს აქტიური კონსტრუქციის პრობლემათა მჭიდრო კავშირში /იხ.კლიმოვი გ./ მედიალური ჩვენების სტატუსს სპეციალურად განიხილავენ ლ.ნოზაძე, თავის მრავალმხრივ სახურადადებო სტატიაში, ა.შარისი /იხ. შარისი ა. ამ ავტორთანაც არის მოკლეული მსჯელობა თავი-კონსტრუქციების შესახებ/. მედიალური ჩვენების სემანტიკა მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ლ. ა. შოლისკის/იხ. შოლისკი დ./. ამჯერად ჩვენ მედიუმების პრობლემის ასეთ სიღრმეებს ვერ ჩაეწვდებით. გვინდა შეითხვედნის ხურადადება მივაპყროთ საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს; თუ ენაში დასტურდება ერთმანეთისგან ფორმით განსხვავებული გარდაამავალი და მედიალური ჩვენები, მაშინ მედიუმის ი-შაქცევარი, როგორც წესი, არ ერთვის. ასეთი ვითარება გვაქვს თანამედროვე ქართულში; ამეფებს; მეფობს; ათევიზავებს; თევიზავს; აფულავს; ფულავს და მისთ. მაგრამ, თუ გარდაამავალს არ უწყვილდება ფორმით განსხვავებული საშუალი ჩვენა, მაშინ მას აწარმოებს ი-შაქცევარი; ა-სვენ-ებ-ს მს მას; ი-სვენ-ებ-ს ის /არ დასტურდება სვენობს/სვენს მედიები/; ა-ლხენ-ს ის მას; ი-ლხენ-ს ის /არ დასტურდება ლხენს/; ა-ჩოქ-ებ-ს ის მას; ი-ჩოქ-ებ-ს ის /არ დასტურდება ჩოქებს/ და მისთ. საგულისხმოსა, რომ იმგ ისეთ ჩვენაში, სადაც გაჩნდა მედიოპტივის საკუთარი ფორმა, /საფიქრებელია არსებული მოდელის ანალოგით/, დოკარგა ი-შაქცევარი; ძვ.ქართ. ი-გლოვ-ს; ახ.ქართ. გლოვავს; ძვ.ქართ. ი-შარხავ-ს; ახ. ქართ. შარხვავს; ძვ.ქართ. ი-ლოცავ-ს; ახ.ქართ. ლოცვავს და მისთ. /იხ. ნოზაძე ლ./ მაგრამ ძველ ქართულშიც დასტურდება პარალელური ფორმები; მღერს // ი-მღერს // ი-მღერ-ი-ს; გალობს // ი-გალობს ტიპისა. გვარაულობა, რომ აქ ი-შაქცევარს ფორმასაწარმოებელი ფუნქცია არ უნდა ექონოდა. ი-ასეთ შემთხვევაში უნდა ხახაწავდეს მოქმედების პროცესში სუბიექტის ჩართვას, შესაძლებელია, ამგვარი ფორმების ამონიშვრი შინაარსის გამო. შფრ. მღერის ის // მღერის ის მას; გალობს ის; გალობს ის მას. შფრ. რუსული *прибрав комнату* : *прибравшись в комнате* /რავ/. ამგვარი ნიუანსი გვაქვს გამომქმედაში მიღის და მი-ი-მღერი-ს ტიპისა. გახაჩულია მნიშვნელობა: მოქმედებს თავისთავის, მოქმედების პროცესშია ჩართული, თავისთავის ზის და მღერის ან მიღის და თავისთავის მღერის /დაწერილებით იხ. მაჭავარიანი მ. /. ეს მნიშვნელობა უშუალოდ გამომდინარეობს ი-შაქცევარის ზოგადი უკუქცევითი ფუნქციიდან და ენათესავენება მის ფორმასაწარმოებელ ფუნქციას, მაგრამ მიანც ასეთ პარალელური ფორმების არსებობის პირობებში, ი-შაქცევარს ეკისრება არა ფორმის წარმოების, არამედ ფორმის შინაარსის უკუქცევითი მომენტის ხახვასმა. ამგვარიც ხახვასმა, რომელიც შემდგომ ფორმასაწარმოებელ ფუნქციაში უნდა გადასულიყო, გვქონდა მედიუმების წყვეტილ ფორმებში. ცნობილია, რომ ძველ ქართულში არსებობდა საშუალი ჩვენების უშაქცევარი ფორმები წყვეტილში; ა-მეფა მან ის; მეფა // ა-მეფა მან; ა-ქადაგა მან ის; ქადაგა მან; ა-რადუნა მან ის; რადუნა მან და მისთ. /ლ. ნოზაძე მთავარს ანალო-

გოჭრი წარმოების მაგალითები სენაური და მეგრულ-ჭანური ენებიდან/.

ჩვენი აზრით, ამ ტიპის წყვეტილი ი-მაქტეგარი გაჩნდა ა-მაქტეგართან შინაარსობრივი დაპირისპირების წყალობით, რამდენადაც წყვეტილი გაა-ღამავალი და მედიალური ზმნა ერთმანეთს თვის ნიშნით ეგრ დაუპირისპირ-ღებოდა. ეს ეარაული სარწმუნო ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარ გარდაღამავალ ზმნებში ა-მაქტეგარი ყოველთვის ფორმასაწარმოებელი ფუნქცი-ით არის დატვირთული; ამიტომ, ბუნებრივია, მასთან დაპირისპირებით ი-მაქტეგარსაც საპირისპირო ფორმასაწარმოებელი ფუნქცია ეკისრა; ა-მეფა მან ის ; ი-მეფა მან თვითონ; ა-ღულა მან ის ; ი-ღულა მან თვითონ და მისთ. ამით ჭაიხაზა მედიუმის მიუმართავი, ერთპირიანი სემანტიკა და ამავდროულად შივიქმნა მედიუმის წყვეტილის წარმოების მოდელი, რომელსაც მედიოპასივივი გაქცვა. რაც შეეხება ე.წ. ინიანი ენების ფორმებს, ისინი, როგორც ითქვამს, რეფლექსივიზაციით არის მიღებული, მაგრამ სხვა გზით და სხვა შედეგით. დეკაუზაციის პროცესს სუბიექტის ინაგენტურობა მოქცევა, ხოლო რეფლექსივიზაციამ ზმნას პროცესში ჩართვის სემანტიკა შეს-ძინა. საშუალო ზმნებისგან განსხვავებით, ეს ზმნები დინამიკური პრო-ცესის გამოხატველი ზმნები გახდა. ისე რომ, საფექტებელია, დინამიკური რეფლექსური ფორმები ისტორიულად არ არის მედიუმებისგან გამოყოფილი ფორმები, ისინი გარდაღამავალი დინამიკური ზმნების დეკაუზაციის შედეგს წარმოადგენენ. ამდენად, ჩვენ საცხებო ეფთანზებით ე.წ. ნიშნებს იმ მხრივ, რომ მედიუმების წარმოქმნისას არ არის სავარაუდებელი, ყოველთვის დაე-ნაყვალა სხვის დაკარგვის საფეხური გავითვალისწინოთ /თუცა, როგორც ამას აბტორი ამბობს, ცალკეულ შემთხვევაში ასეთია რამ შეიძლება მომ-ხდარიყო, რამდენადაც სხვა ზმნებიც კარგადენ პირდაპირ ობიექტს და რეინ-ტერპრეტაციას განიცდიან/. ჩვენ ზემოთ ვეყადეთ, შინაარსობრივად ატვიხ-სნა დაეცე ნაცვალსახელის არაუკუტევივი ფუნქცია. მაგრამ ეგრ დაეფთან-ზებით ე.წ. ნიშნების დასკვნას, რომ ქართულურ ენებში ყველა მედიალური ზმნა რეფლექსივიზაციის შედეგია და ბუნებით მედიუმები არც ერთ ქართულ-ურ ენას არ გააჩნდა. აღბათ, ასეთი მიდგომა მედიუმის უფრო ფართო პრობ-ლემათაც ეგრ გადაგვაწყვეტინებს. ჩვენი დასკვნაა, რომ ი-მაქტეგარი სწო-რედ იმიტომ ამოკლებს მედიუმთა რეფლექსივიზაციას, რომ ქართულში /და სხვა ქართულურ ენებში/ არსებობდა მიუმართავი, აქტიური შინაარსის მქო-ნე ბუნებით საშუალო ზმნები: ღულს, წუხს, ყოფს, ტრის მისთ. ხოლო ი-მაქ-ტეგარის ფორმასაწარმოებელი ფუნქცია სწორედ ამ ბუნებით მედიალური ზმნე-ბის სემანტიკური ყალიბის გადატანა იმ ზმნების მიმართ, რომელნიც ან სახედისგან იწარმოებოდნენ, ან რეფლექსივიზაციის შინაარსობრივი ნიუან-სის გაძლიერებას მოითხოვდნენ. შესაძლებელია დაეფთვება, რომ საერთოდ, ამგვარი ფორმასაწარმოებითი მოდელი ემსახურებიათ ბუნებითი სემანტიკის გახსნას, გარკვეული აზრით, მის ინტერპრეტაციას, რაც გრამატიკული მო-დელის შექმნის ხორციელდება იმ სემანტიკურად ნათელი, ცოცხალი ელემენტების გამოყენებით, რომელნიც ენაში პროდუქტიული ელემენტების სახ-ით ფუნქციონირებენ. ენას რომ არ უქონდა ბუნებითი ზმნები წერს, ღულს

ტიპისა, რომლებიც ფუძის ლექსიკური მნიშვნელობით უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც გარდაშავალი და გარდაუვალი საშუალო ზმნები, ან გაანდობლად არც ა-ფუღებ-ს და არც ი-სვენ-ებ-ს ყლობი, შიბი უმეტეს ძნელი ასახსნელი იქნებოდა ნასახელარი ზმნების წარმოება ა-მეფ-ა ; ი-მეფ-ა ტიპისა. როგორც აღინიშნა, გრამატიკა ლექსიკური მნიშვნელობის მარკირებაა, გარკვეული ლექსიკური მიმართებების გამოყოფა და ფიქსირება.

11. ფორმალურად ფუნქცია აქვს ი/ე-მატევერას მწკრივთა წარმოებისას III სერიაში.

უნაბილია, რომ III სერიის I და II თურმეობით მცდელები უპირისპირდებიან შედეგობითის აღწერით ფორმებსა და სტატისტიკური ზმნების ფორმასა და სემანტიკას, გახსნავენ რა შიბი პერფექტულ ბუნებას /შანიძე ა. ფრეტი 2, ნათძე ნ./ . ა. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ I თურმეობითი ზმნა ოდენ სასხვისო ქვერის ფორმით დასტურდება /ე.ი. გეაქვს მხოლოდ მი-, გი-, მუ პროკლიტიკები და მუ პროკლიტიკის ცინ-ის რიგთან კომბინაცია/, ამიტომ საოპოტიკო წყვილების უქონლობის პირობებში, ა. შანიძის აზრით, მატევერის ფუნქცია ნეიტრალიზებულია და ქვერითი მნიშვნელობა /სასხვი-სო/ დაკარგული აქვს. ჩვენ გვგონია ამ დებულებას ეთანხმებით, უკანასკნელის გასაძლიერებლად. ჩვენი აზრით, სხვა მატევერებთან ოპოტიკა არა გეაქვს სწორედ იმიტომ, რომ მი-გი-მუ პროკლიტიკა ამ შემთხვევაში ფორმალურად მოდელი ფუნქციით გეველინება, რაც ზღუდავს სხვა მატევერებთან მისი თანისუფალ მონაცვლობას /იხ. ზემოთ მსჯელობა მატევერების ხმარების შეზღუდვების შესახებ/. მაგრამ ეს გარემოება ვაშორიყხავს მისი ძირითადი მნიშვნელობის ნეიტრალიზაციას. პირიქით, ფორმალურად მოდელი ფუნქცია განსაკუთრებით მკვეთრად ავლენს მატევერის ნათესაობითი ბუნების მნიშვნელობას ზუსტად ისევე, როგორც ეს გვქონდა შედეგობითი ზმნების ფორმალურად მოდელი ზმნებთან მი- პროკლიტიკა მხოლოდ III პირის უკუქვერითი ფუნქციით იყო წარმოადგენელი ცინ-ის რიგთან, I თურმეობითი კი მან-ის რიგის ყველა პირის ფორმით, რასაც თანისი შინაარსობრივი გამართლება აქვს. ბენვენისტს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ პერფექტი ნათესაობითის კუთვნილებით შინაარსისა და მდგომარეობის სემანტიკის შეხამებას /იხ. ბენვენისტი ე./ ამ თვალსაზრისით თურმეობითის ფორმები ქართულში განხილული აქვს ე.ა.ლენს, მ. სახლიას და ირ. მელიქიშვილს /იხ. ბიბლიოგრაფია/. /სახლია და მელიქიშვილი აქვდა აკოთხებენ დასკვნას, რომ III სერიის ფორმები ქართულში ერგატული კონსტრუქციისაა. საკითხის საინტერესო დასმაა. ჩვენ მას ამგვარად ვერ შევეტებით/. მართლაც, სინთეზური პერფექტის წარმოება უნდა იყოს ანალიზური /ლექსიკური დონის/ შედეგობითი და პერფექტული კონსტრუქციების /გაყვებულებული არის ; გაყვებულებული მაქვს ტიპისა/ გრამატიკული მარკირება იმ ელემენტების საშუალებით, რომელთაც შესაბამისი ნათესი და პროტეტიკული ფუნქცია აქვთ /იხ. არაბული ა., მაგარეარანი მ. 1983/. ამდენად, /და/-მი-გია ფორმა, მართლაც, მი-გია ფორმის რეინტეგრატაცია შეიძლება იყოს. მი-გია ის მე - არის სტატისტიკური ა-გია ის ფორმის მი- პრ-

კლიტიკით გართლება, მისთვის შესატყვისი ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით; აგია ჩემთან, ჩემს ახლს, ჩემი /შესაბამისად II და III პირებში/. აქტიონალურ, პერფექტულ შინაარსს ეძღვნება მხოლოდ ერთი ნაბიჯი: მი- პროკლიტიკით გამოხატული პირის გააქტიურებში /საპირისპირო თვალსაზრისი იხ. პარისი ა./, რაც ამ პირს აქცევს ამ, ზმნის ფორმით გამომხატული მდგომარეობის, შედგენის შემსრულებლად /და არა პოსესორად, ლოკალიზატორად ან ბენეფაქტივად, როგორც მდგომარეობის გამომხატველ ზმნაში გეტონდა/. რომ ეს შარბლყ ასეა, ჩანს იქიდან, რომ I თურმეობითში გადასვლისას სტატიკური მდგომარეობის გამომხატველი ფორმა იქმნის მოქმედების ასპექტური; სრული და უსრული - ოპოზიციის გამომხატვის უნარს, რაც მას მანამდე, როგორც სტატიკურ ზმნას, ბუნებრივია, არ გააჩნდა /შდრ. მი-გია /სტატიკ. მდგომარეობა/, მაგრამ მი-გია : და-მი-გია /თურმეობითი/, რაც სწორედ აგენტური, აქტიური მოქმედების ზმნებისთვის არის დამახასიათებელი /აგენტური მოქმედების ამ თვალსაზრისით დახასიათება იხ. მაკევირიანი შ. 1981/. ამის თაობაზე ა. არაბულს გამოქმუნილი აქვს ეგვი, რომ სტატიკური მდგომარეობის ზმნები ქართულში მცირერიცხოვანია და, ამდენად, პროექტიული წარმოების ბაზად ვერ გამოდგებოდა. საქმე ისაა, რომ პერფექტის წარმოების სხვა ფორმის სტატიკური ზმნებიც დაედო საფუძვლად. ეგრძე, -აე და -ამ თემისნიშნაინები, რომლებსთვისაც აგრეთვე არის დამახასიათებელი პირის კლებით ან პირის რეინტერპრეტაციით გასტატიკურება. შდრ. ა-ხურ-აე-ს ის მას მას -ქედს, სახურავს/ ; ა-ხურ-აე-ს ის მას /ქედი, სახურავი/ აგენტური პირის სრული ნეიტრალიზაციით, რაც იწვევს სწორედ ზმნის გასტატიკურებას; ა-ეგ-ამ-ს ის მას მას ; მოს-ეგ-ამ-ს ის მას /ისევე აგენტური პირის ნეიტრალიზაციით. ცნობილია, რომ ზეპურული, მავალითად, სწორედ -აე თემის ნიშანია თურმეობითში განხორციელებული, ქართლის საპირისპიროდ, სადაც თურმეობითში გამოყენებულია სამივე ფორმა: და-მი-ხატ-აე-ს, და-მი-ეგ-ამ-ს, და-მი-გი-ა. თუმცა ქართულშიც გვაქვს ია დაბოლოების განზოგადების ტენდენცია. ამდენად, თურმეობითის სემანტიკურ საფუძვლად მდგომარეობის სემანტიკის აღიარება ეგვი არ უნდა იწვევდეს, შით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ტიპოლოგიურ მონაცემებსაც. პერფექტისა და თურმეობითის წარმოებისა და სემანტიკის საკითხები ჩვენი განხილვის საგანი სრული სახით ამჟღავნებს ვერ იქნება. გვიანტერესებს მხოლოდ ი-მაქცევრის ფორმასა წარმოებელი ფუნქცია. ამ თვალსაზრისით კი ეგება ერთი ზოგადი კითხვა: რა გზით უნდა განხორციელებულიყო გადასვლა: პოსესორი, ბენეფაქტივი — მოქმედების აქტიური შემსრულებელი? რა სემანტიკური კავშირი შეიძლება აქონდა პოსესორს აქტიურ სუბიექტთან? /ნუ დაგვაიწვევება, რომ ამგვარად ნაწარმოები თურმეობითი გარდაშეადი აგენტური ზმნის მწკრივია/. შეუძლია თუ არა ნათესაობითი ბრუნვის სემანტიკას ასეთი გადასვლის უზრუნველყოფა? საფიქრებელია, მხოლოდ კონკრეტული, ყუფნიღვი-ბითი სემანტიკით ამ გადასვლას ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ვერ აგხსნივთ. ეს მხოლოდ ფაქტის დადასტურება იქნებოდა. საკითხი უფრო ზოგა-

დია, ვიდეო პერფექტის წარმოება და ეხება ნათესაობითის მიერ სუბიექტის გამოხატვის ყველა შემთხვევას. შტრ. უკთი მხრივ, კაცის ქული, ლო, მეორე მხრივ, კაცის /მიერ/ გაკეთებული საქმე. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, პერფექტის წარმოებაშიც ნათესაობითის ეს თვისება ელინდება. საფიქრებელია, რომ ამგვარ შემთხვევებში ნათესაობითის მნიშვნელობა იყოს არა მარკირებული ურთიერთმიჩივლობა და მოცულობის შემოსაზღვრა, არამედ არამარკირებული, კონტაქტური მნიშვნელობა, რომელიც ახლოს არის ინსტრუმენტალისის ფუნქციასთან და რომლის გამორჩეული აღნიშვნა სწორედ მოქმედებით ბრუნვას დაეკისრება. როგორც ჩემთა აღნიშვნით, ნათესაობის და მოქმედებითს ქართულში უკთი და იგივე ხმოვანი ნიშანი აქვს ხოლო განმასხვავებლად სხვადასხვა თანხმოვანი მოუღიო. მიზიდულობის სემანტიკიდან მოქმედებითობის მნიშვნელობაზე გადასვლა სავსებით ბუნებრივი ჩანს. შტრ. პლატონის ახრი = ახრი, რომელიც პლატონს მიეწერება, პლატონს ეკუთვნის და, მეორე მხრივ, იგივე გამოთქმა შეიძლება გავიგოთ, როგორც პლატონის მიერ გამოთქმული ახრი, თუ პლატონს ამ ახრის წყაროდ ვიგულებთ. ლათინისტები აღნიშნავენ *genetivus subiectivus* და *genetivus possessivus* სიახლოვეს /იხ. სობოლევსკი ს./ იგივე შეიძლება ითქვას ბერძნული ენის ნათესაობითი ბრუნვის შესახებ. სწორედ ამ მნიშვნელობასთან ძალიან ახლოა მოქმედებითის ძირითადი ფუნქცია, ე.წ. *ablativus auctoris*, რომელიც სულიერ სუბიექტს გულისხმობს და რომელსაც განასხვავებენ *ablativus instrumenti* ს-გან რომელიც გამოხატავს მოქმედების იარაღს. ჩვენი აზრით, პერფექტულ მწკრივებში დადასტურებული ნათესაობითის მნიშვნელობა, ამდენად, არის არა კუთვნილება, არამედ სწორედ *genetivus subiectivus* და *ablativus auctoris* მსგავსი ფუნქცია, რომელიც ნათესაობითისთვის კონტექსტუალურ-პოტენციალურია, ხოლო აბლატივისთვის ძირითადი და მარკირებული. საინტერესოა, რომ პერფექტის შემთხვევაში ი-შაქცე-ვარი მან-ის რიგთან დგას, ე.ი. მიმართულ, ირიბ ფორმაში დასმულ პირშია. ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ პერფექტის სუბიექტი არ არის აქტუალური აგენტურად მოქმედი პირი, მისი მოქმედება ნაგულისხმევია შედეგის მიხედვით, პერფექტი ხშირად უნახავი აქტის გამოხატაველი ხდება, როგორც ეს ქართულში მოხდა. ამიტომ პერფექტის სუბიექტი ფორმითაც უნდა განსხვავდეს ნახელი აქტის, აქტუალურად მოქმედ აგენტისგან, რაც განაპირობებს მან-ის რიგის ნათესაობითი დასმული პრაქტიკის არჩევანს. ამგვარად ჩამოყალიბდა პერფექტის საწარმოებელი უაღობი და გავრცელდა ყველა გარდამავალ ჩვენაზე.

III. *მი-, *გი-, J/ბ/ში/უ-გამოყენებულა აგრეთვე ხარისხის საწარმოებლად ძველ ქართულში და სენაურში: ძვ.ქარბ. J-უ-მუზბ-ე, შუ-მართლ-ე; სენან. ხ-ლ-ჩა = კარგი, „უკეთესი“; ხ-ლ-შა = დიდი, „დიდესი“. მკვლევრები აღადგინენ პირის ნიშანსა და შაქცევარს I და II მან-ის რიგშიც /ნ. შარტი, ა. შანიძე, გ. შაჰაგაროანი/. უკვე ძველ ქართულში დასტურდება იმავე ფორმების ნათესაობითი ბრუნვაში ხმარება: ხუ-მუზბ-ე-ის-ი, ხ/შუ-დიდ-ე-ის-ი და მისხ. სენაურში შესაბამისი ფორმები ნათესაობით

ბრუნვაში არ დგას, საფიქრებელია, ამ შემთხვევაშიც მი-, გი-, პ/ხ/შუ-პროკლიტიკის ნათესაობითი ბრუნვის ხმარება გამართლებულია, მაგრამ არა კუბონილების მნიშვნელობით, არამედ შედარების ნათესაობითობისა/genetivus comparationis /, რომელიც ბევრ ენაში იხმარება სწორედ შედარებითი ხარისხის გამოსახატავად. იხ.ამ მხრივ ბერძნულის ვითარება. ლათინურში მას შედარების მოქმედებითი შეესატყვისება /ablativus comparationis /. ქართულში ისტორიულად ამოსავალი ფიქვ ჩმნური წარმოშობისად ივარაუდება /ა.შანიძე, გ.მაკუავარიანი/. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ძველი ტიპის მიმდებარე წარმოება გვექნოდა, რომელსაც მან-ის რიგის პროკლიტიკა დაერთო შედარების ნათესაობითში, სადაც პირის ნიშანი მიუთითებდა შესაძარბებელ პირზე. მას შემდეგ, რაც შედარებითი ხარისხის ფორმამ გაწყვიტა კავშირი ნაჩმნარ წარმოებასთან და გასუბსტანტივედა, მან მიიღო ჩედსარაბი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც აგრეთვე მისი მარამოვბელი გახდა უკვე სახელის სტატუსით. ა.შანიძე ამ ფორმას ნაგენერტვარს უწოდებს. ჩვენი აზრით, ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მან-ის რიგის პროკლიტიკა ნათესაობითის მნიშვნელობას გამოხატავდა /ხარისხის წარმოების შესახებ იხ. ზურაბიშვილი დ., ლერნერი კ./.

მანამ, სანამ პროკლიტიკა მიმდებარე /ნაჩმნარ/ ფიქვს მიერთდოდა, მას უქონდა პირთან მიმართების გამოხატვის უნარი /მი-დი-ე-ჩეშსა/ და შენარსობლივად უღრიდა ახალი ქართლის ჩემზე, შენზე, მასზე დიდი ამდენად, ჩვენი აზრით, გამოირიცხება მი-დი-ე-ე-ის-ი ფორმის აღდგენა /შედ. ლერნერი კ./.

ამ ფორმაში სახელის ნათ. ბრუნვის ნიშანი -ის ჩედმეტია და სტრუქტურულად გაუშარბლებელი. აკი სევანურში, სადაც ჩედსარაბის პრედიაკტული ბუნება უკრაც ნათელია და ჩმნასთან ფორმალური კავშირი ხელშესახები /იხ. მაკუავარიანი გ./, მას ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი არც ახდავს. ნანათესაობითარი ფორმა - სახელის ფორმა, ამდენად მი-, გი-, ხუ- პროკლიტიკა მასთან თავის ფუნქციას კარგავს, ხოლო ხ/შუ-განიცდის რინტერპრეტაციას; აღმატებითი ხარისხის მარტვენბელი ხდება /იხ. ლერნერი კ. ოლნდ ავტორისგან განსხვავებით, გეგონია, რომ ეს წმინდა შინაგანი, სტრუქტურულ-სემანტიკური პროცესია და ენათა ინტერფერენციასთან მისი დაკავშირება ნაძალადეგია/. მიმდებარე და ინტინტური ნაჩმნარი ფორმების თანდათანობითი გასუბსტანტივეება ქართლისთვის ფაშახსიათველდ პროცესია და ყველა შემთხვევაში იწვევს ცვლილებებს სინტაქსურ გარემოებაში. შედ. მაგალითად, ძვ. ქართ. ინტინტური კონსტრუქცია: „უმიჯომის არს ჩემდა მიცემად იგი შენდა, ეიღრე მიცემად იგი სხუასა ქმარსა“ დაბ. 29, 19., სადაც ინტინტურს დამატებები ჩმნისთვის შესადერ ბრუნვაში მიერთვის, და ამის საპირისპიროდ, მასდარული გასუბსტანტივებული კონსტრუქცია: „მისი მიცემა ქმრისთვის“, სადაც მასდარი კარგავს დამატებების ბრუნვაში მართვის უნარს და სახელისთვის დამახასიათებელ მართვაზე გადადის /იხ. ჩხუბიანიშვილი დ./.

ამით ძირითადად ამოიწურება ი/უ მარტვერების ფორმასწარმოებელი ფუნქციები. კიდევ ერთხელ გავხაზავთ, რომ ამგვარ შემთხვევებში პროკლი-

ტოკის ძირითადი ფუნქციის ნეიტრალიზაცია კი არ ხდება, არამედ, პირიქით, სწორედ მისი შინაარსის გამოყენება და ხაზგასმამ. ე-შაქტერის მსგავს ფუნქციებზე მწკრივების წარმოებისას აქ აღარ შევტყუდებთ.

ჩატარებული ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენის ფუძის წარმოქმნას შაქტერები მხოლოდ თავისი ფორმასწარმოებელი ფუნქციით ემსახურება, როდესაც ისინი სხვა შაქტერებთან პრივატულ ოპოზიციას არ ქმნიან; ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ნაცუალსახელური პროკლიტიკები პირის კატეგორიას განეკუთვნებიან, ოღონდ უხმოვნო ვარიანტებისაგან განსხვავებით. ახდენენ პირის განსაზღვრას სინტაქსური ბრუნვის მიხედვით. მათ მიერ წარმოქმნილი წინადადების წევრები კი ამ მხრივ განეიტრალბულია: I სერიაში ყოველთვის სინკრეტულ მიცემით-აქუზატივიში დგანან, ხოლო მეორე სერიაში სახელობისა და მიცემითში.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ შაქტერებიანი /ბრუნვის ნიშნიანი/ პროკლიტიკები ყოველთვის მიმართული /ირიბი/ ბრუნვითი მნიშვნელობის მატარებელია და ფორმალურ-სინტაქსური ძვალსაზრისით ობიექტებს გამოხატავენ ანუ ობიექტური პირმომართი ნიშნებია. J/ბ/შუ- პროკლიტია გამოხატავს მხოლოდ III ორბ ობიექტურ პირს, დანარჩენები კი I, II, III პირებს: შა- : გა- : J/ბ/შა-

მე- : გე- : J/ბ/შე-

მი- : გი- : J/ბ/ში/უ-

აქედან აღენიშნებოვნიანი ვარიანტი აქვს მხოლოდ ა-შაქტერთან აქუზატივი-მიცემითიან პროკლიტიკას: შ- : გ- : J/ბ/ს/შ- . ვინ-ის რიგთან კომპინაციაში შედის შხოლდ III პირის პროკლიტიკები, ამიტომ თანამედროვე ქართულში ვინ-ის რიგთან ყველგან ფუნქციურად საგულებელია გრამატიკული ნული: ვ-შა-წერ, ვ-ში-წერ, ვ-შუ-წერ, ვ-შე-წერები, სადაც შ- III პირს გამოხატავს, რამდენადაც I და II მარკირებულ პირებს უპირისპირდება.

ვინ-ის რიგი ამის საპირისპიროდ წარფლობით ბრუნვაშია, ამიტომ ხმოვითი ელემენტი არ დაეკარგვის.

ჯერჯერობით პასუხის გარეშე დაგვრჩა კითხვა: რატომ არ ეხამება ვინ-ის რიგს I და II პირის პროკლიტიკები? სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, გვატყვიოთ, რას ემსახურება ჩემო ჩატარებული ანალიზი.

პირისა და ქცევის კატეგორიები ქართულსა და ქართულურ ენებში დაწერილობით არის აღწერილი. არ დარჩენილა არც ერთი ჩვენური ფორმა, ანალიზს რომ არ დაქვემდებარებოდა. ამ მხრივ ა.შანიძის გრამატიკაში და ქეცლის I ტომში წარმოდგენილი გრამატიკული აღწერა სამაგალითო თავისი სისრულით და სიღრმით. ასევე სრულია ლექსიკონში წარმოდგენილი ჩვენური ფორმების შინაარსობრივი დახასიათება.

ა.შანიძე აღნიშნავდა: „...სხვათა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, წერს - ი-წერს /ან წერს - უ-წერს/ ფორმებს შორის და, მეორე მხრივ, წერს - ა-წერს ფორმებს შორის. განმასხვავებელ ნიშნად ბირველი წყვილის ცალგან შორის კუთვნილება-დანიშნულებაა, აქ კი მიმართება ირიბ-ობიექტთან სინკრეტში განლაგების ძვალსაზრისით; იქ ქცე-

რვა ანუ ეგრესია, აქ კი - სიტუაცია. ამიტომ მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელია. საჩუქარი ფორმა რომ ქვეყნის ფორმად ციხნოთ, მაშინ, უკუ-ძველია, ქვეყნის განსაზღვრადი ახალი მომენტი უნდა შევიტანოთ და არსებობადად ორი სხვადასხვა კატეგორია შევეაერთოთ. ეს იგივე იქნებოდა, რომ ერთად განგვეხილა ისეთი ფორმები, როგორცაა, ციქვამა; და-წერა, და-ი-წერა /აქტ./, და-უ-წერა, და-ი-წერა /მას./ და და-უ-წერა /მას./ იმ მარტივი მოსაზრების გამო, რომ ყველა მათ, პირველს გარდა, პრეფიქსი აქვს მაწარმოებლად /იხ. შანიძე ა. 1973, გვ. 175/.

სიტყვა ადრე /გვ. 356-57/ ანტონი შენიშნავს, რომ დაწყებული პ. შენარ-თიდან და ნ. მარილან, გათავებული მისივე ადრინდელი ნაშრომებით /1919-1926 წ წ / მაქცევრებს მკვლევრები ერთიანი თვალსაზრისით განიხილავდნენ, როგორც ერთი ფუძიდან ყველა ფორმათა წარმოების სისტემა. ასეთი-ვე მიდგომა აქონდათ გ. დეეტერსსა და პ. ფოტს. რამ განაპირობა ან ერთი, ან მეორე მიდგომა? უფრო კონკრეტულად, რამ შესუტავა ა. შანიძის თვალსაზრისი? როგორც ჩანს, პირველი მიდგომა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მაქცევრებს ჩინის ძირიდან მიმართულებით ერთი რანგი, ერთნაირი პოზიცია უპირატე და, ამდენად, ფუძის წარმოების ერთ სისტემას ქმნიან. ხოლო მეორე მიდგომა ანგარიშს უწევს არა ფორმალურ მხარეს, არამედ იმ კონკრეტულ შინაარსობრივ მიმართებებს, რომელიც ჩინის ფორმებს შორის მყარდება სხვადასხვა მაქცევრის დაპირისპირებისას. ჩვენი აზრით, ორივე ეს მიდგომა სავსებით გამართლებულია და სათანადო შედეგს იძლევა. პირველი უბრუნველყოფს მაქცევრების ერთიან სისტემაში გაერთიანებას და ამდენად არ უბრუნველყოფს მათ ფორმალურ თვისებას, ხოლო მეორე ამ ერთიანი სისტემის შიგნით გამოყოფს სხვადასხვა სემანტიკურ ფუნქციურ კატეგორიას, მათი შინა-არსობრივი სპეციფიკის მიხედვით. ამრიგად, ამ ორ მიდგომას შორის არ არის წინააღმდეგობა. მაგრამ, საფიქრებელია, ორივე მათგანი სრული არ არის და, რაც მთავარია, ორივე ფაქტების აღწერის ღონეზე რჩება. კერძოდ, გაურკვეველია, რა საერთო ფუნქცია აქვთ მაქცევრებს მორფოსინტაქსურ /ფორმალურ/ ღონეზე, ე. ი. რა აპირობებს მაქცევრების საერთო რანგს? ეს შემთხვევითი, თუ კანონზომიერი ნიშანია? და მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კითხვა: თუ მაქცევრებს ერთი საერთო მორფოსინტაქსური ფუნქცია აქვთ, რა არის მისი საერთო სემანტიკურ-შინაარსობრივი მხარე? რამდენადღაც მორფოსინტაქსურ ერთიანობას სწორედ საერთო სემანტიკური ფუნქცია უზრუნველყოფს, რაც სრულიადაც არ გამოირიცხავს ამ ერთიანობის შიგნით სხვადასხვა სემანტიკური მიმართებების არსებობას. ანალიზისთვის რომ ბრუნება ავიღოთ, დავი-თვალ ბრუნვას საკუთარი, განსხვავებული მნიშვნელობა ახასიათებს და სხვა ბრუნვებთან თავისებური მიმართებების სისტემა, მაგრამ, მიღებულიავე ამისა, ყველა ბრუნვა მათივე ბრუნვათა ერთიან სისტემაში შედის.

მეორე საკითხი, რომელიც გადაუჭრელი დარჩა ორივე მიდგომისას, არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით ხორციელდება ქვეყნის სხვადასხვა მიმართება. რა მნიშვნელობა აქვს მაქცევრებს, რომელიც განაპირობებს სასუბიექტს /სუბიექტის განკუთვნილი/, სათავისს /თავისთვის განკუთ-

ენილი/ ან საზღვაო /სიერციხეული სიტუაცია/ და მისა., უზრუნველყოფას. მანამ, სანამ ეს არ დადგინდება, ქვეყნის კატეგორიით მხოლოდ აღწერება, დაფიქსირდება ის შინააპსები, რომლებიც ინტუიტურად ესმის ყველა ქარ-
თველს, მაგრამ გაუგებარი დარჩება, როგორ, რა საშუალებებით ხერხდება ეს, რა შინააპსობლივი მულტივალუა უღვეს საფუძვლად ჩამოთვლილ გრამატიკულ მიმართებებს, რა კონკრეტული ამოცანის განხორციელება ევალება გრამატიკული მდიდარი ფორმის თითოეულ ელემენტს და რა როგორ შინააპსს გად-
მოსცემს მათი ურთიერთმოქმედება. გრამატიკული კატეგორიის მოტივაცია ყველთვის არ არის ცხადი და ცალსახა, ხშირად დიაქრონიული ცვლილებ-
ში მას იმდენად ჩრდილავენ, რომ მისი აღფანტვა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ კვლევას მოითხოვს, ხოლო გრამატიკული ფორმა დაუნაწევრებელ, ბუნებით-
თან მიმსგავსებულ ფორმად გველინება. მაგრამ პირისა და ქვეყნის კატე-
გორიების შემთხვევაში ეს ასე არ არის. მათი სემანტიკური ინტერპრეტა-
ცია სინქრონიულ დონეზე შესაძლებელი, რამდენადაც ამ შემთხვევაში გრამ-
მატიკული ფორმის შემქმნელი ცალკეული ელემენტები დღესაც ცოცხლად ფუნ-
ქციონირებენ.

მაშასადამე, გასარკვევი იყო: ა.მაქვერების როგორი შორფსინტაქ-
სური ფუნქცია, რომელიც გასაგებს გახდიდა მათ ერთიან სისტემად კვალ-
ფოკაციას და ერთნაირ პოზიციას ჩვენის ძირის მიმართ. ჩემთა ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ეს არის ობიექტების წარმოქმნა-მოსპობის სინტაქ-
სური ფუნქცია. ბ. გასარკვევი იყო აგრეთვე, რა სემანტიკური კატეგორია უზრუნველყოფს ამ ფორმალურ-სინტაქსური ფუნქციის განხორციელებას. ჩვენი
ეარაულო, ეს არის ბრუნვითი ფუნქციები: აკუზატივ-მიცემითისა და ნათე-
საობითი ბრუნვების ძირითადი მნიშვნელობები.

ამ ორი დონის საერთო განხილვამ გვაეარაულებინა, რომ მაქვერები ნაცვალსახელოვანი პირის პროკლიტიკების ბრუნვითი ელემენტებია.

გასარკვევი დარჩა ნაცვალსახელოვანი პროკლიტიკების როგორი სემან-
ტიკური ფუნქცია ანუ ის საფუძველი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავა-
ერთიანო ყველა მაქვეარი ერთ კატეგორიაში, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ბრუნვითი მნიშვნელობები მათ საშუალებას აძლევენ, გამოხა-
ტონ სხვადასხვა ქვეითი მიმართებები.

ამ როგორი ფუნქციის განსაზღვრაზე, გვირდა გავხაზოთ, რომ ჩვენი ანალიზი არ არის მიმართული აქამდე ჩატარებული კვლევის წინააღმდეგ და, ამდენად, არ უარყოფს მის შედეგებს. განსხვავებულია მხოლოდ მიზანდა-
სახულობა. აქამდე მკვლევრები ცდილობდნენ დაედგინათ მაქვერების ცალ-
კეული მნიშვნელობები, გამოეყო პრივალტი ოპოზიციები და მათ საფუ-
ველზე დაეხასიათებინათ ქვეყნის კატეგორიის კონკრეტული სინტაგმატურად შეპირობებული გამოვლინებები. ჩვენი ანალიზი მდიდრად ეფუძნება არსე-
ბულ ცოდნას მაქვერების ამ მნიშვნელობების შესახებ, ოღონდ მიზნად ისახავს პირისა და ქვეყნის კატეგორიების როგორი სემანტიკის დადგენას და იმის ახსნას, თუ რა შექცევაში უღვეს საფუძვლად მათ ურთიერთმოქმე-
დებას და მათი ცალკეული გრამატიკული მნიშვნელობების განხორციელებას.

ჩვენი ეარაუდით, მაქტერების შემცველი ნაცვალსახელორი პროკლიტიკე-
 ბი ახდენენ ჩვენთ გამოხატული მოქმედების ორიენტაცია. ეს არის მათი ზო-
 გადი მნიშვნელობა. ხოლო ორიენტაციის ლერძი, რომელიც წარმართავს ორი-
 ენტაციის ეექტორს — არის I მოსაუბრე პირი; II-მსმენელი-პირის ორიენტა-
 ცია I პირის პოზიციით არის გაპირობებული, ხოლო III არამოსაუბრე პირი
 იმერტებს ორიენტაციის ეექტორს, ოლნდ, რამდენადაც ის მოსაუბრე პირი
 არ არის, ლერძს ქმნის სუბიექტის პოზიცია. ორიენტაციის ლერძისკენ მი-
 მართულ მოქმედებას ეწოდებთ ინტროვერტულს, ხოლო ლერძისგან გარეთ მი-
 მართულს - ექსტროვერტულს. ამ ზოგად შინაარსს ჩინებულად გამოხატავს
 ა.შანიძის მიერ შემოტანილი ტერმინი ქვეყნა - თავისი ძველი მნიშვნელო-
 ბით: მოქცევა /ინტროვერსია/ ; მი-ქცევა /ექსტროვერსია/, ლათინური
 ძირით სწორედ ამასვე გულისხმობს. ა.შანიძის ცნებები გეზი და ორიენტა-
 ცია ნახმარი აქვს სტა სხვა გაგებით: გეზის სახელით აღინიშნება ჩვენი
 გამოხატული მოქმედება სიერტეში მდებარე სხვადასხვა პუნქტთან, ხოლო
 ორიენტაციით აღინიშნება მოუბარი პირის დამოკიდებულება ჩვენთ გამოხა-
 ტულ მოქმედებასთან, რომლის მიხედვით ირკვევა, განიხილავს მოუბარი
 ამ მოქმედებას, როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია იმ პოზიციისკენ,
 რომელიც თვითონ უპირატეს სიერტეში, თუ როგორც ისეთს, რომელიც საწინააღ-
 მდეგო მიმართულებით მიდის /შანიძე ა. 1973, გვ. 238/. ე.ი. ორთავე
 შემთხვევაში იგულისხმება ორიენტაცია და გეზი სიერტეში. ამდენად, ამ
 ცნების გაგება ჩვენთან უფრო აბსტრაქტულია და გულისხმობს არა სიერ-
 ტისეულ, არამედ ხუვედგვარ ორიენტაცია, რომელიც მოსაუბრე პირის
 თვალსაზრისს გამოხატავს. საფორტებელია, რომ სიერტისეული ორიენტაცია
 /შა-, მი- ჩვენისწინებით გამოხატული/ არის ზოგადი ორიენტაციის დაკონ-
 კრეტება მოსაუბრე პირის პოზიციასთან დაკავშირებით სწორედ სიერტეში,
 ამიტომ სიერტისეული ორიენტაცია შეიძლება ზოგად ორიენტაციას არც და-
 ემთხვეს. ეს საინტერესო საკითხია, რომელიც მოთხზოვს ჩვენისწინთა ფუნ-
 ქციების დაწვრილებით ანალიზს მაქტერების საორიენტაციო მნიშვნელობებ-
 თან შეპირისპირებით, მათი სხვადასხვა კომპინაციური შესაძლებლობების
 გათვალისწინებით, რაც ამჟამად ჩვენი განხილვის საგანი ვერ იქნება.
 გაცხაზავთ მხოლოდ, რომ სიერტეში ორიენტაცია არ წარმოქმნის ობიექტებს
 და არ ცვლის ჩვენის ელენტობას, ე.ი. მარტივი წინადადების სტრუქტურას.
 ის გარკვეულ სიერტისეულ მიმართულებას ანიჭებს უკვე არსებულ აქტანტებს.
 თუმა ჩვენისწინთა მნიშვნელობებთა შეიძლება მოახდინონ მაქცევათა ამა
 თუ იმ მნიშვნელობათა აქტეცია. შერ.მო-მი-ყვანა მან მუ /0 $\frac{1}{2}$ / ის ;
 მი-მი-ყვანა მან მუ /0 $\frac{1}{2}$ / ; ა-ა-შენა მან ის /0 $\frac{1}{2}$ / ; მი-/მო/და- ა-შენა
 მან შას ის , ისევე მოხდა ობიექტის სტატუსის შეცვლა. ო-ტირა მან ;
 და-ი-ტირა მან ის და მისთ. ცხადია, ამ ფორმებს რომ არ ქეონდა ორთავე
 მნიშვნელობის გამოხატვის უნარი უჩვენისწინთადაც, ჩვენისწინის დართვა
 არაფრს შეეცდოდა. ჩვენისწინი ქმნის კონტექსტს, რომელიც აჩუსტებს
 ჩვენის სემანტიკურ ბოტენციას, გამოავლენს სიტუაციის შესაფერ ელფრს.
 ზოგადად განესაზღვროთ მაქტერათა მაორიენტირებელი ფუნქციები,

მათ კონკრეტულ მნიშვნელობებს განვიხილავთ თითოეული მაქტივების სემანტიკის განხილვის დროს /მოქმედების მიმართულების შესახებ ქვეყანასთან დაკავშირებით, საუბარია რუდენკო ბ. და ლომბაიძე ქ./.

ორენტიაციის თვალსაზრისით, III პირის ნაცვალსახელური პროკლიტიკები შემდეგ მოზიციას ავლენენ: ბ/შა-, ბ/შე-, ბ/შუ- ყოველთვის ახდენენ მოქმედების ექსტროვერტიზაციას I, II, III ცინ-ის რაგის პირის ნიშნებთან მიმართებაში, რაც განპირობებულია მათი ბრუნვითი მნიშვნელობებით: ცინ-ის რაგი - არამარკირებული წრფლობითი, ხოლო III პირის პროკლიტიკები მარკირებული ირბი ბრუნვებით. ამ შემთხვევაში ბუნებრივად ხდება მოქმედების განხილვა, ე.ი. ექსტროვერტიზაცია: I და II მოსაუბრე პირებისაგან გარეთ, ხოლო III პირის შემთხვევაში სუბიექტური პირისაგან გარეთ: ბ-შა-კეთებ მე შას ; ბ-შე-კეთებ მე შას შას ; ბ-შუ-ლაპარაკები მე შას - ყველა ამგვარ მაგალითში მოქმედების მიმართულება არის ცინ-ის რაგისგან გარეთ გაშიზნული. მარკირებულია სწორედ ეს გარეთა წერტილი, რომელიც შეიძლება იყოს ფორმალურ-სინტაქსური თვალსაზრისით პირდაპირი ან ირბი ობიექტ-სხვადასხვა შინაარსით დატვირთული. ამდენად, ამ შემთხვევაში წრფლობითი და ირბი ბრუნვების კომბინაცია ცალსახა და მარტივ სურათს გვაძლევს. ნათესაობით ბრუნვაში დასმული III პირის უკუტყვიით პროკლიტიკა ამის საპირისპირო მიმართულებას გვაჩვენებს, ის ახდენს მოქმედების ინტროვერსიას მოსაუბრე /I, II/, და III სუბიექტური პირების მიმართ და ამით სპობს სხვა პროკლიტიკებით წარმოქმნილ ობიექტებს, რამდენადაც წრფლობით ბრუნვაში დასმული პირები თავისი არამარკირებული ხასიათის გამო თავისუფლად ღვებიან ობიექტების პოზიციებში: ბ-შა-ღვამ მე შას შას ; ბ-შე-ღვამ მე შას /I მოსაუბრე პირი ირბი ობიექტის პოზიციებშია, ამიტომ მოქმედება მისკენ უკუტყვა. ბ-შუ-ღვამ მე შას შას ; ბ-ში-ღვამ მე შას - ისეც ირბი ობიექტის პოზიციით, ოღონდ არა მიცემოთის, არამედ ნათესაობითი მნიშვნელობით. ბ-ღვამ მე შას ; ბ-შე-ღვამები მე /პირდაპირი ობიექტის პოზიციით/ და მისთ. ეს ფაქტები კარგად არის ცნობილი. ამდენად, ცინ-ის რაგთან მიმართებაში ინტროვერსია ყოველთვის რეფლექსივუზიზაციას ნიშნავს, და ე.წ. რეცესიულ კონსტრუქციას ქმნის /ტენიერი/. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი პირდაპირი ობიექტი ჩვენს ბუნებრივად შეიძლება შეიწყოს და პირველადი გარდასმავალი ჩვენში სწორედ ასეთ პირდაპირ ობიექტს შეიწყობენ, ირბი ობიექტი ყოველთვის წარმოქმნილია ან უბოვონო /შ-, ბ-, შ/ბ/ს-, /ან ხმოვნიანი პროკლიტიკებთა მაგრამ მათი გარჩევა მოორფოლოგიური პარადიგმატიკის დონეზე ხერხდება მხოლოდ II სერიაში, ე.ი. ერგატულ კონსტრუქციაში, ნომინატიური კონსტრუქცია კი ამ მხრივ ქართულში სპეციფიკურ სურათს გვაძლევს: არ არის გარჩეული პირდაპირი და ირბი ობიექტების ფორმა, როგორც ჩემთა იყო აღნიშნული, მხოლოდ მოგვიანებით დანიშნო მათი გარჩევა III არამოსაუბრე პირებთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნომინატიური კონსტრუქციის ჩამოყალიბებისას, პირველ რიგში მოხდა სწორედ ექსტროვერსიის მარკირება ანუ მოქმედების განხილვა არამარკირებული ცინ-ის რაგისგან და არა სუბიექტ-

ობიექტების შორფოლოგიური გარჩევა, რაც დღესაც ბოლომდე გატარებული არ არის.

ამ კონტექსტში გვინდა დავსვათ საკითხი II სუბიექტური პირის ნიშნის შესახებ. როგორც ცნობილია, ის შედინად ემხვევა ე.წ. III ირ.ობიექტური პირის ნიშანს. მათი ფორმოლოგიური განაწილება აბსოლუტურად მსგავსია. ამიტომ გარეგან დაშვებებზე საუბარი ძნელია. მაშ როგორ აცხსნათ ეს გარემოება? რა შეიძლება უკონდეს საერთო II სუბიექტურსა და III ირ.ობიექტურ ნიშანს? მათი შინაარსობლივი გაიგივება რაიმე სპეციალური პირობების გაუგებარებლებად, გაუმართლებელია. ხომ არ შეიძლება დაგვეშვა, რომ ორივე წარმომადგარი III პირის ხმოვნისანი ან უხმოვნო პროკლიტიკიდან შემდგომი რინეტარტაკაციით? დაეკვირვება პარადიგმას. სიმოკლისთვის მოვიყვანო მხოლოდ ერთი მაქვერის მაგალითი, მსგავსი პარადიგმები ახასიათებს ყველა მათგანს:

ე-ს/შა-ღგამ შე მას მას
ბ/შა-ღგამ შენ მას მას
ბ/შა-ღგამ-ს ის მას მას

ე-ს-წერ შე მას მას
ს-წერ შენ მას მას
ს-წერ-ს ის მას მას

ამ პარადიგმის მიხედვით, ნათელია, რომ II და III პირები ერთმანეთსგან განსხვავდება მხოლოდ III სუბიექტური /ვინ-ის რიგის/ პირის ნიშნით. ის რომ მარკირებული არ ყოფილიყო, II და III პირები გაურჩეველი იქნებოდა, რამდენადაც ჩვენში აისახებოდა მხოლოდ ექსტროვერტული ორიენტაცია და არა II და III აგენტური პირების ოპოზიცია. ჩვენი ვარაუდით, მანამ, სანამ მოხდებოდა III სუბ.პირის მარკირება, ეს ასე უნდა ყოფილიყო. წარდგინოთ ბრუნეთ გამოიხატებოდა მხოლოდ I მოუბარი პირი და მის მიმართ მოქმედების ორიენტაცია. სხვათა შორის, სიგნული ორიენტაციის შემთხვევაში ასეთი რამ დადასტურებულია ძველ ქართულში; მო ჩმინის-წინი მოუდის მხოლოდ I მოუბარი პირისკენ ორიენტირებულ მოქმედებას, ან ისეთ მოქმედებას, რომელშიც I მოუბარი პირი აქტიურ მონაწილედ იგულისხმება სიგნისული პოზიციის თვალსაზრისით, II და III პირშიმართი მოქმედება კი მი- ჩმინისწინით გამოიხატება. ე.ი. დაპირისპირებულია I და II/III პირები. საფიქრებელია II და III პირების ერთმანეთისგან გარჩევა გამოწვევა ატენსის შინაარსის მარკირებაში. ყველა ქართული ენის ჩვენებით, საერთოქართულში უნდა გამოყოფილიყო II პირი, ხოლო III პირის მარკირება სენარსა და ქართულში განსხვავებული გზით განხორციელდა. პროკლიტიკების გადააზრებებმა რომ მართლაც ფაქტია, ამის დასტურად გამოვება მისი რინეტარტაკაციის მაგალითები III პირში. ცნობილია უამრავი შემთხვევა, სადაც ე/ს- პირის ნიშნები თითქოს უადგილად ადგილასაა ნახ- შარი. შდრ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ლექსში:

„შინსი ლექსი შევბით, ღებნით,
ხან მიჯლისში მო-ქ-ფრინდება,
გულს ჩაგვეკრის, ქ-ლაღობს,
ქ-ხარობს,
გამეჭრებს და ამეღრმდება“.

ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას იძლევა სევანური. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სევანურში მკაცრად არის გარჩეული პირდაპირი და ირიბი ობიექტები შესაშვ პირობი. ამიტომ ჩვენის პარადიგმა პროკლტიკების განაწილების ძვალსაზრისით შემდეგ სურათს გვიჩვენებს. პირდაპირი ობიექტის მქონე ოპიტირან ჩვენში შესაშვ პირობი არ გვექნება ხ- ნიშანი:

ბჟ-ა-შვარდე „ვაშვიდებ“

ხ-ა-შვარდე - „აშვიდებ“

ა-შვარდე „აშვიდებს“

და შათი განმასხვადებელი აღმორნდება II პირში დადასტურებული ხა- პროკლტიკის თანხმონური ნაწილი. ჩვენი ფიქრით, სწორედ ეს გაგრეობა უბიძგებდა ხ- ელემენტის რეინტერპრეტაციას. ირიბი ობიექტის მქონე ჩვენებში ასეთი რამ ვერ მოხდებოდა, რამდენადაც იქ მეორე და შესაშვ პირები გარჩეული არ არის:

ხჟ-შ-მენ „ვაშვიდე მე შას შას“

ხ-შ-მენ „აშვიდე შენ შას შას“

ხ-შ-მენ „აშვიდეგ ის შას შას“

ჩვენ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ უხმონეო ძირებთან, სადაც პროკლტიკის დარღვა საერთოდ არ ივარაუდება და, ამდენად, ხ-თანხმონიო ელემენტის არ უნდა გვექნოდეს, II და III პირები არამარკირებულია და გარჩეული არ არის:

დური „ვიცად“

დვიგე „ვაქრობ“

დური „ვიხვად“

დვიგე „აქრობ“

დური „ვიცადს“

დვიგე „აქრობს“ /იხ. თაფურია/.

როგორც ვხედავთ, ბოლო ორ პარადიგმაში ერთმანეთს უპირისპირდება პირველი და მეორე/შესაშვ პირები, რაც, ჩვენი აზრით, ამოსავალ გზა- რებას უნდა ასახავდეს. სევანურში ირიბი ობიექტის არმქონე ჩვენებში უნდა დაწვებულიყოს III სუბიექტური პირის მარკირებაც, რაც შას II პირისგან განასხვადებდა. ეგულისხმობთ ლა- პროკლტიკის დარღვას /იხ. თაფურია ე., ქალდანი მ./, მაგრამ, როგორც ჩანს, ფონეტიკური პირობების გამო, ეს პროცესი არ განხორციელდა. სამაგიეროდ, ქართულში III სუბ. პირი აღინიშნა სუფიქსებით, რის შემდეგ მოხდა მეორე პირში თანხმონიო რეინტერპრეტირებული კ/ხ/ს- ნიშნის მოშლა. თანამედროვე ქართულში II სუბიექტური პირი ფაქტობრივ მარკირებული აღარ არის.

ექმულის კონტექსტში თითქოს გასაგები უნდა გახდეს ის გითარება, რომელიც დასტურდება I და II მოუბარი-მსმენელი პირების ერთმანეთთან შეწყობისას. როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში ჩვენში აღინიშნება მხოლოდ შან-ის რიგის პროკლტიკები, ე.ი. ორიენტაციის მიხედვით მარკირებული მსმენლები:

მე-შენებ მე შენ შას შე-დგამ მე შენ შას მე-ლაპარაკები მე შენ
გე-შენებ შენ მე შას გე-შენებ შენ მე შას გე-ლაპარაკები შენ მე

ნეიტრალური, წრფილობით ბუნებაში დასმული, ცინ-ის რიგის პირი ჩვენში გამოხატული არ არის, რამდენადაც მკვედეების ორიენტაციის უმისოდაც სწო-

ლიად ნათელია. ეინ-ის რიგი შემოდის მხოლოდ III არამოუბარ პირში სუფიქსის სახით, რაც დიაქრონიულად მეორეული ფაქტია:

მ₁-შენებ მე შენ მას გ₁-შენებ შენ მე მას
მ₂-შენებ-ს მე ის მას გ₂-შენებ-ს შენ ის მას

და ატენსის როლის გაზრდასა და ხაზგასმას ემსახურება.

მან-ის რიგის I და II პირის ყველა პროკლიტიკა, რამდენადაც ისინი ირიბი ბრუნების მნიშვნელობითაა მარკირებული, ინტროვერტულ ორიენტაციას გამოხატავენ I და II მოსაუბრე პირების მიმართ. ე.ი. I და II პირი ამ შემთხვევაში ორიენტაციის ღერძად გვევლინება, ოღონდ რედუქციონიზაციის, უკუკუვერს-ტარებში, რამდენადაც ირიბი ბრუნები ბუნებითად მიიჩნეავენ თავისკენ მოქმედებას: მა-შენებ/ს, მი-შენებ/ს, მე-ხატები/მე-ხატება, მი-ყვარხარ/ს, მ-ცივა, მი-ფულ-ს და სხვა, მოსაუბრე პირისკენ მიმართული ან მასში მიმდინარე მოქმედება-ციფარებაა. აქედან მხოლოდ ერთი გამონაკლისი გვაქვს. საქმე ეხება მან-ის რიგით გამოხატულ I და II პირის პირდაპირ ობიექტებს ი-მაქვევართან. ისინი არასოდეს არ არიან ორიენტაციის ღერძები და მათი ჩვენაში აღნიშვნის შემთხვევაში, ორიენტაციის ღერძი ინაცვლებს ან ატენტური, ან ადრესატორ/ბენეფიკტორი პირისკენ. შტკ. და-მი-ყენ-ა მე/0 რ/ მან იგი მოუამაგირედ - ორიენტაციის ღერძი - მოსაუბრე პირია, მოქმედება მისკენ არის მიმართული, მაგრამ, თუ ამ პროკლიტიკით ნაგულისხმევია პირდაპირი ობიექტი, ის ველარ იქნება ორიენტაციის ღერძი და მოქმედება მიმართული აღმოჩნდება ადრესატისკენ /ან ბენეფიკტორისკენ/; და-მი-ყენ-ა მან მე /0 ვ/ მას /ვაგარს/ მოუამაგირედ /შანიძე ა. 1973/. ჩა-მი-რ-მ მე მან სიგყვა - ორიენტაციის ღერძი მონება პირია, მაგრამ შე-მი-რ-მ მე მან მე /0 ვ/ ცოლად - ორიენტაციის ღერძმა ატენტური პირისკენ გადაინაცვლა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამის მიზნი უნდა იყოს პირდაპირ ობიექტთან ი-მაქვევართის ნეიტრალიზაცია. მაგრამ შეიძლება საკითხი დაისვას იმის შესახებ, რომ თვითონ ნეიტრალიზაცია გამოწვეული იმით, რომ მან-ის რიგი გამოხატავს პირდაპირ ობიექტს, რამდენადაც ჩვეულებრივ, I და II პირები მოსაუბრე პირების ფუნქციით არიან დატვირთულნი; ე.ი. სულიერი, მეტყველი არსებებია - ადამიანები-და პირდაპირი ობიექტის სტატუსი მათთვის დამახასიათებელი არ არის. პირდაპირი ობიექტი კი სამოქმედო საგანია და, ამდენად, სამეტყველო სიტუაციის ღერძი ვერ იქნება. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ასევე ნეიტრალიზება ინტროვერტულობა მაშინაც, როდესაც მაქვევართი არის არა ი-, არამედ ა-. შტკ. და-მა-ყენ-ა მან მე მას /ვაგარს/ მოუამაგირედ. აქაც მოქმედება მიმართულია ირიბი ობიექტის და არა პირველი პირის მიმართ.

დავასკვნით: ქტვის კატეგორიის ზოგად მნიშვნელობას ქმნის მოქმედების ორიენტაცია, ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ პირისა და ბრუნვის კატეგორიითაა უზიარებლობით, ბრუნვა განსაზღვრავს მოქმედების მიმართულების ვექტორის ხასიათს, ხოლო პირი ქმნის ორიენტაციის ღერძს. ქართლისა და ქართველური ენების სპეციფიკას ქმნის ის ფაქტობა, რომ ორივე ეს კატეგორია ერთ ჩვენურ ელემენტშია გაერთიანე-

ბული, რაც ზმნას მოქმედებს და მრავალმეტყველებს ხდის. ამგვარად გაკვებულ ქვეყნის კატეგორია არის ზმნის მორფოსინტაქსისა და სემანტიკის დომინანტა. მის გარეშე შეუძლებელია მარტივი წინადადების სტრუქტურის გაგება. თუ გავიხსენებთ, რომ დრო-კლოთა სისტემის ფუნქცი აგრეთვე მოუბარი პირის პოზიციას, ქართული ზმნის უფლებების ძირითადი პარადიგმა სწორედ დრო-კლოთა და ქვეყნის კატეგორიით იცვრება.

ნიპოთეზის სახით გამოითქვა იმპლიკაცია; რაც უფრო მდიდარია ცალკე მოქმედი ნაცვალსახელების ბრუნვითი ფუნქციების მარკირება, ვით უფრო დაბრბია ქვეყნის გამოხატვა ზმნის ფორმით და პირიქით, რაც უფრო დაბრბია ნაცვალსახელება ბრუნვითი ფუნქციები, ვით უფრო მდიდარია ქვეყნით მნიშვნელობები და მათი მარკირება ზმნის სისტემაში. ქართულურ ენებში საგნებთან ნეიტრალიზებულია I და II პირთა ნაცვალსახელების ბრუნვითი ოპოზიციები; გვაქვს მხოლოდ ერთი რიგი: მე, შენ, სამაგიეროდ, ზმნაში ორი რიგია წარმოდგენილი მრავალფეროვანი ქვეყნითი მნიშვნელებით.

მარკირების აერარქიის თვალსაზრისით, ჩინის აზრით, ყველაზე მარკირებულია მუ-მაქცევი და ამდენად ოპოზიციის მუ-მუ-ცინ-ის რიგთან მიმართებაში უფრო მარკირებულია ც-ც-შეხამებასთან შედარებით. სამაგიეროდ, ბუნებითი ინტოვერტიზაცია მან-ის რიგის I და II პირების პროკლტიკებში /მამამე - გაგავგ/ უფრო ნაკლებადაა მარკირებული რეფლექსივიზაცია-რეკლექსივთან შედარებით ცინ-ის რიგთან. ამდენად, ყველაზე ნაკლებად არის მარკირებული მამ-პროკლტიკა; ხოლო ყველაზე მეტად მაქცევიების ფორმასაწარმოებელ ელემენტებად ხმარება, რაც ბუნებრივია; მაქცევიების გამოყენება ზმნის ფორმის საწარმოებლად შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი შექმნიან ცოცხალ შინაარსობლივ ოპოზიციებს. ხსენებული იერარქია ასახავს მაქცევიების ისტორიული განვითარების თანმიმდევრობას. ისტორიულად პირველადი უნდა ყოფილიყო ცინ-ისა და მან-ის რიგების დაპირისპირება წრფელობით და მიცემით-აკუზატორი ბრუნვებთან მიხედვით, ნათესაობითან ოპოზიციის უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ხოლო რეფლექსივიზაცია და განსაკუთრებით რეფლექსური გარდაუდელი ზმნის წარმოქმნა ისტორიულად ყველაზე გვიანდელი ფაქტი, რაც ტომოლოგიური მონაცემებითაც მტკიცდება. მაქცევიანა ხსენებული სისტემის ჩამოყალიბებას ეუკავშირება ზმნის პირიანი უფლებების შექმნას და ნომინატორ კონსტრუქციის გადასვლას. მაქცევიებისა და ბრუნვის ნიშნების აი ელემენტებს მკვეთრები უკავშირებენ სიახლე-სიშორის გამოხატველ დიქტორ ნაწილაკებს, რომელნიც დასტურდება დღესაც მესამე პირის ნაცვალსახელებში და ზმნირებებში. ამავე სისტემაში შემოდის ე ელემენტიც. ამ აზრს არ შეიძლება არ დაეთანხმო, რამდენადაც ეს კავშირი დღესაც საგნებთან ცოცხალი და ხელშესახება. სავარაუდოა, რომ აქაც საქმე გვაქვს იმავე დიქტორ პროკლტიკებთან, ოღონდ მათ დაკარგული აქვთ თანხმობითი ელემენტი. ზმნურ ნაცვალსახელებს პროკლტიკებისგან განსხვავებით, ზმნირებებში ისინი გამოხატავენ სიერკულ-ლოკატორ ორიენტაციას, ა- ნეიტრალიზაცია და უბრალოდ საგანზე ან მოვლენაზე მოუთხოვს, ი- აღნიშნ

.ნავს ჩამიშვან სიახლოვეს. ამიტომ, თუ ის მოსაუბრისგან შორს მყოფ საგანთან ან ადგილთან სიახლოვეს გამოხატავს, ა-ს დაუპირისპირდება, როგორც შორს მყოფის აღმნიშვნელი: შდრ. აქ : იქ; აქათ : იქით და მისთ.

ბ- მოსაუბრე პირებთან სიახლოვეს აღნიშნავს, თუ იგულისხმება არამოსაუბრე პირის ან საგნის გამოხატვა: ეს; ან მეორე პირთან სიახლოვეს: ეტ. დიექტორი ელემენტების ასეთი სემანტიკური დატვირთვა ბუნებრივად ტრანსფორმირდება ბრუნვით მნიშვნელობებში, როგორც კი ისინი მოქმედების ობიექტაციის უფრო აბსტრაქტულ მიმართებათა სინტაქსში მოხდებიან. აქაც ანალოგიური, ლოკატიურის იზომორფული მნიშვნელობები აღმოაჩნდებათ: საუბრის საგანზე მიმთითებელი ე- წრფელობით ფორმასთან დაპირისპირებით მიმართულებით გამოხატველი ხდება, ხოლო ი-ს ძირითადი ფუნქცია სიახლოვის გამოხატვისა ადვილად იგუებს ნათესაობითის უფრო აბსტრაქტულ ურთიერთ-მიზიდულობის სემანტიკას. პ.ფოგტი აღნიშნავდა ქართული ბრუნვების თვისებას, გამოხატონ მიმართულება /იხ.ფოგტი პ./ როგორც იქვეა, მაქცევრებასაც წმინდა სინტაქსურის გარდა, შენარჩუნებული აქვთ ლოკატიური მნიშვნელობებიც.

როგორც იქვეა, ა.შანიძემ სრულიად შეგნებულად და გარკვეული მიზანდასახულობის განსახორციელებლად ტერმინი ქვეყნა შემოფარგლა ი/უ- მაქცევრების ოპოზიციით და გამოყო პირის კატეგორიისაგან. მართლაც, ი/უ- მაქცევრების ოპოზიციის მნიშვნელობათა მხოლოდ გარკვეულ კლასს გამოხატავს, და შინაარსობრივად უპირისპირდება ე.წ. საჩუქარის ფორმებს. ამიტომ მაქცევრებას კონკრეტული მნიშვნელობების განხილვისას, საესებით გამოარღვეულია ასეთი ქვესისტემის გამოყოფა. ამ ოპოზიციის დასახასიათებლად ანტონი ხმარობს ტერმინებს-სათავისო : სასხვისო, რაც მოხდენილად გამოხატავს საექველს. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ა.შანიძეს, როდესაც ის ახასიათებს მი/გი- პრეკლტიკების შემდეგ ფორმებს, როგორც სასხვისოს: მი-ყვარს, მი-შენებს, მი-წუხს, მი-ხარია, მი-კვდება, მი-წევდა და მისთ. ქართველის ინტუიციის მიხედვით, ვერაფრით ვერ იქნება სასხვისო, ამ ფორმებით გამოხატული ციფრება ხომ ნამდვილად საჩუქარა, ხოლო მეორე პირის მიმართ ნათქვამი - საშენო, ჩოგადაც კი სათავისო. ტერმინი საობიექტო ფორმალურსინტაქსური თვალსაზრისით, უფრო გამართლებულია, მაგრამ ის არ ახასიათებს იმ ფაქტს, რომ მაქცევრების საორიენტაციო ლერძი არის არა სუბიექტ-ობიექტის მიმართება, არამედ მოსაუბრე პირების მიუმართავი და მიმართულ-ორიენტირებული ფორმების ოპოზიციის. სწორედ ამიტომ მოგვიხდა ტერმინების ექსტრო-ინროვერტიზაციის შემოტანა, თორემ სათავისო-სასხვისო თვისთავედ შესანიშნავი ქართული ტერმინებია.

სავსებით ეეთანხმებით ა.შანიძეს, რომ ა-მაქცევარი ი/უ-მაქცევრებათა დაპირისპირებით ნეიტრალიზირა, ე.ი. საარვისო. მართლაც, აქ ნეიტრალიზება ა-მაქცევრის წარმოქმნილი ფუნქცია, რამდენადაც ი/უ-მაქცევრებათა შედარებით ის არამარკირებულია. გამართლებულია აგრეთვე ა-მაქცევრის განხილვა საჩუქარის მნიშვნელობით, ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მნიშვნელობაა. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ა.შანიძეს, რომ ი/უ- დაპირის-

პირება ანუ სათავისო-სახხვისო ქცევა გამოხატავს კუთვნილებას. ეს მისი მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელობაა. მაგალითად, მან შე ბუროი მო-მი-გო-ა კუთვნილებას არ გამოხატავს; მოპარული ბარის ტარი ვაშო-მი-რნდე-ა არ გულისხმობს, რომ ბარი ჩემია /იხ. მაგავეარიანი შ. 1980/.

გამართლებულია ა-მაქცევის განხილვა გარდამავლობისა და კაუზატივის ნიშნად /არნ. რიქობაეა, გ. მაგავეარიანი/. მართლაც, როგორც არაერთხელ გავხაზეთ, თავისი წარმომქმნელი ფუნქციის წყალობით, კაუზატივის პირობებში ა-მაქცევიარი მიემართება პირდაპირ ობიექტს და გარდაუვალი ზმინისაგან და სახელისაგან გარდამავალ ზმნას აწარმოებს.

როგორც ეხებათ, აღნიშნული მნიშვნელობები ძირითადად ჩვენს ალწე-რას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ყოველი მათგანი მაქცევიართა მხოლოდ კონკრეტულ, ცალკეულ ფუნქციას გამოხატავს. ჩვენ კი ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ყველა ეს ფუნქცია გამომდინარეობს ნაცვალსახელური პროკ-ლიტიკების საერთო, ზოგადი მოძღვონინტაქსური და სემანტიკური თვისებებიდან. ცხადია, ჩვენ მიერ მოწოდებული ცდა არ არის ერთადერთი და აუცილებელი. ჩვენი აზრით, აუცილებელია მხოლოდ საკითხის ამგვარად დას-მა. გადაწყვიტა კი, აღბათ, სხვაგვარიუ შეიძლება იყოს.

ამრიგად, I და II მოსაუბრე პირებისათვის ძირითადი უნდა იყოს არა სუბიექტ-ობიექტების მიხედვით დაპირისპირება, არამედ მოქმედების ორი-ენტაციის თვალსაზრისით: მიუშარათავი, ნეიტრალური და მიმართული, ირიბი ბრუნვითი მნიშვნელობების მიხედვით დაპირისპირება, რაც მათ მოქმედების ორიენტაციის ღერძად გადააქცევს. სუბიექტ-ობიექტების მიხედვით ოპოზიცია I და II პირსაუ ახასიათებს, მაგრამ ის ყოველთვის კონტექსტით და III პირების ციხარებით იქნება ნაკარნახევი. სამაგიეროდ, III არამოსაუბრე პირთან ძირითადი, ღომინანტური დაპირისპირება სწორედ სუბიექტ-ობიექტე-ბის, აგენტ-პაციენსის მიხედვით ოპოზიცია არის. მოქმედების ორიენტაციის ექტორის მიმართულებას კი მოუბარი პირი უსაზღვრავს, თუმცა III პირში ორიენტაციის ექტორის ღერძი სუბიექტური პირია. აქედან გამონაკლისს მხოლოდ ის შემთხვევა ქმნის, როდესაც მოუბარი პირი სამოქმედო საგანს უტლდება, ე. ი. პირდაპირი ობიექტის ფუნქციით გამოდის.

მი-მ-ყავს ის მე = I აქტიური მიმართული პირი; მი-ყვარს = I გან-მცდელი პირი; მი-ბია = I მფლობელი პირი; მა-რტყამს = I ობიექტური პირი; მა-ცახცახებს = I ინაგენტური, განმცდელი პირი; გა-მი-კეთებია = I აქტიური პერფექტული მოქმედების სუბიექტი; მი-კეთებს = I ბენეფიკივი და მისა. როგორც ეხებათ, მან-ის რიგის პროკლიტიკებს ლექსიკ-გრამა-ტიკული პირობების მიხედვით, სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება აქონ-დეს, მათ შორის ობიექტური პირის ფუნქციაც, მაგრამ ყველა ფორმას აერ-თიანებს ერთი რამ: მოუბარი პირისკენ მიმართული ორიენტაცია. ეს ფორმი-ბი ამ მხრივ არის მარტივბული. ეინ-ის რიგი ამ თვალსაზრისით ნეიტრა-ლურია: ვ-ვამ, ვ-ხატავ /ჩემთვის, სხვისთვის, არავისთვის/, ვ-თბები /საერთოდ/, ვ-ლაპარაკობ /საერთოდ, მიმართვის გარეშე/ და მისა. მოქ-მედების ორიენტაცია ამ ფორმებში მხოლოდ კონტექსტით შეიძლება გამო-

ხატოს; ელპარაკობ ეინმეს გასაგონად ან ჩემთვის, არაგის გასაგონად; ეთბები ეინმეს გვერდით, ცუხელთან ან ეთბები ჩოგადად კლიმატური პირობების გაუმჯობესების გამო...; ვხატავ ეინმესთვის ან ჩემთვის ან არა-გისთვის და მისთ. მაგრამ, როგორც კი ეინ-ის რიგთან აღმოჩნდება III ირიბი მიმართების პროკლიტიკები, ეინ-ის რიგი ორიენტაციის ღერძი ხდება; მოქმედება ან მისგან გარეთ არის მიმართული, ან მისკენ ორიენტირებული. ამ შემთხვევაშიც არაერთადი მნიშვნელობა არა აქვს ეინ-ის რიგის ფუნციებს, არის ის აგენტური, აქტიური პირის გამომხატველი, თუ პასიური, ინაგენტური პირისა და ა.შ. შდრ. ერძი მხრივ, ე-მუ-ხატავ = აგენტური აქტიური მოქმედების შემსრულებელი პირი, ხოლო მეორე მხრივ, ე-შა-გდრეგავ = ინაგენტური პასიური მდგომარეობის განმცველი პირი, ორიენტაციის თვალსაზრისით კი ორივე ექსტრავერტული ორიენტაციის ღერძია.

III პირისთვის კი ძირითადია აგენტურ-ინაგენტურ პირებად დაჯგუფება /III სუბიექტური პირის ნიშნების განაწილებისა და პირის ნაცვალსახელის შესაბამისი ბრუნვის ფორმების შეშეუობით/ და პირდაპირი და ირიბი ობიექტების გარჩევა. მოქმედების ორიენტაცია სუბიექტური პირის მიმართ ხორციელდება, მაგრამ მის ვექტორს მოსაუბრე პირი განსაზღვრავს; ე-მ-ი-ყვან; მ-ი-ყვან; და შესაბამისად მ-ი-ყვან-ს, მაგრამ ე-მ-ი-ყვან; მ-ი-ყვან; და შესაბამისად მ-ი-ყვან-ს; მ-ი-ყვან/ს ის მ-ი; გ-ი-ყვან/ს ის შენ და შესაბამისად მ-ი-ყვან-ს ის მას, მაგრამ მ-ი-ყვან-ს ის მ-ი მას, გ-ი-ყვანს ის შენ მას და შესაბამისად მ-ი-ყვან-ს ის მას მას. ეს ფაქტები ცნობილია, მაგრამ აქედან არ ეთდება დასკვნები ქვეყნის კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობის შესახებ.

შეიძლება დავასკვნად, რომ ყველა შემთხვევაში ეინ-ის რიგთანავე და მან-ის რიგთან ორიენტაციის მხრივ მარკირებულია მიმართული ბრუნვითი მნიშვნელობების მქონე ნაცვალსახელური პროკლიტიკები; მ-ა; მ-ი; მ-ე - გ-ა; გ-ი; გ-ე - მ-ა; მ-ი; მ-ე-; და სწორედ ისინი უჩვენებენ ყველა მოქმედების ორიენტაციას და, ამდენად, წინადადების სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

აღნიშნავენ, რომ ქვედა გამომხატავს ზმნის აქტანტებს შორის მიმართულებას; საშუალოდ ზმნაში სახეისო ქვედა აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი მიმართულია /ეკუთვნის/ ირიბი ობიექტისადმი; ე-უხატავ მე მას მას = სუბიექტი ეკუთვნის სხვა პირს; ხოლო ორიგინალ ზმნაში იგივე მიმართებაა სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის; ე-უ-ხატავ მე მას. ჩვენის აზრით, ის ინტერპრეტაცია, რომელიც შეატყვევებს ბრუნვით ფუნქციონის მიმართ, გასაგებებს ხდის, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული მიმართება; ე-მ-ი-ხატავ ფორმაში მ-ი-შატყვევარი ნათესაობით ბრუნვაშია და შესაძლო ირიბ ობიექტურ პირს გამომხატავს ზმნის პროკლიტიკის დონეზე, პირდაპირი ობიექტი კი ზმნაში მარკირებული არ არის. ცხადია, რომ ბრუნვების ამგვარი შეწყობა სწორედ იმას გამომხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი მიმართულია /ეკუთვნის/ ირიბისკენ. შდრ. იგივე მიმართება სახელებთან; კაცის ქული. ქული -სახელობითი ღვას - არამარკირებულია მიმართულების თვალსაზრისით, ხოლო ის პირი, გისი ეკუთვნილობა ქული -

ნათესაობითაა. ანდა: ც-შა-ხატავ მე მას შა, შა- აღნიშნავს მიცემით
ბრუნვაში დასმულ ირიბ ობიექტს, პირდაპირი ობიექტი აქაც არამარტორე-
ბულია /ვგულისხმობთ პროკლიტიკების ბრუნვებს/. ბუნებრივია, რომ გამო-
ხატება პირდაპირი ობიექტის ირიბზე ზედმოქცევა: შერ. სახელებთან: კე-
დელსა ჩედა /კედელჩე/ /მიც.ბრუნვა/ დახატული სურათა /სახ.ბრუნვა/.
იგივე შეიძლება ითქვას სხვა მაქცერების შესახებაც. ამაზე სიტყვას
აღარ ვავაგრძელებ. ამდენად, აქტანტებს შორის მიმართებათ ქვევის კე-
ტგორიის პოზიციიდან უჩრდილოდ უსოფილია მოქმედების ორიენტაციით და პრო-
პირის კატეგორიის ეს თავისებურება განისაზღვრება ვისი ორგვარი ბუნებით: ერთი მხრივ, როგორც მეტყველი პირი, ის არის მოქმედების ორიენტაციის ლერძი, მეორე მხრივ კი, როგორც ჩვენის პირი, ის მოქმედების მონაწილეა, ასრულებს ვარკვეულ რაღაც. ამ ორი ფუნქციის გადაკვეთა გვაძლევს ხსენებულ შინაარსობლივ ეფექტს: შან-ის რიგი, როგორც ცალსახად ინტროვერტულად მარკირებული, არ შეიძლება იყოს მოქმედების წყაბა, ე.ი. ნებელობის აქტით ცუდალს მოქმედების ორიენტაცია, მაშინ როდესაც, ცინ-ის რიგი, როგორც ორიენტაციის მიხედვით არამარკირებული თავისუფლად შედის III ირიბი ბრუნებით მარკირებულ პირთან მიმართებაში /ც+შა//ც+ში//ც+ში//ც+ში/ და ამის შედეგად, როგორც მეტყველი, სულიერი პირი /ადამიანი/ ახორციელებს ნებელობით მოქმედების რაღაც კვეთს ლექსიკო-გრამატიკულ ზმნათა კლასებში. ამრიგად, შან-ის რიგი განსხვავდება ცინ-ის რიგისგან იმით, რომ ის ცალსახად მარკირებულია, როგორც არამარკირებული /ნებელობით მოქმედების გაგებით/ პირი, მაშინ როდესაც ცინ-ის რიგი ამ აზრით არამარკირებულია, ამიტომ, ვარკვეულ პირობებში ის შეიძლება იხმარებოდეს ნებელობით აგენსის ფუნქციით და ამ მნიშვნელობით დაუპირისპირდეს შან-ის რიგს. ბქმული, ვასაგებია, ეხება I და II მოსაუბრე პირების ფუნქციებს, რამდენადაც III პირში ფუნქციების ასეთი გადაკვეთა არა ვცაქვს, სწორედ ამიტომ, როგორც ეს პირველ თავში იყო აღნიშნული, III სუბიექტურ პირში თანამედროვე ქართულში აშკარად იჩენს თავს აგენტურ და ინაგენტურ პირთა დიფერენციაცია /-ს, -ა, -ო სუფიქსთა ფუნქციების განაწილებით/.

ამიტომ, ცინ-ისა და შან-ის რიგებს შორის ვარკვეული კორელაცია მყარდება იმისდა მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ-ლექსიკურ კლასს განეკუთვნება ჩმნა. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. თუ ცინ-ის რიგი გარდამავლელ ჩმნის ნებელობით აგენტია, იმავე ზმნასთან შან-ის რიგი გამოსატყვის პაციენსს და მისი ფუნქცია უფროს ობიექტის რაღაც: ც-ყლაყ ; შ-ყლაყ. მაგრამ, თუ ცინ-ის რიგი ინაგენტური მოქმედების შემსრულებელია, მაშინ შან-ის რიგი მოქმედების ობიექტი ელარ იქნება, ის ან ლკატორია - მოქმედების ადგილს აღნიშნავს, ან ბენეფიციარი: ეფინები ; მეფინება; ეხზურები ; მეხზურება; ეჩრადები ; მეჩრადება. თუ ცინ-ის რიგი ინაგენტური პარტისის ან მდგომარეობის საგანია, მაშინ შან-ის რიგი გამოსატყვის ან მფლობელს; ეაგდივარ ; მიგდია; ეუგდივარ ; მიგია; ან მოქმედების განმყოფელია /ექსპერირენტიარ/; ეუგდარვარ ; მი-ყვარს, ცქვარს ; მქვარს. თუ ცინ-ის რიგი შედეგობით მდგომარეობის საგანია ან სტატიკური მდგომარეობის განმყოფელი, მაშინ შან-ის რიგი მისი მფლობელია; ეაფინივარ ; მიფინია; ეხატივარ/ვახატივარ ; მიხატია. თუ ცინ-ის რიგი კაუზატიკური მოქმედების ინიციატორია /კაუზატორია/, მაშინ შან-ის რიგი კაუზატიკური მოქმედების განმახორციელებელი-შემსრულებელია; ეაკეთებინებ ; მაკეთებინებს. ბქმული ეხებოდა ცინ-ისა და შან-ის რიგის პირის ნიშნების ფუნქციებს ერთი ფუძის ფარგლებში. მაგრამ პირის ნიშანთა და შავტყვართა ფუნქციები შეიძლება განხორციელდეს

ერით ლექსების სხვადასხვა ფორმებშიც, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს მათ ფუნქციურ დატვირთვას და ენის გამომხატველ საშუალებებს. მაგალითად, დაპირისპირებაში ექვარტე : შექვარტება ვინ-ის ფუნქციონალური გამომხატვის ნებელობით ატენტი, ამის საპირისპიროდ არააგენტური მან-ის რიგი პროცესის აღმნიშვნელ ზმნაში მიემართება უნებლიე მოქმედს /შექვარტება ფორმის უნებლობის ელფერს აღნიშნავს ქ.ლომთათიძე/. ამ მხრივ საინტერესოა ექვარტე-და-დამიქვარტე-ის ოპოზიცია. ამ შემთხვევაში გვაქვს ოპოზიცია აქტუალური აგენტური მოქმედებისა და შედეგობითი, არააქტუალური, უნახავი აქტისა. ცხადია, მის მოქმედს გარდამავალ ზმნაში ვინ-ის რიგი ექვარტება-ცხად, ამიტომ ამგვარი ციფრების აღსანიშნავად გამოყენებულია მან-ის რიგი, რომელსაც ბერძენი სხვა კონტაქტის შეიძლება ახლავს, მაგალითად, თავის თავში დატვირთული პირისა, რომელიც არ არის დარწმუნებული, მან განახორციელა მოქმედება, თუ არა; თუმცა ეს შე ექვარტება და აღარ მახსოვდა. უნებლობის ეფექტს კიდევ უფრო გახაზავს შემო-ჩინისწინის დართვა მან-ის რიგის პროკლერკაზე /მოხელა აღწერილი აქვს ფიციფილის ა./, საფიქრებელია, ეს იმიტომ ხდება, რომ მო-ს შემცველი ზმნისწინი კიდევ უფრო გახაზავს შეტყვევლი პირისადმი ორიენტაციას, მის ინტროვერტულ, არამომართულ და ამიტომ არააგენტურ მოქმედებას, რაც გარდაუვალი, პროცესუალურ ზმნებში გარდამავალ აგენტურ ზმნებთან შეპირისპირებით, უნებლობის სემანტიკურ ელფერს წარმოაჩენს; მოყვალ : შემომავდა; დაეხიე : შემომება და მისთ. ამგვარი შინაარსობრივი გადასვლა იმიტომ არის შესაძლებელი, რომ შემო-ჩინისწინის გარეშე ეს ფორმები ჩემზე, ჩემ მიმართ, ჩადენილ გარდაუვალ მოქმედებას გამოხატავენ; დავაყვდა, დავიხა და მისთ. დავიხა ტიპის წარმოება თავისთავად შეიცავს უნებლობის შინაარსს, შემო-ჩინისწინი კი მას უფრო მტკიცე გახაზავს. ვინ-ის რიგი ამ მხრივ არ არის მარკირებული, ამიტომ უნებლობის სემანტიკა მასთან მხოლოდ კონტაქტუალურად გამოხატება; უნებლიედ დაეხიე, უნებლიედ მოვეყვდი, რაც, ამის გამო, არაქართულად უღერს.

რა კავშირი აქვს ამ შემთხვევაში ინვერსიის პრობლემას? ჩვენი აზრით, ინვერსია სწორედ აღწერილი ოპოზიციებს ეხრდნობა, ზმნათა ამ - ენაში ნაწილ არსებულ-მოადგენებს იყენებს პირთა რანგების შენაცვლებისათვის. ინვერსიული ხომ სწორედ ის ზმნებია, სადაც მან-ის რიგია აქტუალური. ეს კი ხდება ზმნათა იმ კლასებში, სადაც ვინ-ის რიგია ნეიტრალიზებული, მის მიერ გამოხატული პირის აქტიობის და აგენტურობის ხარისხის დაქვეითების ან სრული დაკარგვის შედეგად. იმ ზმნებს, სადაც ვინ-ის რიგი ნებელობით ატენს გამოხატავს, ინვერსია არ მისდის, მან-ის რიგით ვინ-ის რიგის პირის ნიშნის შენაცვლება სუბიექტურ პირს ობიექტურ პირად გადააქცევს; ცალკე : მკლავს ტიპისა. ამ შემთხვევაში ნეიტრალიზებულია მან-ის რიგის მარკირებული ფუნქცია, ის კარგავს ეგოს გამოხატვის უნარს, და მოსაუბრე პირი საგანს უტოლდება, სულიერ არსებასაც რომ გამოხატავდეს ლექსიკურად. რაც უფრო იჩრდება ზმნის ფორმაში მან-ის რიგის აქტიობა, მისი ეგოცენტრიული ფუნქცია, მით უფრო იგრობება ფორმის ინტროვერტულობა და ინვერსიულობა. როდესაც მან-ის რიგი გამოხატავს აქტუალურ განმტკიცებს, ხშირად

ცინ-ის რიგი იმდენად ნეიტრალიზება, რომ მისი წარმოქმნილი ძალა და სემანტიკური ფუნქცია უტოლდება ნულს. ფორმებში მიყვარს მე ის, მძულს მე ის და მისი აქტუალიზებული განმცდელის შინააარსი, მაგრამ განცდის საგანი ფიგურირებს; ისეთ წმინდებში კი როგორცაა: მძინავს, ვშოა, მცოცა, მცხელა და მისთ. ცინ-ის რიგი მოდინად განეიტრალიზებულია; რამდენადაც ის განცდა, რომელსაც მოქმედი განიცდის, ზმნის ფუძითაა ნაგულისხმევი, განმცდელი პირის შინაგან მდგომარეობას კი ინტროვერტული მან-ის რიგი აღნიშნავს. ამის შედეგად ცილება დაპირისპირებებს: ციძინებ მე /აქტენტური, რეფლექსური სუბიექტია, რომელიც, თავის მხრივ, ვაძინებ ექსტროვერტული ფორმის რეფლექსივიზაციის შედეგია/ ; მძინავს მე /გაუნობიერებელი, უნებლიე მდგომარეობა ძილისა/. მსგავს ინვერსიულ წყვილებს ქმნიან აგრეთვე ციყვარბე ; მიყვარს; ციძულე ; მძულს. ციშვიბე /თავს/ ; ვშოა. ციციბე /თავს/ ; მცოცა და მისთ. ცინ-ის რიგთა გამოხატული პირი სრულ ნეიტრალიზაციას განიცდის აგრეთვე ისეთ წმინდებში, სადაც ხაზგასმულია მეტყველების შინაგანი ფორიკური მდგომარეობა, რომელიც გარკვეულ უსამოვნო განცდას იწვევს: შეტრიალებს, მაკანკალებს; შეაცხახებებს ჯა მისთ. აქაც ყველგან აქტუალიზებულია სწორედ მეტყველებაში მიმდინარე პროცესები ან მისი შინაგანი მდგომარეობა, რის გამოც წინა პლანზე სწორედ მან-ის რიგის ძი-რითადი ფუნქცია გამოდის, რაც ხდება ინვერსიის გრამატიკულ-სემანტიკური საფუძველი; ციყვარბე ; შეტრიალებს. ვაკანკალებ ; მაკანკალებს და მისთ. იმ წმინდებში, სადაც ფიქვ ვაშორიყხავეს სულიერ პირს, ლენ ინვერსიული წყობა შემოგვრჩა: მაქვს - დამაქვს. თავისთავად ეს ფაქტები ცნობილია, ჩვენ იცნობდნენ აგვეხსნა მათი გრამატიკულ-სემანტიკური საფუძველი. აღწერილი შემთხვევები კიდევ ურთხელ გვარწმუნებენ, რომ სწორედ ზმნის მნიშვნელობა და შინაგანი სტრუქტურა, კერძოდ მისი ლექსიკო-გრამატიკული კლასი, აპირობებს გარემოცვას და პირთა მარკირების თავისებურებებს და არა პირიქით.

რა მიმართებაა კონვერსიასა და ინვერსიას შორის? კონვერსიისგან განსხვავებით /იგულისხმება პასიური კონვერსია/, ინვერსიის დროს ხდება მან-ის რიგის აქტუალიზაცია, მისი რანგის შეცვლა. კონვერსია ეხება პაციენტურ პირს, ე.ი. ის უძლავ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ადგილას და I სერიაში იყვლის ბრუნვის მნიშვნელობას; აქუზატიური ბრუნვა /გამომხატული მიცემითი ბრუნვი/ გადადის სახელობითი ბრუნვის რანგში გარდაუვალი ზმნისთან. II სერიაში, რამდენადაც იქ პირდაპირი ობიექტი /პაციენტური პირი/ მარკირებული არ არის, კონვერსიის დროს, მისი ბრუნვა არ იცვლება. ინვერსიის შემთხვევაში პაციენტურ პირს არავითარი ცვლილება არ მოსდის. რანგის შეცვლა ეხება მან-ის რიგთა გამოხატულ არაპაციენტურ პირებს: მფლობელს, ადრესატს, განმცდელს და მისთ, რომლის ბრუნვითი მნიშვნელობა ან წმინდა მიცემითია, ან აქუზატივი-მიცემითი, სადაც მათი ფუნქციები გამოიხატული არ არის. ა.ინიანს შეინიშნული აქვს, რომ სენანურში, სადაც გარკვეულია პირდაპირი და ირიბ ობიექტური პირები III პირში, ინვერსიის დროს აუცილებელია ხ-პრეფიქსის ფარდვა, რაც იმის მაჟურეებელია, რომ ინვერსია სწორედ ირიბ ობიექტს შიუვიდა. ამიტომ მან-ის რიგის მარკირებელი ფუნქცია, რომელსაც ინვერსია იცვლდება, ძალაში რჩება.

უნობილია, რომ რიგი მკვლევრები ატარებდნენ ანალოგის ერგატორულ კონსტრუქციასა და პასიურ კონფერსიას შორის და ამის შედეგად მას პასიურ კონსტრუქციად მიიჩნევდნენ. ერგატორული ენების სპეციალისტები ამ აზრს არ ეთანხმებოდნენ /არნ. რიქობანა/, რამდენადაც, აშკარად საგრძნობია ერგატორული დასმული სახელის აქტიური ხასიათი და არ დასტურდება აქტივ-პასივის დაპირისპირება. სავარაუდოა, რომ თუკი გავაგებებ პარალელს რელაციურ დონესთან, ერგატორიზაცია უფრო ახლოა თავისი ბუნებით ინფერსიასთან, ვიდრე კონფერსიასთან, რამდენადაც, როგორც ინფერსიის, ისე ერგატორიზაციის დროს ხდება ირიბ ბრუნვებში დასმული აქტანტის აქტუალიზაცია და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობის წინ წაშოწვევა; ოღონდ, ჩვენი აზრით, იქ, სადაც ინფერსია და მისი საფუძველი ცოცხალი და მოქმედა, ე.ი. ენაში პროდუქტიულად მოქმედებს ოპოზიციის ორივე წევრი /ციხვარბ : მიხვარს; ეშენებებიარ : მიშენებია : ცაშენებ ტუპისა/ ერგატორზე საუბარი არაკორექტულია. ერგატორი გვაძებს იქ, სადაც კაუზატივ-ერგატორის გარდა აქტიური ზმნის სხვაგვარი მოვლი არ არსებობს. ამგვარია ქართული ენის II სერიის კონსტრუქცია გარდაამავალ ზმნასთან III პირში, სადაც პირის ნიშანი ფუნქციურად არამარკირებულია /-ა სუფიქსი/, ხოლო ზმნის აქტიურ-აგენტური შინაარსის გამო მოქმედი პირი მარკირებულია ირიბი ბრუნვით. კიპოთეტურად ის შეიძლება შემდეგი სახით აღვსავს: ქი//ხი; ქა//ხა -შ-ან, სადაც ქა//ქი -მიც.ნათ. ბრუნვების მნიშვნელობის მქონე პროკლიტიკებია, შ-ირიბი მიმართების თანხმობითი ელემენტი, ხოლო -ან-დრეტიკ მინანტი, რომელიც განსაზღვრულობს მნიშვნელობის გამომხატველია.

მოკლე შევებოთ ე:წ. სავალდებულო პირის საკითხს, რომელიც ა.ონიანმა დასვა. ჩვენი აზრით, ამ ტერმინის შემოტანა გამართლებულია მხოლოდ პრედიკაციის საჯნის აღსანიშნავად, რომელიც სახელობით/წრფელობით /სახელდებით/ ბრუნვაში დგას და პრედიკაციის აუცილებელ, სავალდებულო საყრდენს წარმოადგენს. რაც შეეხება პირებს, ე.ი. სამეტყველო აქტის წევრებს, რომელიც გარკვეულ რაღებს ასრულებენ, განსაკუთრებით I და II პირს, იქ მათი დახასიათება სავალდებულო-არასავალდებულო პირებად დამოკიდებული უნდა იყოს მათ ფუნქციურ დატვირთვაზე. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, სადაც მან-ის რიგი აქტუალიზებულია, ეინ-ის რიგი კი სრულ ნეიტრალიზაციას განიცდის, სავალდებულო-ფორმალურადაც და შინაარსობლივადაც-სწორედ მან-ის რიგია, რამდენადაც ის არის მარკირებული, ზმნის შინაარსის შესაბამისად. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ზმნის შივდ სისტემას, სავალდებულო პირის გამოყოფა უფრო რთულ პროცედურას მოითხოვს, ვიდრე ეინ-ის რიგის ზმნაში დადასტურებაა. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ მხოლოდ ეინ-ის რიგი ექვემდებარება სრულ ნეიტრალიზაციას, მან-ის რიგს კი ეს არასოდეს მოსდის, რაც იმის მომასწავებელია, რომ I და II პირში ის ოპოზიციის /გ - მ/ მარკირებული და ამ იზრით, აუცილებელი, სავალდებულო წევრებია.

მ ა გ ი შ ე ს ა შ ე

ა-შაქტერის ფუნქციები

ა-შაქტევარს მკვლევრები სხვადასხვა ფუნქციას მიაწერენ: ა. საბაჟისა ქვერის ნიშანი, ბ. საზედაო ქვერის ნიშანი, გ. სიტუაციის გამოშხატველი, დ. გარდაშეღობის ნიშანი, ე. კაუზატივის ნიშანი, თ. ორიზი მიმართების გამოშხატველი /ორიზი ობიექტის პონერებების შეწყვეტელი/.

ამიტომ ა-შაქტერის მნიშვნელობას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. ყველა ჩამოთვლილი მნიშვნელობა ა-შაქტევარს მართლაც ახასიათებს, მაგრამ თითოეული მათგანი გაპირობებულია ჩვენის ლექსიკო-გრაშატიკული კლასით და შაქტევართა სხვადასხვა ოპოზიციით. შეიძლება გავიხსენებთ, რომ ა-შაქტევარი ინტერპრეტირებული გვაქვს, როგორც შან-ის რიგის პირის ნიშანთა ბრუნვითი ელემენტი: შა-/I შ./, გა-/II შ./, შა-/III შ./ - ისტორიულად შ/ხა-. ამ ნაცვალსახელური პროკლიტიკების ფუნქციაა წარმოქმნან ორიზი ობიექტები და პირველადი კაუზაციის პირობებში /ჩვენის გარდაშეღება ქვერისას/ - პირდაპირი ობიექტი, ხოლო მათი ბრუნვითი მნიშვნელობაა - აკუზატივი-მიცემითი, რომელიც ამოსავალში არ იყო დიფერენცირებული. ამიტომ ა-შაქტერის მნიშვნელობები შეიკაფენ ამ ბრუნვებისათვის დამახასიათებელ ყველა სემანტიკურ ნიუანსს. როგორც ვხედავთ, ა-შაქტერის ამგვარად განსაზღვრული ზოგადი ფუნქცია არ ეწინააღმდეგება შეცნობითა მიერ მიკვლეულ კონკრეტულ მნიშვნელობებს. განვიხილოთ ა-შაქტერის შემდეგელ ზმნათა კლასები.

§ I. ა-შაქტევარი წარმოქმნის პირდაპირ ობიექტს

ამ დიდ კლასში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ქვეკლასი იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქცია ერთვინ ა-შაქტერის შემდეგელი ნაცვალსახელური პროკლიტიკა.

ა-შაქტერით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები

ჩვენათა კლასიფიკაციისას ყურადღებას მივაქცევთ ფორმის წარმოქმნელ ძირითად მნიშვნელობას, წარმოქმნილი ჩვენის ფორმის აგებულებას და იმადე სახელისგან ნაწარმოებ სხვა ძირითად ფორმებს. მნიშვნელობებს გამოეყოფა ქვეკლასის განმარტებებზე დაყრდნობით. ამოსავალ ფორმად არჩეულია აწმკის მწკრივი. სხვა ფორმებს მიემართათე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭირო იქნება შაქტერის მნიშვნელობის ნათელსაყოფად. ეთივალსწინებთ მხოლოდ ე.წ. პირდაპირ /აჩაგადატანით/ მნიშვნელობებს, რამდენადაც ისინი ნათელს ხდიან ჩვენის ფორმის წარმოქმნელ სემანტიკურ საფუძველს.

I. საშვეერა ნასახელარი ზმნები. I.I.I. აკუცებს : კაკებს : კადებთა

ტიპისა. ზოგადი მნიშვნელობა: სუბიექტი საუბრის საგანს ამოსავალი სახელის მნიშვნელობისად აქცევს. ამ კლასში ძირითადად ერთიანდება არსებობის სახელისგან ნაწარმოები ზმნები. წარმოქმნილი ჩვენის მნიშვნელობა კონკრეტდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის შინააჩსს გამოხატავს ამოსავალი არსებითი სახელი.

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი შემთხვევა:

ა. იგულისხმება საუბრის საგნის სახელის აღსანიშნად გადატყვევა; ალორებს /გოგოს/ = ლოლად აქცევენ. აყვავილებს = ყვავილად აქცევენ. ასეთი ზმნები შედარებით იშვიათია.

ბ. საუბრის საგნის ამოქმედება სახელის აღსანიშნის გარკვეული ფიგურების ან ძირითადი ფუნქციის მიხედვით, ან მისდამი მიმსგავსებით; აბავშვებს = ბავშვის ქცევისად ხდის. ალორებს = ლორის ქცევისად ხდის, ლორს ამტვანებს. აბატონებს, ადარაჯებს, ამეფებს და მისთ. = ბატონის, დარაჯის, მეფის ძირითად ფუნქციას ასრულებინებს. აქვე შემოიღვენ პროფესიის, მოღვაწეობის სხვადასხვა სახის, თანამდებობის აღმნიშვნელი სახელებისაგან ნაწარმოები ზმნები; აპროფესორებს, ადირექტორებს, აფურცლებს, აევაშრებს, აშუშებს, აქადაგებს /ქადაგად ხდის, ქადაგივით აღაპარაკებს/ და მისთ. მსგავს შინაარსს გვაძლევენ ის ამოსავალი სახელები, რომლებიც ერთგვარულად ზედსართავი და არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებენ; აევაკაცებს = ევაკაცად აქცევენ, ევაკაციის ფიგურებს სძენს. ავტეებს = გივად აქცევენ, ავლახებებს/ავლახავენს = ვლახაყის ქცევისად ხდის და მისთ.

გ. საუბრის საგანი სახელის აღსანიშნის მიხედვით ხარისხდება ან შასში რაიმე ცვლილებას აქვს ადგილი; აფასებს = ფასს ადებს, ფასის მიხედვით ახარისხებს. ამიჩვენებს = მიჩენს უჩენს, ათულებს აღიჩიანებს; „სიცივე წრილობას ამიჩვენებს“.

დ. სახელის აღსანიშნის იარაღად არის გამოყენებული საუბრის საგნის მიმართ. აკოწიწებს = კოწიწს ადებს, ამოვლებს.

ე. სახელის აღსანიშნის საუბრის საგნის სადგომად; ბინად არის გამოყენებული; ასადგურებს = სადგურს უჩენს. აბანავენს = ბანავენს ასახლებს. ასახლებს = სახლს უჩენს, სახლში აყენებს /გასახლების მნიშვნელობით ეს ზმნა სხვა კლასში შედის/.

როგორც ეხებათ, სახელის ფუნქცია გამოხატული მნიშვნელობა ა-მაქცეობის გარდამაგალ ზმნებში სხვადასხვა ფუნქციით შეიძლება მოგვეცინოს. ღ. ნო- ზაძის მიერ შემოტანილი ტერმინის ანალოგიით, შეიძლება ვთქვათ, რომ ის ხან შინაგანი ბირდაპირი ობიექტია /სადგურს უჩენს = ასადგურებს/, ხან შინაგანი უბრალო დამატება /ბანავენს ასახლებს/, ხან შინაგანი იარაღი /კოწიწს ადებს = კოწიწებს/ და მისთ. შინაგანიო ვაშობთ, რადგანაც ზმნის შინაარსი ამ შემთხვევაში არ წარმოქმნის შესაბამის წინადადების წევრს. ეს არის წარმოქმნილი ზმნების ძირითადი საეციფიკა. საქმეც ისაა, რომ მოქმედება ეხება არა სახელის აღსანიშნს, არამედ სხვას, რომელიც საუბრის საგანია, და რომელსაც მიეწერება თვისება, რომელიც მანამდე არ ექნა. სწორედ ეს პირი - საუბრის საგანი- წარმოიქმნება ა-მაქცეობის მიერ, როგორც წინადადების წევრი, კერძოდ, ბირდაპირი ობიექტი. ამით ხდება აბატონებენ, აფასებენ მას, ენც არ არის მიფს, ბატონი და მისთ. ენსაც, ან რასაც უკრ ფასი არ ადებს, ამით ეხებენ იმას, ენც მთელი არ არის და ზმნაში სწორედ ეს არის გამოხატული. ამიტომ ეს შინაგანი მნიშვნელობები ბეჭედიცის მნიშვნელობები და ჩვენ რომ ისინი შესაბამის წინადადების

წიგნებს გაეუტოლოთ ე.წ. სიღრმისეული მნიშვნელობების დონეზე, ამით უკლებ-
 იძებელყოფა ზმნის სპეციფიკურ ქცევას და, ამდენად, სახელის ზმნად გადაქ-
 ცევის არსებით მხარესაც.

1.1.2. ჩედსართავი სახელწინა ნაწარმოები ზმნები; ამამაცებს; მა-
მაცებს; ამამაცდება ტიპისა. ძირითადი მნიშვნელობა; სუბიექტი საუბრის
 საგანს ზედსართავი სახელის აღსანიშნის თვისების მქონედ ხდის.

ამ შემთხვევაშიც, ზმნის კონკრეტული მნიშვნელობები დამოკიდებულია
 სახელით გამოხატული თვისების ხასიათზე.

ა. ციფრების ზედსართავებიდან ნაწარმოები ზმნები, რომლებსაც თვისების
 ხარისხის ცვლა ახასიათებს, ამ კლასში იშვიათად თუ შეგვხვდება. ასეთე-
 ბია: ადიდება = დიდს ხდის = ზომას უმატებს, ე.ი. სიდიდის ხარისხს უცვლის.
 აჭარბებს = ჭარბს ხდის. ასეთი ტიპის ზმნები იშვიათად ქმნიან სამუელს;
 ადიდება = დიდობს; დიდდება. აჭარბებს; ჭარბობს; ჭარბდება. ჩვეულებრივ,
 ადიდება ოპოზიციას გვაქვს: აყვითლება; ყვითდება ტიპისა. როგორც ჩანს,
 ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ სამიულის შუა წერტილს, როგორც წესი, სუბი-
 ექტად იგუბებს სულიერ აქტიურ ატენსს, რომელიც მოქმედებას თავისი ნებით
 ახორციელებს, თვისების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის აღსანიშნები კი,
 ჩვეულებრივ, აქტიურ მოქმედს არ გულისხმობენ. ამიტომ არ დასტურდება
 ყვითლობს, თეთრობს და მისა. ძვ.ქართული წიგს — სტატისტიკური შინაარსისა იყო.
 ზემოთხსენებულ სამუელის შუა წერტილს დიდობს აგრეთვე არ ნიშნავს სიმაღლის
 ან ზომის მომატებას პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ „უფროსად მოაქვს თავი“.

ამდენად, განხილული მნიშვნელობა გამოხატავს თვისების შეძენას და
 არა მისი ხარისხის ცვლას. ამ ტიპისაა: აჩამამაცებს, აკამამაცებს, აკობტა-
 ებებს, აცეცებს, აცხარებს, აწყწყებს და მისა.

ბ. მიმართებითი ზედსართავები თავისი ფუნქციით თითქმის უკლებლიან არსებით
 სახელებს. მაგრამ დასახელები ზმნების მნიშვნელობა მაინც განსხვავდება
 მათგან იმით, რომ ზედსართავებიდან ნაწარმოებ ზმნებში ხაზგასმულია სწორედ
 თვისება და ხშირად დაკარგულია შინაარსობრივი კავშირი ამ თვისების მქონე
 საგანთან. შტა. ერთი მხრივ, ამავეშეებს = ბავშვის ქცევისად ხდის, ბავშვს
 ამატავსებს, და, მეორე მხრივ, ამამაცებს = მამაცს ხდის. ამდენად =
 მდენადურს ხდის. ლომგულს, თავხედს... ხდის = აღომგულებს, ათავხედებს...
 ქვლ-ის განმარტებებში ეს შინაარსობრივი ნიუანსი ელინდება იმით, რომ
 არსებითი სახელისაგან ნაწარმოებ ზმნათა განმარტებაში ნახმარია ზმნა აქ-
 ცევენ, ხოლო ზედსართავებიდან ნაწარმოებში კი, ზმნა სახელის აღსანიშნს ამ
 თვისების მქონედ ხდის. ბუნებრივია, რომ გვაქვს ორივე მნიშვნელობის გადა-
 კეთადა; აგულრიღებს = გულრიღს ხდის//გულრიღად აქცევს და მისა.

გ. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ზედსართავი სახელის შინაარსი ხელიდან
 ახლსაა მოქმედების სახელის მნიშვნელობასთან, მაშინ შესაბამისი ზმნა
 ოპონიშური ხდება. ერთი მხრივ, ის თვისების შეძენას გამოხატავს, ხოლო
 მეორე მხრივ, ამ შეძენილი თვისების შედეგად საუბრის საგანს გარკვეულ
 მოქმედებისკენ უბიძგებს; აფრთხილებს = ფრთხილს ხდის // ურჩევს, ფრთხილად
 იყოს. აცუხებებს = ცუხებას ხდის // საშუალებას აძლევს იცუხლოს. აყბე-

დებს = ყბედს ხდის // ყბედაჲ აქცევს // ყბედიგით აღაბარაკებს. ცეცხლა-
 რებს = ცანცარას გახდის // ცანცარით ამოძრავებს /შდრ. ცანცარა/ცანცარობა/.
 ცეცქებს = ცელქს ხდის // ცელქობის საშუალებას აძლევს /შდრ. ცელქ/ცელ-
 ქობა/ და მისთ. ამ მეორე მნიშვნელობით, ეს ზმნები სხვა შინაარსობლივ
 კლასში გადადიან /ამოსავალი მასდართ ან მოქმედების სახელით/ და -ე
 თვის ნიშნით აწარმოებენ საშუალ ზმნებს: ჩერჩეტობს ; /ში/ჩერჩეტობს
 ცანცარობს; /ში/ცანცარებს ცუნდრუკობს; /ში/ცუნდრუკებს და მისთ. /საშუალო
 ზმნების სემანტიკა დაწერილებით განხილული აქვს დ.პოლისკის. ჩვენ მისი
 კლასიფიკაციით ვსარგებლობთ. იხ. პოლისკი დ./ . 1-მაქცევრით ნაწარმოებ
 გარდაამავლებში ეს ნიუანსი ნეიტრალიზებულია და მათ აღმოეჩინეთ მხოლოდ
 სამეულის სხვა ფორმებთან შეპირისპირებით. მკითხველის ყურადღებას მივაქ-
 ცევთ -ე-ლბ თვის ნიშანთა მონაცემობას და მათ ფუნქციურ სხვაობას;
 ცანცარი/ში/ცანცარებს, მაგრამ ცანცარა;ცანცარობს. ცერცერი/ში/ცერცე-
 ტებს, მაგრამ ცერცტა;ცერცტობს. ცუნდრუკი/ში/ცუნდრუკებს, მაგრამ
 ცუნდრუკა;ცუნდრუკობს და მისთ. -ლბ თვის ნიშნის ამ ფუნქციის შესახებ
 ქვემოთ კიდევ გვიქნება საუბარი.

დ. ზოგიერთი სხვა ზედსართავის მნიშვნელობაც სძენს ზმნას დამატებით აქცი-
 რანულ ნიუანსს. მაგალითად, ანერციულებს = ნერციულს ხდის // ნერციულობას
 იწვევს. ატინიანებს = ტინიანს ხდის // ტინიანობას იწვევს და მისთ. ეს
 მნიშვნელობა აქვს I გ - კლასისას; აფიქრებს = ფიქრს უჩენს, აფიქრიანებს =
 ფიქრიანს ხდის // ფიქრს უჩენს. აჯავრებს = ჯავრს უჩენს, მაგრამ აჯავრიან-
 ნებს = ჯავრიანს ხდის // ჯავრს უჩენს, იწვევს მასში და მისთ. ამგვარ
 ზმნებში სუბიექტი განმცდელია და არა თვისების მატარებელი.

ე. შიშვითად გვხვდება ზედსართავები, რომლებიც შინაარსით უახლოვდებიან
 ეთარების ზმნიზებებს. ასეთ შემთხვევაში ა-გარდაამავალიც იძენს მოქ-
 მედების ეთარების შინაარსს: ჩქარი;ჩქარებს;ჩქარობს;ჩქარდება ჩქარს
 ხდის //აძლევს აჩქარებს. შდრ. ფებს აჩქარებს = ჩქარობს.

ამ კლასის მიმართაც იგივე შეიძლება ითქვას, რაც პირველი კლასის
 მიმართ ადენიშნეთ, სუბიექტი თვისებას სძენს არა სახელის რეფერენტს,
 არამედ სხვას - საუბრის საგანს, რომელსაც ეს თვისება მანამდე არ აქონ-
 და, რაც პრედკაციის აქტივი ვლინდება და ზმნას შინაგან, სახელის ფუძის
 შესაბამის მნიშვნელობას ანიჭებს, რაც ზმნის აქტანტების დონეზე არ რე-
 აღნიშნება, რამდენადაც აქტანტად წარმოიქმნება სწორედ ის პირი, რომელიც
 ამ თვისების მატარებელი ხდება, ე.ი. პირდაპირი ობიექტი.

1.1.3. მოქმედების სახელისგან ნაწარმოები ზმნები აბორიალებს; ბორიალობს;
 /ა/ბორიალდება ტიპისა. ძირითადი მნიშვნელობა; სუბიექტი აბორციულები-
 ნებს საუბრის საგანს ამოსავალი სახელით ნაგულისხმევ მნიშვნელობას.
 სახელის კონკრეტული მნიშვნელობების მიხედვით შეიძლება გამოიყოს რამ-
 დენიმე კლასი:ა.-უნ სუფიქსიანი სახელებისგან იწარმოება ხმის გამოყე-
 მის გამოთხატვლი ზმნები: ბრახუნი ; აბრახუნებს, კაკუნი ; კაკუნებს,
 ტაპლანი;ატაპუნებს, ფხაკუნი;ფხაკუნებს , ხრამუნი;ახრამუნებს და მისთ.
 ამ ზმნების პირდაპირი მნიშვნელობაა; სუბიექტი რაიმე სახის ხმას გამო-

ადვინებს საუბრის საგანს /პირდაპირ ობიექტს/, მაგრამ მათ შეიძლება
 პირდაპირი დამატებითი მნიშვნელობა: ხმის გამოყენება რაიმე მოქმედების გან-
 ხორციელება; აბრახუნებს = ბრახუნს გამოაცემინებს//ბრახუნით ურტყამს.
 აკაპუნებს = კაპუნს გამოაცემინებს//კაპუნით კბილს ურტყამს.
 ფათქუნებს = ფათქუნის ხმას გამოაცემინებს//ფათქუნით ამოძრავებს.
 აჩახუნებს = ჩახუნის ხმას გამოაცემინებს//ჩახუნით სცემს, აჯახუნებს =
 ჯახუნის ხმას გამოაცემინებს// ჯახუნით ახლის და მისთ. ზოგიერთ ამ ტიპის
 ზმნას მხოლოდ მეორე მნიშვნელობა აქვს: აფხაგუნებს = ფრახილების მოსმით
 უსიამოვნო ხმას გამოაცემინებს. აწმანუნებს = წმანუნით მოკუმულ ტერებს
 ამოძრავებს და მისთ, ორივე ეს მნიშვნელობა პირდაპირია იმ ახრით, რომ
 უკავშირდება ხმის გამოცემას, მაგრამ მათ შორის შიშის ან ანის განსხვავებ-
 ბა: პირველი მნიშვნელობა გულისხმობს, რომ სუბიექტის რაიმე ხმას გამოაცემ-
 ინებს საუბრის საგანს, ხოლო მეორე მნიშვნელობა განხარადებს, რომ თვითონ
 სუბიექტი მოქმედებს, ხოლო ხმა ამ მოქმედების თანმხლები მოვლენაა. განმარ-
 ტებით ლექსიკონში იგი მოქმედებითი ბრუნით გამოხატება: წმანუნით გუმს,
 ფხატუნით მოძრაობს და მისთ. ამ მეორე მნიშვნელობით ზმნას შინაგანი ეთი-
 ძების გატრელება აღმოაჩნდება, რომელიც ზმნის აქტანტით გამოხატული აქ
 აჩის, ის ზმნის ფაქტით არის ნაგულისხმევი, როგორც თვითონ პრედიკატივის
 დამახასიათებელი ნიშანი. ზოგიერთი ასეთი აქტიონალური მნიშვნელობის
 მქონე ზმნა კარგადაა პირდაპირ ობიექტს /რადგანაც მასში სუბიექტის მოქ-
 მედებაა ხაზგასმული/ და მდებარეობს ზმნის ფუნქციით იხმარება: აფხატუ-
 ნებს = ფხატუნის მოძრაობას აკეთებს /გარდაუვალი/. აბრახუნებს = ხმაურობს.
 აფხატუნებს = უსიამოვნო ხმას გამოსცემს /გარდაუვალი და მისთ. ამ უკ-
 ნასკენდ შემთხვევაში ა-გარდაუვალები სემანტიკურად უტოლებიან თვისივე
 საშუალის საშუალო წერს: აფხატუნებს : ფხატუნობს. ატკატუნებს : ტკატუ-
 ნობს და მისთ. ხომ არ არის მნიშვნელობის ამგვარი გადაწევა, აქტენტის
 გადატანა, მიზეზი ამ კლასის ზმნებში -ებ/-ობ თემის ნიშნების მონაც-
 ელლობისა? უფრო ბრახუნებს//ბრახუნობს, ფხატუნებს//ფხატუნობს//
 ჩხატუნობს და მისთ. საქმე ის არის, რომ მდებარეობს ზმნის სხვა კლას-
 სის ზმნებში, რომლებშიც აგრეთვე ხმის გამოცემის გამოხატულება /იხ.პო-
 ლისკი დ./, დასტურდება მხოლოდ -ებ თემის ნიშანი. განმარტებით ლექსიკონ-
 ში ეს კლასი დახასიათებულია, როგორც სტატიკური: ზანზარებს, ლაქლაქებს,
 ლაქლიკებს და მისთ. მათ შესახებ ნათქვამია: გარკვეული ხმა გააქვს
/უნებლიედ/. ჩვეულებრივ, ეს ხმა თან სდევს გარკვეულ მოძრაობას: ფრ-
 ხუნით//ფათქუნით = ფრხების ცემის ხმა. ბარტყუნით = ცხველით ხრების მოძრაო-
 ბა-ცემა. ფარუნით = ნელი სიარულის ოდნავ გასაგონი ხმა და მისთ. ამიტომ
 არის ამოსავალი სახელები ნაწყისის ტიპისა, რომ ისინი არა მარტო ხმის
 ნიშანსახეობას აღნიშნავენ, არამედ გარკვეულ მოძრაობასაც გულისხმობენ.
 ამითივე უნდა აიხსნას მნიშვნელობათა გადაწევა: ხმა გააქვს - ხმას გა-
 მოაცემინებს სხვას. - მოქმედებს იმავე ხმის თანხლებით - თვითონ გამოაცემს
 ამ ხმას და მოქმედებს. ამ უაგვის პირველი წერტილის დამახასიათებელია
 -ებ თემის ნიშანი, ხოლო ბოლო წერტილისთვის ან -ებ/-ობ მონაცემობა ან

მხოლოდ საბოლოოდ დამკვიდრებული -ობ თემის ნიშანი, რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია აგენტური მიდინაობის ზმნებისთვის, რომელიც „მოლდო-წილის“ ტიპის მნიშვნელობას გამოხატავს. ა-გარდაამავლებში მნიშვნელობის ეს განსხვავებული ნიშანი ნეიტრალიზებულია და შაბ მხოლოდ -ებ თემის ნი-შანი ახასიათებს; ჩანჩარებს; ახანჩარებს, ლკლიკებს; ალიკლიკებს ტი-პი. რომ ეს მართლაც შემთხვევითი არ არის და გადაწევა მოხდა არა ცალ-კეულ ზმნებში, არამედ მთელ სამეულში, ჩანს იქიდან, რომ -ებ/-ობ თემის ნიშნებით მონაცემელ საშუალო ზმნების დონიან შესატყვისებს აგრეთვე გარკ-ვეული თავისებურება ახასიათებს; ჩანჩარებს; ახანჩარებს ტიპის ზმნებთან დონიანი გარდაუვალ ზმნები ძირითადად ასრულებენ ასპექტის ფუნქციას; გამოხატავენ დაწყებით ასპექტს /იხ. მაგნიარანი მ. 1981, პოლისკი დ./-. ამიტომ თანამედროვე ქართულში ისინი უპირატესად იხმარებიან წყვეტილი და მყოფადში ა- ზმნისწინით. დაწერილებით ამაზე ქვემოთ. ოდენ -ობ თე-მისნიშნიან ნასახელარ ზმნებს დონიანი ფორმები ეწარმოებათ აწმყოშიც, ხოლო წყვეტილსა და მყოფადში ა-ს გარდა სხვა ზმნისწინებით შეიძლება უქონდეთ. შერ. ადიდებს; დიდობს; დიდდება; გადიდება. აბატონებს; ბატონობს; ბატონდება; გაბატონდა და მისთ. მნიშვნელობაც გარდაქვეითისა აქვთ და არა ოდენ ასპექტისა.

ამავე კლასში შემოვა ზოგიერთი სხვა წარმოების /არა -უნ სუფიქსიანი/ ა-გარდაამავლებიც; ბოირო; აბოიროებს, კრიახი; აკრიახებს, ლაქლაქი; ალაქ-ლაქებს, ხმაურის; ახმაურებს. ეს კლასი მცირე რიცხოვანია და მნიშვნელობი-თაც გარკვეულ თავისებურებას შეიცავს; შათი მნიშვნელობა; სუბიექტი აიძულებს, საშუალებას აძლევს საუბრის საგანს შეისარლოს ხმაურის, ხმის შემდეგ გარკვეული მოქმედება, რომელიც ამ ხმაურის კონკრეტულ სახეს აღარ უკავშირდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ აღარ იწვევს ხმის გამოცემასთან ასოციაციას; ლაპარაკი; ალაპარაკებს, ლაქლაქი; ალაქლა-ქებს და მისთ.

ბ. მოძრაობის სახეობების გამოხატველი ზმნები; აკოტრიალებს; კოტრია-ლობს; კოტრიალდება ტიპისა. -იხლ -სუფიქსიანი; კოტრიალი; აკოტრიალებს, პრწიალი; აპრწიალებს, ბორიალი; აბორიალებს, წოწიალი; აწოწიალებს და მისთ. ძირითადი მნიშვნელობა; სახელით გამოხატულ მოძრაობას ახორციელები-ნებს საუბრის საგანს. თანხლები მნიშვნელობა; საშუალებას აძლევს ან აიძულებს შესარლოს გარკვეული სახის მოძრაობა; აპრწიალებს = სწრაფად ატრიალებს, აკოტრიალებს = აიძულებს იკოტრიანოს, აბორიალებს = ბორიანის საშუალებას აძლევს.

ხმის გამოცემის მნიშვნელობების მსგავსად, აქაც გვაქვს ზმნების ისეთი ხმარება, სადაც სახელის აღსანიშნი შინაგანი ცთაცების გარემოების სახით არის მოცემული; აწოწიალებს = წოწიალით დაუყავს, აპრწიალებს = პრწიალით დაუყავს და მისთ. ამავე კლასში შემოდის სხვა წარმოების ზმნე-ბიც; აგაგმანებს = გაგმანს აწყებინებს/გაგმანით დაუყავს, აჯირობებს = ჯირობით დაუყავს და მისთ.

აქაც გვაქვს შემთხვევები -ებ/-ობ თემის ნიშნების მონაცემლობისა სე-

მანტიკურ გადაწყვეასთან დაკავშირებით, ოღონდ ამ კლასის ჩვენებთან ეს უკანასკნელი უკმა სხვა ხასიათისაა, რამდენადაც საქმე ეხება არა ხმას, არამედ მოძრაობის სახეებს. შდრ. ერთი მხრივ, აგოგმანებს/ში/გოგმანებს/ /ა/გოგმანდება და, მეორე მხრივ, აგოგმანებს/გოგმანობს;/ა/გოგმანდება. დაწერილებით ამის შესახებ ქვემოთ.

ამ ჩინათაგან ჩოგიერთს აგრეთვე დაკარგული აქვს უშუალო კავშირი ამოსა-
ვალ სახელთან; აჯანჯლებს = განჩრახ აძნელებს, ჯანჯალი = ჯანჯალით სი-
არული.

ბ. ძირითადი მნიშვნელობა: სახელის აღსანიშნის მნიშვნელობას გამოიწვევს
საუბრის საგანში; აზარალებს = ზარალს აყენებს. ფორიაქებს = ფორიაქს
უტებს, აცოყმანებს = ცოყმანს გამოიწვევს, აწიოკებს = წიოკს შეუყენებს...
ამ შემთხვევებშია წიოკი, ცოყმანი, ფორიაქი და მისი. შინაგანი ობიექ-
ტებია, რომელნიც ხმის გარემოების წევრად არ ხორციელდება, ისევე, რო-
გორც ეს გეჟონდა უბრალო დამატებებისა და გარემოებების შემთხვევაში,
ამიტომ აქაც ა-შაქტეფარი წარმოქმნის პირდაპირ ობიექტს; აწიოკებს ის მას;
ააწიოკა მან ის. ირიბ ობიექტს ამ ჩინებთან წარმოქმნის უ-შაქტეფარი;
უწიოკებს ის მას მას. წიოკს უტებს, ფორიაქს უტებს და მისი., სადაც
სახელები პირდაპირ ობიექტის როლია. ეს არის უტებს, უყენებს... საშ-
პირიანი ჩინების და არა ოპირიანი ნასახელარი ჩინების გარეშეცა.

დ. ძირითადი მნიშვნელობა: სახელის მნიშვნელობით გამოხატულ მოქმედებაში
მონაწილეობას მიაღებინებს საუბრის საგანს; აბუნტებს = ბუნტისკენ უბი-
ჯებს, ბუნტში მიაღებინებს მონაწილეობას. თამაშებს = თამაშში იწვევს,
თამაშში მიაღებინებს მონაწილეობას. მნიშვნელობის გადაწყვეთა; თვითონ
თამაშობს რამდენიმე, თამაშით ათობს... აქორწილებს = ქორწილში მიაღებ-
ნებს მონაწილეობას, ცოლს მთავს, ქორწილს უბიძგა.

ეს არის ის ძირითადი მნიშვნელობები, რომელთა გამოხატავს სამეული;
ა-გარდაამავალი; -ობ თემისნიშნისანი საშუალი; დონიანი დინამიკური ჩინა
/1.1.0/.

სამწევრა ნასახელარი ჩინების მეორე უკუთა -ებ თემისნიშნისანი
საშუალი წევრის შემდგომი სამეულები. ეს კლასი შინაარსობლივად ძალიან
უკავს პირველს, მაგრამ რიგი თვისებურებების გამო, ჩვენ ისინი მაინც
ცალკე გამოვყავით. ამ სამეულთა საშუალი წევრების სრული სემანტიკური
დახასიათება მოცემული აქვს დ.პოლისკის.

1.2.1. ხმის ნაირსახეობების გამოხატელობის ჩინები; აჩრიალებს; ჩრიალებს;
/ა/ჩრიალებს ტიპისა. ეს ის კლასია, რომელსაც უპირისპირდება 1.1.3 ა
/ა-ობ თემისნიშნისანი მედიუმებით/. -ობ/-ებ თემის ნიშნითა ხსენებული
მონაცვლეობა პირველი შაბეჭდებით ფაქტობრივი ვარიაციის სახეს ატა-
რებს, მაგრამ ქველ-ში ცალ-ცალკეა შიითებული, და როგორც ჩემთა გაიკვება,
მათ განსხვავებული შინაარსობლივი ნიუანსი აქვთ, რაც ხშირად სადექსიკონო
განმარტებებშიც იჩენს თავს; -ებ თემის ნიშნით = ხმა გააქვს, ხმა გაუფის.
-ობ თემის ნიშნით = ხმას გაშოსცემს, ხმის გამოცემით მოქმედებს. პირ-
ველ შემთხვევაში ჩინის სუბიექტზე არ არის დამოკიდებული, გამოსცემს ის

ხმას, თუ არა, მეორე შემთხვევაში კი სუბიექტი აშკარად ატენტია.

განვიხილოთ - ებ თემისნიშნაანთა მნიშვნელობები: ა - ავრიალებს; გრია-
ლებს; ა/გ - რიალებს / შიდადრე ეარგონული დაგრილობს / . აზრიალებს; რიალებს
/ ა/ზ - რიალებს. ამგვარივე სამეულებს გვაძლევს: აღრიალებს, აზრიალებს,
აჭრიალებს და მისთ. შდრ. აკრიახებს; კრიახებს; აჭრიახებს; ვრიახებს...

ბ - უნსუფიქსიანები: ავაუუნებს; ვაუუნებს; ა/გ - ვაუუნებს და იმავე წარმო-
ების აზლუუნებს, აზუუნებს, აზახუნებს, აწკარუნებს და მისთ. შდრ. ფრ-
ტუნებს/ ფრატუნობს // და ფრატუნობს, კრუსუნებს/ კრუსუნობს, ბრატუნებს/ ბრატ-
უნობს = ბრატუნით აკეთებს რასმე; წკარუნებს/ წკარუნობს = ზარს აწკარ-
უნებს; ფარუნებს / ჩალა /, ფარუნობს / თაგვი /; წწუნებს/ წწუნობს = წწ-
უნით ლაპარაკობს და მისთ. აღნიშნული გადასვლა - ებ -> -ობ ცოცხალი ბრ-
ტისია, შას უფრო მეტად აღვილი აქვს ცოცხალ, ხშირად ეარგონულ მეტყველე-
ბაში და ნორმატიულ გრამატიკებში ნაკლებადაა ასახული, მიუხედავად იმისა,
რომ უფრო კანონზომიერი ხასიათი აქვს.

გ - ინსუფიქსიანი წარმოების დროს - ებ -> -ობ გადასვლა იერყ ირთ შემთხვე-
ვაში იერ და გადასატრედა. ამას შესაძლებელია ფონეტიკური ახსნა უქონდეს.
ამგვარი ზმნები და მათი ამოსავალი სახელები ფუძეშიც ხშირად შეიცავენ
ი ხმოვანს და ამ ხმოვნიტ რედუპლიცირებულ ფუძეებს. შესაძლებელია აქ სინ-
ჰარმონიზმის ფაქტორი მოქმედებდეს: ახვიხინებს, აჭრიკინებს, აწიწინებს,
აშიშინებს, აქვითინებს, აჭიჭყინებს, აჭყვიტინებს, აჭყლიპინებს და მისთ.
რედუპლიკაციით: ახიხინობს, აჭიჭყიკობს, აწიწიწიკობს, ატიტიკობს და მისთ.
სხვა ხმოვნიტის შემთხვევებში რედუპლიცირებულ ფუძეებთან - ებ -> -ობ გადასვლა
წესისამებრ ხორციელდება: აბუყბუყებს; ბუყბუყებს, ახანზარებს; ჩანზარებს,
აყაყანებს; ყაყანებს, არუხრუხებს; რუხრუხებს და მისთ. მაგრამ ბუტბუტებს/
ბუტბუტობს, განგაბუტებს/ განგაბუტობს, ქაქანებს/ ქაქანობს, ბუტბუტებს/ ბუტბუ-
ტობს...

1.2.2. მსგავსი ყალიბით იწარმოება ჩვენთა სამეულები შუქის, სინათლის
სხვადასხვა ნიუანსის გამომხატველი მოქმედების სახელებისგან: აპრიალებს,
აბრყვიობებს, აბარბაშებს, აგირგირებს, აღიკლიკებს, აღლანებს, აბიბი-
ნებს, ატუტუნებს და მისთ. რამდენიმე ნიშნის ძირითადი მნიშვნელობაა:
მოქმედების სახელით გამოხატულ ნიშნებს აწყბინებს საუბრის საგანს.
თუმცა არც აქ არის გამოკლებული სუბიექტის ატენტურობა, ე.ი. შუქის თენ-
ხლებით მოქმედება.

1.2.3. ზუსტად იმავე ყალიბით იწარმოება ავგილრი მოძრაობის ნაირსა-
ხეობა / დ. პოლისკის განსაზღვრება /: აბზრიალებს, ავრიალებს, ასრიალებს,
აჭრიალებს, აბარბაშებს, აჭაქჭაქებს, აჩაქჩაქებს და მისთ. ძირითადი
მნიშვნელობაა: მოქმედების სახელით გამოხატულ მოძრაობას აწყბინებს
საუბრის საგანს. ამ კლასშიც გვაქვს პირის ნეიტრალიზაციის შემთხვევები,
როდესაც ა-გარდაამდელი უანაბრდება თვისივე მედიანურ ზმნას: აბარბა-
შებს ის მას/ მას, აცხცახებს ის მას/ მას, აძაძაძებს ის მას/ მას და
მისთ. ყველგან მოსაუბრე პირი მან-ის რეგისაა და განმედილს აღნიშნავს:
მოძრაობა თვითონ მოსაუბრის სხეულში ხდება.

როგორც ეს დ.პოლისკის აქვეს შენიშნული, რამდენადაც ეს ჩვენები მოძრაობას გამოხატავენ, მათ შეუძლიათ დაიჩინონ ვი/ვო და და- ზმინისწინები, ხოლო ა-გარდაამავლები და დონიანები ა-ჩმინისწინის გარდა, სხვა ჩმინისწინებსაც დაიჩინავენ. ამ თვალსაზრისით და დონიანი წევრის ფუნქციის მიხედვით, როგორც ჩემთვისაც აღენიშნეთ, გამოიყოფა სამეულთა ერთი კლასი. ცნობილია, რომ დონიანი წარმოების გარდაუვალი ჩვენები ასპექტის მიხედვით, დინამიკური არიან, ხოლო მათი ძირითადი მნიშვნელობაა: გადართობა, ხდობა, ე.ი. ამიტომ ამ ჩვენებთან გარდაქცევის, გახდომის პროცესი თანდათან ხორციელდება: ბატონდება, მიფდება, კაცდება, გიყდება, ფასდება... რამდენადაც ამ კლასში გამოხატულია მოქმედების დინამიკური ფაზები, ჩმინების წყვეტილი ფორმები შინაარსობლივად გამოხატავენ ამ პროცესის ფასსა და გარკვეული თვისების შექმნის დამთავრების მომენტს: გამეფდა, განკაცდა, გაგიყდა და მისა. ჩვეულებრივ, აქ გამოყენებულია გა-, და-, შე- ზმინისწინები, რომელთა მიმართულების გამოხატვითი ფუნქცია ხშირად ნეიტრალიზებულია და, ამდენად, ჩმინისწინთა ნაირსახეობაც შეზღუდულია. რატომ ვფიქრობთ, რომ წყვეტილი ამ კლასის დონიან გარდაუღებში გამოხატულია პროცესის ბოლო ფაზა და არა პირველი - დაწყებითი - მომენტი? სპექტი ისაა, რომ ყველა ეს ჩმინა აწმყოში ბუნებრივად ეღერს: ბატონდება და გაბატონდა/ან არ გაბატონდა/, ეატკაცდება და დავატკაცდა, დიფდება და გადიფდა/ან იგივე უარყოფითი ნიშნით/... ამ სამეულთა საშუალო წევრი კი უპირისპირდება დონიანს, როგორც უკვე შექმნილი თვისების შეტარებელი პირის არადინამიკური/ფაზების არმქონე/მოქმედებად პროცესის განმარტოვებელი დიქსიკო-გრაფიკული კლასი: გამეფდა და მეფობს, გაგიყდა/გიყს დამეგვანა/ და გიოგბს, გატულუტდა და ტულუტობს და მისა. აქ, ცხადია, შეიძლება ბევრი საინტერესო ასპექტური ელფერი გამოიყოს, რაც ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. მთავარი ის არის, რომ დონიან ფორმებში ნასახელარ ჩმინთა ამ კლასში წყვეტილი/და სრული მყოფადიც/ - ემსახურება გარკვეული, დამამთავრებელი, ფაზის შეწყვეტა-დასრულების გამოხატვას. შესაბამის ა-გარდაამავლებში წყვეტილი/და მყოფადიც/ ერთმანეთს დაუპირისპირდება დინამიკური მოქმედების არამარტივებული წყვეტა: აბატონა, ამეფა, ატულუტა... და მისი მარტივებული წყვეტა-დასრულება: ე.წ. სრული-უსრული ფორმები, რომელთა განხორციელება, ჩვენს აზრით, მოქმედების ობიექტურ ასპექტურ დახასიათებას კი არ გულისხმობს მხოლოდ/როგორც ეს ასპექტოლოგიურ ლიტერატურაში იყო აქამდე მიღებული - ასპექტი დიქსიონის მიმართ ნეიტრალური კატეგორია/, არამედ მოსაუბრე პირის გარკვეულ როლს/აგენტური, ინაგენტური/ და თვალსაზრისს. ოდენ -ბე თემისნიშნის მიფეთების შემცველ სამეულებში სხვა ვითარებაა. მიფეთები გამოხატავენ სტატკურ, დაზების არმქონე პროცესს, რომლის სუბიექტი მასში აქტურ ნებელობით მონაწილეობას არ იღებს, მას მხოლოდ გააქვს ზრიალი, ბრიალი, ლიცლიცი, ზანზარი და მისა. ამიტომ მათი შესაბამისი დონიანი ფორმები აწმყოში ფაქტობრივ არ იხმარება, რამდენადაც ამ ჩმინების შინაარსი გამოხატავს არადინამიკურ, ბუნებრივად არააქტიონალურ, სტატკურ ეთარებას, მას აწმყოში არ შეესაბამება დინამიზმი, თანდათან განვიტა-

რება /შდრ. რუსული ძეგლთა ლერმონტოვის ლექსში "Белое парус одинокий"/ ამიტომ წყვეტილიც არ შეიძლება ამ კლასში გამოხატავდეს ბრალის დაშავ-
 თაობებზე ფაზას. მარტაც, ამ ზნადა წყვეტილი ფორმალურადაც და შინაბარსბ-
 ლივადაც მარკირებულია , როგორც ამ სტატიკური ეთარების ფაწყების მომენტ-
 აქ პირველი კლასის საწინააღმდეგო მიმართულება გვაქვს: აზნაზარდება და ზან-
 ზარებს, აღიცილებდა და ლიცილებს, აჯანჯლარდება და ჯანჯლარებს და მისთ.
 ფორმალურად ეს აღინიშნება ლდენ ა-ზნისწინის დარბიით, რომლის ქვემოდან-
 ზემთა მნიშვნელობა განეტიკალიზებულია და დაფიქსირებულია მისი მნიშვნელო-
 ბის აბსტრაქტული ნიუანსი აღმასვლისა, გადატანილი მნიშვნელობით - დაწყე-
 ბისა. შდრ. აღშენება, აღმოყენება, აღორძინება და მისთ. შესაბამისი ა-გარ-
 დამავლებიც ასპექტური თვალსაზრისით წყვეტილსა და მყოფადში /სრულ ფორ-
 მებში/ ეთარების დაწყებინებას გამოხატავენ: აღიცილებს:აღიცილიცა:ა-
 აღიცილებს, აგზიზგიზებს:აგზიზგიზა:აგზიზგიზებს და მისთ. ეს ფორმებიც
 მხოლოდ ა-ზნისწინის დაირთავენ. საფიქრებელია, რომ აწმყოს ფორმებმაც
 დაწყების სუმიანტიკა შეიძინეს წყვეტილ-მყოფადის ანალოგიით, რამაც ა-მაქ-
 ცერისის ფუნქციონალური დატიკირება გამოიღარა. ეს რომ ასეც, რანს საწყე-
 სის ფორმების მნიშვნელობადაც. ნასახელარი ზნების ა-გარდამავლების
 საწყისები იხმარება ძირითადად ზნისწინებით, როდესაც მათ ზნისწინიანი
 ზნური ფორმები შეესაბამება: აშენებს - შენება:მოაშენებს - მიშენება;
 დააშენებს - დაშენება და მისთ. შესაბამისად, ის ა-გარდამავლები, რომლებ-
 საც სრულ ფორმებში ა-ზნისწინი აქვთ, საწყისებშიც მხოლოდ ამ ზნისწინის
 დაირთავენ: აღიცილებს:აღიცილიცა:აღიცილიცა - აღიცილებს. და მივიღებთ
 ხედშესახებ განსხვავებას პირველ და მეორე ტიპს შორის: ზომავს - ზომვა ;
 აზომავს - აზომვა, გაზომავს - გაზომვა, მაგრამ მხოლოდ აღიცილებს -აღი-
 ცილება, აჯანჯლარებს - აჯანჯლარება და მისთ. მთავარად, თუკი ბუნებრივ
 გარდამავლებს აქვთ ზნისწინიან და უზნისწინო საწყისების დაპირისპირება:
 თხრის - თხრა ; გათხრის - გათხრა, ა-გარდამავლებს,სტატიკური მედიუმებით,
 ასეთი დაპირისპირება არ ახასიათებთ: გვაქვს მხოლოდ აკაკანებს - აკაკა-
 ნება. ამის გამო, ისინი აღიქმებიან, როგორც ზნისწინის მნიშვნელობის
 მიმართ ნეიტრალური და თავისი შინაბარსით ესადაგებიან როგორც უზნისწინს,
 ისე ა-ზნისწინიან ზნურ ფორმებს: აღიცილებს, აკაკანება, აჯანჯლარება
 და მისთ. გამოხატავდა როგორც აღიცილებს ფორმის, ისე აღიცილიცებს ფორმის
 შინაბარსს. სხვაგვარად რომ ითქვამთ, აღიცილიცებს ტიპის საწყისები თველი
 სამეულის საწყისი ხდება: აღიცილებს:აღიცილიცა:აღიცილებს: ლიცილებს:
 აღიცილებს ა აღიცილებს. ამის შედეგად ა- /ა-ა/ ზნისწინისა და ა-მაქ-
 ცერისის კოორდინაცია მოხდის და მთლიანად სამეული თავისი საწყისიანად ასპექ-
 ტურ დაწყებობის მნიშვნელობას გამოხატავს. ასეთივე ნეიტრალიზაცია ახასი-
 ათებს ზოგიერთ სხვაგვარი წარმოების სამეულსაც, რაზედაც ქვემოთ გვიქნება
 საუბარი. განხილულ კლასს -აბ თემისწინიანებისგან ისიც გამოარჩევს, რომ
 სამეულის შუა წევრს გარდამავლისგან მხოლოდ ა-მაქცეობარი განასხვავებს, ამ
 შემთხვევაში ის მარტაც გვევლინება გარდამავლობის შაქარმოებლად.

1.3.0. ამ კლასში შემოქმის ისეთი სამეულები, რომელთა შუა წევრს აქვს

უაფიქსო ფუძე და ამით ის განსხვავდება შესახამისი ა-გარდაამავლისა და დონიანი ფორმისაგან. უმეტეს შემთხვევაში მდელიაური ზმნის ფუძე ნასახელარი არ არის. ამ სამეულთა ნასახელარ ზმნათა წყებაში განხილვა, ამდენად, პირბითია, ამისკენ გვიბიძგებს სემანტიკური მსგავსება.

1.3.1. ძირითადი მნიშვნელობა: ხმას გამოაცემინებს ცოხელ არსებას // ხმის ამოღებას დააწყებინებს. ცუფე - ძირითა: აზმუვლებს / ჩმუის; / ა/ზმუვლებს, აყმუვლებს / ყმუის, / ა/ყმუვლებს. ამავე მოდელით: აშხივლებს, აწყმუვლებს, ახუვლებს; წარმოებით ამავე რიგში დგება. ატყუილებს / ატყუებს; ტყუის; ტყუი-დება, თუმა ამჟამად ის ხმის გამოცემას აღარ უკავშირდება, მაგრამ ტყუი ძირი მჭიდრო სემანტიკურ კავშირს ამჟღავნებს სიტყვა-მეტყუელი ფუძეებთან, წარმოებით ხმის გამოცემის ზმნათა რიგში დგება, ამიტომ შეიძლება ის წარმოშობით ამგვარი შინაარსისა ყოფილიყო.

.ციე-ძირითა: აკივლებს; კივის; / ა/კივდება. იმავე წარმოებისაა აყივლებს, აწივლებს, აჭყივლებს. ცაფე-ძირითა: იმავე ტიპის სამეულებს ქმნის; აბლავლებს, აკნაღლებს, აჩხაღლებს, ახაღლებს. ეიჭ ძირითა: ამ შემთხვევაში სამეულე ზმნა უსუფიქსაა; ატირებს; ტირის; / ა/ტირდება, აყვირებს; ყვირის; / ა/ყვირდება, აჭყვირებს; ჭყვირის; / ა/ჭყვირდება.

1.3.2. ძირითადი მნიშვნელობა: ადგილზე მოძრაობას დააწყებინებს; აძრავლებს; აძრავს; / ა/აძრავდება. იმავე მოდელით: აქრლებს, აძრვლებს; აქაც ა-გარდაამავლებში და დონიანებში ფუძე მასდარისას ემთხვევა და შუა წიგრისგან განსხვავდება. ყუცეღეს ტიპის რამდენიმე ზმნას დონიანი ფორმა აწმუქშიც ახასიათებს და ასპექტური თვალსაზრისით ისინი აბაქტუნებს ტიპს მიჰყვებიან. დანარჩენი ზმნები კი - ებ თემისნიშნით მდებარის შემყველი სამეულების იზომორფულია და მათ შესახებ ითქმის ყველაფერი ის, რაც აღინიშნა 1.2.3 კლასის შესახებ. განსხვავებას ჰვაძლევენ აღვივებს; ლვივდება, აყვინებს; ყვინდება ფორმები, მაგრამ მათ სემანტიკური ვადაწყება ახასიათებთ. ამ კლასის შუა წიგრს გარდა ზმნური ფუძისა ი-მწარმოებელი აქვს და ე-სა-ნანტიც დამთავრებული ძირი. არნ. ჩიქობაცას აზრით, ეს უძველესი წარმოების ზმნებია, რომელნიც პერმანსივს ვაიხატავდნენ და შემდგომ გადააზრიანდნენ აწყმოს ფორმებად. აქედან კი ის დასკვნა ვამოძინარეობს, რომ მათი ძირი აორისტიკის იყო, ე.ი. ვაუფორმებული საწყისის ტიპის წარმოება. ხომ არ არის ვაპირობებული ა-გარდაამავლებისა, დონიანი ფორმების ფუძედ ისევე საწყისის ფუძის გამოყენება ამ ძველი მოდელის გავლენით? მაშინ ამ ტიპის ზმნათაგან ყველაზე ძველი იქნება ატირებს; ტირის; / ა/ტირდება ყალიბი. ეს სხვა საკითხსაც ბადებს. ხომ არ არის ეს კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ი ფორმანტი-ილ სუფიქსისაგან მომდინარეობს, როგორც ამას არნ. ჩიქობაცა ეარაულობს?

სამეულებს ქმნიან აგრეთვე ზმნები, რომელთა ფუძე არ არის ნასახელარი, გამოიყოფა ორი კლასი:

1.4.1. მ თემის ნიშნისანი საშუალო წიგრის შემყველი სამეულები: აფუ-ლებს; ფულს; ფულდება; ტიპისა. ძირითადი მნიშვნელობა: სუბიექტი აკეთებს ისე, რომ საუბრის საგანზე განახორციელოს საშუალო წიგრით ნაგულისხმევი მნიშვნელობა: ა. სუბიექტი სძენს საუბრის საგანს გარკვეულ თვისებას; აწვიფებს;

მწიფს;მწიფდება, ახურებს;ხურს;ხურდება, აშუქებს, შუქს;შუქდება და მისთ.
 ბ.გამოაცემინებს საუბროს საგანს ხმას ან დააღუშებს; აღუშებს;ღუშს;ღუშდება,
 ახურებს;ხურს;გახურდება, აელერებს;ელერს;ელერდება, აქუხებს;ქუხს;ქუხდება,
 აყფებს;ყფს;ყფდება. გ.გამოიწვევს სუნს; აქოთებს;ქოთს;ქოთდება, აყრო-
 ლებს;ყროს;ყროდება. დ.განახორციელებს ადგილზე მოძრაობას; აცუცქებს;ცუცქის;
 ცუცქდება, აძგერებს;ძგერს;ძგერდება. ე.წყლის მოძრაობის ნაირსახეობას გამო-
 იწვევს; აფლენს;ფლენს;ფლენდება, აშხეფებს;შხეფს;შხეფდება, აჩქიფებს;ჩქიფს;
 ჩქიფდება, აწვიმებს;წვიმს;წვიმდება. ვ.გამოიწვევს რაიმე გარდობას;
 აძულებს;სძულს;სძულდება, აწუხებს;წუხს;წუხდება, ავირებს;ვირს;/ვა/ვირდება.

ამ სამეულებში იშვიათია ისეთი, რომლის ფუძე საწყისის ფუძეს ემთხვევა;
 აყროლებს;ყროლს //ყარს; ყროდება, შდრ.ყროლა. მსგავსი საწყისები სხვა ამ
 ტიპის ჩვენებასაც აქვთ: ძგერა, ყფა, ელერა, წვიმა და მისთ. ჩოგს ამ სამე-
 ულთაგან ისეთი ძირი აქვს, რომელიც სახელისას ემთხვევა: შუქი, ჩქეფი, ვირი.

1.4.2. -აგ თემისნიშნისანი საშუალი წვირის შემცველი სამეულები: აჯღ-
 რებს;ჯორავს;ჯორდება ტიპისა. ძირითადი მნიშვნელობა იგივე რჩება: ა.განა-
 ხორციელებინებს რაიმე სახის მოძრაობას; აბობლებს;ბობლავს;ბობლდება და
 იმავე მოდელით: აბორღლებს, აბრუნებს, აგოგებს, აჯორებს, აცუცქებს, აცმუ-
 ყებს, აცმუჭებს, აცუცებს, აჰოკებს, აცურებს, ახახებს, ახტუნებს და მისთ.
 ამ ფორმების საწყისები ზენის ფორმისგან იწარმოება;ბობლვა, ბრუნვა და მისთ.
 ამდენად, ამ კლასშიც ზმნურ ფორმებს შორის მიმართება უშუალოდ ხორციელება
 და არა ამოსავალი სახელის ფუძის მიშველობით, როგორც ეს ნასახელარ ჩვენებში
 გვქმნდა.

რამდენადაც ეს ჩვენები მოძრაობას გამოხატავენ, მათაც შეუძლიათ ზენის-
 წინთა დართვა /პოლისკი დ./, მაგრამ, საფიქრებელია, ეს იმდენად ზენისწინ-
 თა ჩვეულებრივი ფუძქცია არ არის, რამდენადაც ვეჩისა და ორიენტაციის
 მაჩვენებელი მოსაუბრე პირის პოზიციიდან, თქმული ენება საშუალ წვირებს:
 გორავს;ვი/ვი/და-გორავს ტიპისა, თორემ მათ საპირისპიროდ, ა-გარდამთავლებსა
 და ღონიანებს სხვადასხვა ზენისწინთა დართვა შეუძლიათ: შევაგორებს;შეგორ-
 დება, ჩააგორებს;ჩაგორდება და მისთ. საშუალი ჩვენები, ამ მხრივ, შეზღუ-
 დლნი არიან. ამიტომაც, რომ საშუალ ჩვენებს, რომელნიც ადგილზე მოძრაობას
 გამოხატავენ, ან ხმის გამოყენის სემანტიკა აქვთ, აკრებენ შეუძლიათ ვი/ვი/
 და- ზენისწინების დართვა ორიენტაციის აღსანიშნავად: ვი/ვი/და-ვიკვიკებს,
 ვი/ვი/და-ფემფალებს და მისთ. ბ.გამოაცემინებს შუქს; აელეებს;ელავს;/ვა/-
 ელდება, აბრწყინებს, აბრინებს, დ.გამოაცემინებს ხმას; აგმინებს;გმი-
 ნავს;/ა/გმინდება, აგრგვინებს, აგრტვინებს, ახვრინებს. ამ სამეულოთ ა-გარ-
 დამთავლები თავისებურებას ამტკიცებენ იმ მხრივაც, რომ თემისნიშნისეულ
 გ-ს შვიტავენ, რაც ფორმობრივადაც მიუთითებს მათ კავშირზე საშუალ ჩვენებთან.
 ე.რაიმე განცდას გამოიწვევს, აჯგერს; აშლოთებს, ალეიძებს, არისხებს,
 აბორგებს, ალულებს, აჰმუნებს/აჰმუნებს. ვ.რაიმე პროცესს ან ვითარებას
 განახორციელებს: აახლებს;ახლავს;ახლდება, აბუჭებს, ალეინთებს, ახრჩოლებს.
 ჩვენათა ამ კლასში დავთვასტურით ორი ნასახელარი ჩვენაც: აბოლებს;ბოლავს;
 ბოლდება და აკრუხებს;კრუხავს;კრუხდება. -ობ თემისნიშნისანიებისგან განსხვა-

გებში აქ არ იგულისხმება გარდაქცევა/გახდომის სემანტიკა; აბოლეს = არა „ბოლად გადაქცევის“, არამედ „ბოლს უშვებს“. აკრუხებს = არა „აკრუხად აქცევის“, არამედ „ვერცხვებზე დასეპის კრუხს“, ისევე, როგორც კრუხავს = ვერცხვებზე ზის, რაც საინტერესოა -ობ, -ავ თემის ნიშანთა ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით. -ავ თემისნიშნის ნასახელარი ზმნები შხლლლ აქტიონალური ფუნქციითაა დატვირთული.

1.4.3. გამოიყოფა სამეულები, რომელთა შუა წევრს აქვს ორმაგი თემის ნიშანი -ავ+ობ → აობ. აქ შემოღის რამდენიმე ქვეკლასი: ა. -ავ თემისნიშნისანი საშუაღ ზმნათაგან -ობ თემის ნიშნით ნაწარმოებრ. -ობბ დაბოლეების შქონე საშუაღ ზმნები და შესაბამისი ა-გარდაშელები და დონიანები; აბუქნავებს; ბუქნავს; ბუქნაობს; /ა/ბუქნავდება; აბუქსავებს; ბუქსაობს; /ა/ბუქნავდება; აგორავებს; გორაობს; /ა/გორავდება; აყვინთავებს; ყვინთაობს; /ა/ყვინთავდება; ატურავებს; ტურაობს; /ა/ტურავდება; ახტუნავებს; ხტუნაობს; /ა/ხტუნავდება და შისთ. -ავ და -ობბ დაბოლეებიან საშუაღ ზმნებს სხედასხვად საწყისი აქვთ: ბუქნა /შოქმეღების სახელი/ - ბუქნავს ; ბუქნაობა - ბუქნაობს; გორვა - გორავს ; გორაობა - გორაობს. ყვინთვა; ყვინთაობა; ტურვა; ტურაობა და შისთ. ამგვარი წარმოების შედგად წარმოიქმნა ორი რიგის სამეულები; ერთი მხრივ, აგორებს; გორავს; გორდება, შეორე მხრივ, აგორავებს; გორაობს; /ა/გორავდება ტიპისა. -ავ და -ობბ დაბოლეების ზმნებს ხშირად განსხვავებული მნიშვნელობები უდასტურდებათ, როგვრც კი ისინი ურამანეთის სინონიმებია. ბუქნავს = ბუქნით ცეკვავს ; ბუქნაობს = თამაშობს, როკავს, ერთ ამბავშია. /და/გელავს = გელევიით დადის ; /და/გელაობს = დაქრის იქით-აქით, დაწავადობს. გორავს = ბრუნვით, ტრიალით ადგილს გადაინაცვლებს /შიდიან ქვა გორავს/ ; გორაობს = მწლიარე ერთ ადგილზე ბრუნავს, ტრიალებს, კოტრიალობს. ყვინთავს = თავს უკიდებს ძიღმორეული, წყლის სიღრმეში ჩადის. ; ყვინთაობს = ხშირ-ხშირად, ზედიზედ ყვინთავს. ტურავს = წყლის ზედაპირზე მოძრაობს; ტურავს იყის, სრიალებს /ყვინთავს/, უაერში ლიკოკებს, ტურავს /სტატიკური/ ; ტურაობს = იქით-აქით ტურვით მოძრაობს, ტურვით თავს იტყვის. ხტუნავს/ხტის = ხტუნვით მოძრაობს ზევით-ქვევით. ; ხტუნაობს = ხშირ-ხშირად ხტუნავს, ხტუნვით თამაშობს და შისთ.

ტურავდებას იქცევის ის გარემოება, რომ ოდენ -ავ თემისნიშნისანი საშუაღ ზმნა სუბიექტად შეიძლება შეიწყობდეს როგორც სულიერ, ისე უსულ საგანს, ის ამ მხრივ არ არის მარკირებული, -ობბ დაბოლეებისანი კი შეიწყობს მხოლოდ სულიერს. აქედან გამონაკლისია მხოლოდ ბუქსაობს, რომელსაც -ავ თემისნიშნისანი კორელატი არა აქვს, რუსულიდან შემოსული სიტყვაა და აღნიშნავს მანქანის ბორბლების ერთ ადგილზე ტრიალს. ამრიგად, -ობბ დაბოლეების შქონე საშუაღ ზმნებს გამოეყოფილად ახასიათებს ატუნტურაობა. ა-გარდაშელებს და დონიანებს -ავ თემის ნიშანი გადაუყვებთ როგორც ფუძის კუთვნილება. ამ სახის დონიანებს, როგორც წესი, არა აქვთ აწმყო, ე.ი. ისინი ასპექტის გამოხატვის ფუნქციას ასრულებენ; გამოხატავენ შესაბამისი ატუნტური პროცესის დაწყების მომენტს; ახტუნავდა და ხტუნაობს

ტიპისა. ამიტომ, როგორც წესი, ისინი სხვა ზმნისწინებს არ დაირთავენ -აე თემისნიშნისგან განსხვავებით. შდრ./ა/გორადება ; შეგორდება, გაგორდება, ჩაგორდება და მისთ. ეს გარემოება დ.ჰოლისკის აქვს შენიშნული. ბ.ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ -აე და -აო დაბოლოების მქონე ზმნებიდან სხვადასხვა ტიპის მიმღობები იწარმოება; ცურავს - მცურავი ; ცურაობს - მცურავი ტიპისა. მკვლევარი ამ გარემოებას ხსნის იმიტომ, რომ -აე ტიპის საშუალო ზმნები უფრო კონკრეტულ მოქმედებას გამოხატავენ, ხოლო -აო დაბოლოების მქონენი - უფრო აბსტრაქტულს. ჰოლისკის აზრით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ვაშიზნულობის ქონა-აბქონით /იხ.ჯორბენაძე, 1980; ჰოლისკი, 1981/. იზისათვის, რომ დავადგინოთ, რა განსხვავებაა მნიშვნელობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, გორავს; გორდება; აგორავს სამეულისა, ხოლო მეორე მხრივ, გორაობს; აგორავდება; აგორავებს სამეულს შორის, განვიხილოთ -აო დაბოლოებიანი სხვა რიგის საშუალო ზმნები და მათი შემცველი სამეულები.

ბ.ამ კლასში შემოვა ის -აო დაბოლოების მქონე ზმნები, რომელნიც თითქმის უპირისპირდებიან არა -აე თემისნიშნის საშუალო ზმნებს, არამედ -აე და შ თემისნიშნის გარდაამეღლებს პეპლავს/ბანს ტიპისა. ამგვარად უპირისპირებენ ზოგიერთ საშუალო ზმნას ბ.ჯორბენაძე და დ.ჰოლისკი. განვიხილოთ, რა შინაარსობრივ თანხილას ვიღებთ ამგვარი დაპირისპირების შედეგად. ბანს = სიბიძე გუჟყვს იცლის გისმე/რასმე, შდრ.ბანა /რუს. МОСТ/ ; ბანაობს = მდინარის, ზღვის, ტბის... წყალში იცლება /შდრ. რუს. КУПАЕТСЯ /. ბუჩავს = ღონიერად არტყავს გისმე ; ბუჩაობს = ირქინება პატარა ხბო, თიჯანი და სხვა /შდრ ბუჩინა/. კენწლავს/კინწლავს = არაღრმა ჰრითობას აყენებს ; კენწლავს/კინწლავს = კენწვლაშია გართული /შდრ.კინწი = კისერი, ქიდი. კინწალი = შტო, კენწრო/. ლაღავს = ერეცება, მიღენის რასმე ; ლაღაობს = უფლის გისმე, ლაღად არის. ლექსავს = ლექსად თხზავს, ლექსად გადააკეთებს ; ლექსაობს = ლექსებს თხზავს ექსპრომტად. ამ ფორმას აქვს პარალელური წარმოება; ლექსობს. პეპლავს = მამალი ფრინველი ან მწერი ანაგოფორებს დედას ; პეპლაობს = დედა-მამალი ფრინველი ან მწერი განაყოფიერებას ახდენენ. შოლტავს = შოლტავს სტუმს ; შოლტაობს = შოლტის ქნევით თამაშობს, შოლტვით ირხევა /შდრ.შოლტი/. წყუმპლავს = წყუმპლავით ასეველებს, წყუწავს ; წყუმპლაობს = წყალში თამაშობს /შდრ.წყუმპლა/. წყუწავს = ერთიანად ასეველებს ; წყუწაობენ = წყლით წუწავენ ერთმანეთს /გარდაუვალი/ /შდრ.წყუწი/. გორავს = გორებს ამბობს გისმეზე, გორებს აფრცველებს ; გორაობს = გორებს ლაპარაკობს.

ამ კლასში ხურადლებას იქცევენ ერთი გარემოება. -აე და შ თემისნიშნის გარდაამეღლებს, როგორც წესი, გარდაუვალი კორელატად აქვს დიკაუზიტივი-რეფლექსური ინიანი ფორმები /ინიანი გნებიები/. ინიანი ფორმები გარდაუვალ კორელატებად აქვს ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ზმნებსაც; ბანს; იბანება, კენწლავს; იკენწლავს, ლაღავს; ილაღება, ლექსავს; ილექსება, პეპლავს; იპეპლება, შოლტავს; იშოლტება და მისთ. ამის შედეგად ერთ გარდაამეღლ ზმნას აღმოაჩნდა ორი გარდაუვალი კორელატი: ბანაობს; იბანება, კენწლავს; იკენწლავს, პეპლა-

